ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **ახალი და უახლესი ისტორია**

ალიმბარაშვილი ირაკლი

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის (1789-1792) შესწავლა საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,

ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in **Modern History**

Alimbarashvili Irakli

The Study of the First Stage (1789-1792) of the Great French Revolution in Georgia

Thesis is prepared for obtaining

MA Degree in Modern History

Research Supervisor: Merab Kalandadze,

Ph.D. in History, TSU Associate Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს ერთი საინტერესო საკითხი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში. თემა არის დიდი და ამიტომ ის დავაკონკრეტეთ. ამჯერად შევეხებით ერთ საკითხს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის (1789-1792) შესწავლა საქართველოში. ეს სიახლეს წარმოადგენს, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული პრობლემის შესწავლის პირველ მცდელობად მიგვაჩნია.

ამ თემას სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა კუთხით, განიხილავდნენ ქართველი ისტორიკოსები. პროფ. გივი კიღურაძე თავის წიგნში „ახალი ისტორია“ ეხება რა ახალი ისტორიის შესწავლას საქართველოში, ბუნებრივია, ძალიან მოკლედ, საერთო ხაზებში, მიმოიხილავს ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მაგრამ ეს საინტერესო მიმოხილვა, უმთავრესად პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრების გამო სრულყოფილი არაა და უკმარისობის გრძნობას იწვევს. ჩვენთვის საინტერესო თემას სხვადასხვა კონტექსტში, განსხვავებულ ასპექტში, შეეხო პროფ. მერაბ კალანდაძე. შეიძლება ითქვას, რომ ის სერიოზულად დაინტერესდა ამ პრობლემით და მას რამდენიმე წიგნი და სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა: მან კვლევა სხვადასხვა მიმართულებით აწარმოა. გრ.ნათაძის შემოქმედების კუთხით, ალ.ნამორაძის შემოქმედების კუთხით, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, პროფ. კოტე ანთაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში, რობესპიერის მოღვაწეობის გაშუქება საქართველოში. ფაქტობრივად, ეს წარმოადგენს ამ პრობლემის შესწავლის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს, მაგრამ კონკრეტულად ამ კუთხით საკითხი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში გაშუქებული არ ყოფილა.

ამჯერად შევეხებით მხოლოდ ერთ მონაკვეთს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის შესწავლა საქართველოში.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს, რომელიც ამ პრობლემის პოპულარიზაციის და მეცნიერული შესწავლის შეხამების მცდელობად გვევლინება. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის შესწავლა, პოპულარიზაციას ხანგრძლივი ისტორია აქვს და XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე, ჩვენი აზრით, ამ საკითხით დაინტერესების შესავალად, წინაისტორიად, შეიძლება მივიჩნიოთ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდით დაინტერესებას სამი მკვეთრად გამოკვეთილი პერიოდი გააჩნია: 1. აღნიშნული პრობლემის შესწავლა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში; 2. აღნიშნული პრობლემით დაინტერესება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991; 3. აღნიშნული პრობლემის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში - 1991 წლიდან - დღემდე.

სხვადასხვა ეტაპზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი დამოკიდებულება სხვაგვარი იყო. გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პლუსად საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი დადებითი დამოკიდებულება მიგვაჩნია. ისინი ამ საკითხის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციიდან ცდილობდნენ. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი ხისტად მიგვაჩნია. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი და მნიშვნელოვანწილად მათი იაკობინოცენტრიზმით იყო განპირობებული.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს შეუსაბამობა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყველა ეტაპი დაბალანსებულადაა წარმოჩენილი.

Annotation

The given thesis carries historical character and aims to describe an interesting matter, which is the study of the first stage (1789-1792) of the Great French Revolution in Georgia. The topic is quite wide and this is why we intend to make it more specific. This time we will touch upon one event. The study of the first stage (1789-1792) of the Great French Revolution in Georgia. This is an innovation, it has a Georgian context and we consider it as a first attempt to study the mentioned problem.

The topic has different interpretations among the Georgian historians in different contexts. Professor Givi Kighuradze describes the study of a new history of Georgia in his book named "The New History", and it is natural that he gives a brief review of the event that is of interest for us, although the interesting review of the event, first of all, due to its political and ideological opinions, is not sufficient. Professor Merab Kalandadze described the topic which is of interest for us, in different contexts and different aspects. We may presume that he became seriously interested in this problem and he dedicated some books and scientific works to the topic: He carried out research in different fields. In particular: the works by Gr. Natadze, the works by Al. Namoradze, Dimitri Uznadze about the Great French Revolution, the study of the agrarian legislature of the Great French Revolution in Georgia, Proffessor Kote Antadze about he Great French Revolution, the study of historiography of the Great French Revolution in Georgia, the review of the activities of Robespierre in Georgia. Actually, this represents the first step made towards the study of the problem. Its importance is presumed to be reflected in this, although the matter - the study of the Great French Revolution in Georgia - has not been studied from this point. This time we will only describe only an episode - the study of the fist stage of the Great French Revolution in Georgia.

There exists a tradition of the study of the first stage of the Great French Revolution in Georgia, which is an attempt to make a combination of the popularization of the problem and the scientific research. The study of the first stage of the Great French Revolution in Georgia has a long history of popularization and the period from the beginning of the XIX century and 1918, to out opinion, may be presumed as a prehistory for the study of the matter. The study of the first stage of the Great French Revolution in Georgia has three particular periods: 1. The study of the said problem in the sovereign republic of Georgia in 1918-1921; 2. The interest towards the problem in the Georgian historiography 1921-1991 during the Soviet Union; 3. The study of the said problem in the Georgian historiography of post Soviet Union period - from 1991 to present.

The attitude towards the first stage of the Great French Revolution in Georgia was different. Before Georgia joined the Soviet Union, the main plus of the Georgian historiography was that it had a positive attitude towards the first stage of the Great French Revolution in Georgia. They tried to assess the matter from progressive and liberal point-of-view. This was a scientific approach to the matter, which, naturally, has its strong and weak sides.

We consider that the attitude of the Georgian historiography of the Soviet period towards the first stage of the Great French Revolution in Georgia is harsh. Clearly, it was not accidental and was conditioned by their jacobinism.

The Georgian historiography of the post Soviet Union tries to balance the inconsistency and all stages of the Great French Revolution are shown in a balanced manner.

შინაარსი

შესავალი 9

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში 12

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789-1791 წლების (დამფუძნებელი კრების) შესწავლა საქართველოში 39

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1791-1792 წლების (საკანონმდებლო კრების) შესწავლა საქართველოში 74

დასკვნა 117

გამოყენებული ლიტერატურა: 122

შესავალი

სანამ უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემაზე საუბარს დავიწყებდით, ორიოდე სიტყვით გვინდა ვთქვათ, თემის არჩევანზე. საფრანგეთის დიდი რევოლუცია არის ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ისტორიკოსებს შორის და მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ იქნა გაშუქებული. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პრესის საშუალებით იწყება აღნიშნული საკითხის გაშუქება, პოპულარიზაცია, ხოლო მასზე ინფორმირებულები, საქართველოში კიდევ უფრო ადრე, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იყვნენ.

ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ის, თუ რა იწერებოდა და იწერება საქართველოში საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან, კონკრეტულად კი მის პირველ ეტაპთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქართული კონტექსტით ჩვენს დაინტერესებას საფუძველი რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა და ამის დასტურია საბაკალავრო ნაშრომი: „საფრანგეთის დიდი რევოლუცია (მეფის სიკვდილამდე) XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის 1900-იანი წლების ქართულის პრესის მიხედვით“. მაშინდელი ნაშრომიც ეხებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს. გადავწყვიტეთ, რომ კვლევისთვის უფრო ფართო, სიღრმისეული ხასიათი მიგვეცა და ქართული პრესის ფურცლებიდან, გადაგვენაცვლა საკითხის ისტორიოგრაფიის ფართო შესწავლაზე.

ფრანგი ისტორიკოსი მიშელ ვოველის ამბობდა, რომ „საფრანგეთის რევოლუცია არის მწვავე საკითხი, რომლის გარშემოც საფრანგეთში არასდროს არ ყოფილა სახალხო შეთანხმება“. ასეა, საქართველოშიც. ქართველი პუბლიცისტები და ისტორიკოსები თითოეულ ეპოქაში, საფრანგეთის დიდ რევოლუციას განსხვავებულად აფასებდნენ და საკითხზე წერის აშკარად იგრძნობოდა მათი პოლიტიკური მრწამსი ან ქვეყანაში იმდროისთვის გაბატონებული მდგომარეობა, რამაც საკითხის შესწავლას ღრმა კვალი გააჩნია.

ჩვენი აზრით, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესება, შესწავლა, სამ ეტაპადად შეიძლება იქნას დაყოფილი, რომელსაც გააჩნდა წინაისტორია და ის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან 1918 წლამდე გრძელდებოდა, როდესაც საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე რამდენიმე პოპულარული ნაშრომი დაიბეჭდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდგომ, ახალი ისტორიის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლა დაიწყო. ეს სიახლე იყო და ვფიქრობთ, რომ სწორედ 1918 წლიდან იწყება საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის სერიოზული შესწავლა, რასაც უარყოფდნენ საბჭოთა კავშირში.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის სამი ძირითადი ეტაპია: 1) 1918-1921 წლები; 2) 1921-1991 წლები; 3) 1991 წლიდან - დღემდე. ასეთ დაყოფას რა თქმა უნდა საფუძვლად პოლიტიკური სარჩული უდევს. პირველ ეტაპზე საქართველოს 1918-1921 წლების სუვერენულ რესპუბლიკასთან გვაქვს საქმე, სადაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი პროგრესულ-ლიბერალური დამოკიდებულება იგრძნობოდა. მეორე ეტაპი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ეხება, როდესაც ისტორია პოლიტიზირებული იყო და მეცნიერებს ერთადერთი გზა ჰქონდათ, საკითხის მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გაშუქება. მესამე ეტაპი კი დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლიდან და გრძელდება დღემდე. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს და განავითაროს საწყისი პოზიციები, გათავისუფლდეს მარქსისტულ-ლენინური დოგმებისგან, რომელიც თავს ძალად იქნა მოხვეული.

ჩვენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპიდან სამი საკითხი გამოვარჩიეთ და გადავწყვიტეთ, ამ პრობლემების ქართულ კონტექსტში დამუშავება. ნაშრომი სამ თავადაა დაყოფილი. პირველი თავი ეხება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეორე - დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესწავლას საქართველოში, მესამე - საკანონმდებლო კრების საქმიანობის შესწავლას საქართველოში.

სამივე თავში განხილული გვაქვს სხვადასხვა ეპოქის საქართველოში დაბეჭდილი ნაშრომები, რომლებიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს ეხება. თითოეული თავი გაშუქებული გვაქვს იმ სქემის მიხედვით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ - XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან - დღემდე, განსაზღვრულ ეტაპებად დაყოფილი. იქიდან გამომდინარე, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული პერიოდული პრესა ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე არ დაწერილა, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი მასზე ინფორმირებული იყო და ამაზე თვალის დახუჭვა არ ღირს. საკითხით დაინტერესება, გაშუქება, რაღაცით უნდა დაწყებულიყო.

თითოეულ თავში ყურადღებას ვუთმობთ საკითხის შედარებით ანალიზს, სხვადასხვა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ძალზე საინტერესოა, ერთი საკითხის მიმართ, სრულიად განსხვავებული ხედვა, რაც ქართულ სივრცეში, სხვადასხვა დროს არსებობდა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნდა და ვეცადეთ, რომ ეს პრობლემაც წინ წამოგვეწია.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა ეპოქაში დაწერილი წიგნები, ბრუშურები, სამეცნიერო და პოპულარული სტატიები, პუბლიცისტური ნაშრომები და ფაქტობრივად ყველაფერი, რაც საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე იქნა დაწერილი.

სამივე საკითხზე მუშაობის დროს, არაერთ საინტერესო სიახლეს წავაწყდით, რაც ქართულ სივრცეში ნაკლებადაა გაშუქებული. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, პირველი თავი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ეხება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს საკითხი ამ კუთხით საქართველოში გაშუქებული არ ყოფილა და

სიახლედ მიგვაჩნია. საინტერესო სიახლეებს, მოსაზრებებს წავაწყდით დანარჩენ ორ თავშიც და ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად, აღნიშნული საკითხის შესწავლა წინ წამოვწიეთ. ალბათ, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში ამ კუთხით საკითხის გაშუქება არ მომხდარა და წინამდებარე ნაშრომი ამის ერთ-ერთ პირველ მცდელობად მიგვაჩნია. მთელი რიგი საკითხები შეუსწავლელია და ამ თემაზე მუშაობა პერსპექტიულად მიგვაჩნია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში

საფრანგეთის დიდი რევოლუცია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც ეხება არა მხოლოდ საფრანგეთს, არამედ მთელს ევროპას და შესაძლოა, მსოფლიოსაც. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული საკითხით უამრავ ქვეყანაში არიან დაინტერესებულები და ცდილობენ, სამეცნიერო დონეზე, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაჭრან სხვადასხვა პრობლემა.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია არის საკითხი, რომლისადმი ერთსულოვნება ისტორიკოსებს შორის არასდროს სუფევდა. არსებობს უამრავი მოსაზრება, რომლებიც გამორჩეულ ისტორიკოსებს ეკუთვნით და ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსისაა. დაპირისპირება და სხვადასხვაგვარი ხედვაა ფაქტობრივად ყველა საკითხისადმი: თვით რევოლუციის შეფასებაში, ჟირონდისტების და იაკობინელების მოღვაწეობაში, აგრარული რეფორმებისადმი და ა.შ. ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სობული ამბობდა: „ვნებათაღელვა, რომელიც ბობოქრობდა შორეულ მე-18 საუკუნის მიწურულს, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების გზაჯვარედინზე კვლავ რჩება თანამედროვე სამყაროს ცენტრად, რომელმაც გაყო ადამიანები და განაგრძობს მათ გაყოფას“. კიდევ ერთი ფრანგი ისტორიკოსის მიშელ ვოველის სიტყვებია: „საფრანგეთის რევოლუცია არის

მწვავე საკითხი, რომლის გარშემოც საფრანგეთში არასდროს არ ყოფილა სახალხო შეთანხმება“. [1]

ჩვენს მიერ ნახსენები ორივე ისტორიკოსის შეფასება აბსოლუტურად ადეკვატურია. უბრალოდ ვოველის ნათქვამს დავამატებდით, რომ ამ საკითხისადმი თანხმობა საფრანგეთის გარეთაც არაა. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც საფრანგეთის რევოლუციისადმი განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია. სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციის სხვა ვერსია იყო, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა, ხოლო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სრულიად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ უშუალოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესებას და შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ქართული პრესა, პერიოდული გამოცემები, რომლებიც მსოფლიო ისტორიით და თანამედროვე ამბებით აქტიურად იყვნენ დაინტერესებულნი და ამის გაშუქებას შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც ქართველი პუბლიცისტების ფართო ინტერესი დაიმსახურა სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციაა, რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე პირველად მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო 70-იან წლებში მასზე წერამ უკვე ინტენსიური ხასიათი მიიღო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სამეცნიერო ნაშრომები და ის პოპულარიზაციაზე იყო გათვლილი, მაგრამ ამის გარეშე პირდაპირ სამეცნიერო კვლევებზე გადასვლა ფაქტობრივად შეუძლებელი გახლდათ და ქართველმა პუბლიცისტებმა საკითხის წინ წამოწევის და გავრცელების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს. [2]

---

[1] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი”*, # 9-10, 2015, გვ. 29.

[2] **ვ. დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა: (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., “უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1978, გვ. 32-45.

1918 წლიდან საკითხის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ შეუწყო ხელი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი მიიღო. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისებრივი, ხარისხობრივი სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და სულ სხვა მიმართულება შეიძინა. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ ერთი მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აუცილებელი გახლდათ მარქსისტული დოგმების გაზიარება, ხოლო განსხვავებული მიდგომა ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა, რაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზეც აისახა. ასე გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ აღიდგინა, ისტორიულმა მეცნიერებამ მრავალვარიანტული მიდგომა კვლავ დაიბრუნა და ამ კუთხით გაცილებით ჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნა. [3]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის რამდენიმე მოდელი არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და მხედველობაში მისაღები შემდეგი ვერსიებია: ა) 1789-1814 წლები; ბ) 1789-1804 წლები; გ) 1789-1799 წლები; დ) 1789-1794 წლები. გარდა ამისა, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით (ა.ლამეტი, ფ.დეზოდარი, ა.მატიეზი,ჟ.გოდშო), საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1787 წელს ნოტაბლების მოწვევით დაიწყო [4], თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა თანხმდება, რომ რევოლუცია 1789 წელს დაიწყო და

---

[3] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 287-307.

[4] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი"*, # 9-10, 2015, გვ.31.

საქართველოშიც საკითხის შესწავლის არცერთ ეტაპზე რევოლუციის დასაწყისად 1787 წელი არ განუხილავთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა ამ კუთხით ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამ საკითხის დასმის ინციატორად პროფ.მერაბ კალანდაძე მოგვევლინა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი, სწორედ, მან გადადგა. მას დიდი ხანია აინტერესებდა ეს თემა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი წიგნი „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“, სადაც ერთი თავი ჩვენთვის საინტერესო საკითხს აქვს დათმობილი. ეს ამ დიდი პრობლემის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია.[5]აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ თემისთვის საგანგებო ყურადღება მიგვექცია. ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ კუთხით ზემოხსენებული საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას თავისი ისტორია გააჩნია და საინტერესო ევოლუცია განიცადა. რა ეტაპები გაიარა მან? როგორი შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხისადმი სხვადასხვა პერიოდში? საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის გაშუქება შეგვიძლია რამდენიმე ეტაპად დავყოთ. საკითხის შესწავლის წინაისტორიად შეგვიძლია მივიჩნიოთ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე პერიოდი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის გაშუქება სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1) საქართველოს 1918-1921 წლების სუვერენული რესპუბლიკის პერიოდი, რისი ნათელი დასტურიც დროის ამ მონაკვეთში გამოსული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები გახლავთ; 2) საბჭოთა პერიოდი, სადაც საკითხის შესწავლამ მეცნიერული, თუმცა ცალმხრივი ხასიათი მიიღო, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. 3) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. წინამდებარე ნაშრომის ეს მონაკვეთი სწორედ ამ სქემაზე იქნება აგებული.

[5] **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016, გვ. 25-37.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია სათანადო ყურადღებას არ აქცევდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოცემულ შრომებს და თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციით სერიოზული დაინტერესება სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დაიწყო, რაც პოლიტიზირებული გახლდათ და თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ შეცდომის გასწორება ითავა. [6]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხზე სპეციალური შრომები ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ცოტაა დაწერილი, მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების დროს ნებით თუ უნებლიეთ იკვეთება ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, რაც ჩვენთვის გზამკვლევად გვევლინება.

დავიწყოთ საკითხის შესწავლის წინაისტორიით. პირველ რიგში უნდა ვთქვათ, თუ რატომ მიგვაჩნია წინაისტორიად და არ ვათვლით ზემოხსენებულ ეტაპებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები სამეცნიერო ხასიათს არ ატარებს და სულ სხვა მიზანი გააჩნია - საზოგადოებაში საკითხის გავრცელება, პოპულარიზაცია. ქართველ პუბლიცისტებს საკუთარი მიზანი გააჩნდათ, რასაც წარმატებით გაართვეს თავი, თუმცა ნაშრომების სამეცნიერო დონეზე პრეტენზია არ ჰქონიათ და აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მთელი რიგი საკითხები გამოეტოვებინათ ან საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე გაეშუქებინათ. შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პერიოდიზაციასთან დაკავშირებით მკაფიო სურათის მიღება ჭირს, რადგან საფრანგეთის დიდი რევოლუციის მხოლოდ ფრაგმენტული მოვლენებია გადმოცემული, რასაც გარკვეული სირთულეებისკენ მივყავართ. ასე რომ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1918 წლამდე პერიოდი, საკითხის შესწავლის წინაისტორიად მიგვაჩნია.

---

[6] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ.287-307.

თუმცა, ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საინტერესო მასალები არაა. პირიქით, ვფიქრობთ ძალზე საინტერესოა, თუ როგორ იწყება ამ საკითხით დაინტერესება საქართველოში და რა იწერება მასზე. ასეთი ტიპის ნაშრომების გარეშე, პირდაპირ სამეცნიერო რელსებზე გადასვლა შეუძლებელი გახლდათ და ქართველმა პუბლიცისტებმა ამ მხრივ ღირსეული როლი შეასრულეს საკითხის შესწავლის საქმეში. მათ სათანადო ნიადაგი მოამზადეს და 1918 წლიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის სამეცნიერო ხასიათმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის რევოლუცია ქართული პრესის ფურცლებზე პირველად მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო 70-იან წლებში უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. ჩვენ საფრანგეთის რევოლუციაზე ქართული პრესის კონტექსტში ადრეც დავინტერესებულვართ და გვიმუშავია. შესაბამისად, რამდენიმე საინტერესო დეტალი დავინახეთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პუბლიცისტები საგანგებოდ არ ეხებიან პერიოდიზაციის საკითხს, მათი ნაშრომების მიხედვით გარკვეული, საინტერესო დასკვნების გამოტანა მაინც შეგვიძლია. ისინი არაერთ აქტუალურ საკითხზე წერდენ და იმდროინდელ საზოგადოებას შეძლებისდაგვარად ვრცელ ინფორმაციას აწვდიდნენ. ვლადიმერ ლორთქიფანიძემ საინტერესო სტატიები დაბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, რომელშიც საფრანგეთის რევოლუციას მიმოიხილავს. შემდგომში, მან ეს სტატიები, ცალკე წიგნად გამოსცა[7]. საფრანგეთის რევოლუციას ცალკე ნარკვევი მიუძღვნა ნოე ჟორდანიამაც[8]. საგულისხმოა, რომ არცერთ ნაშრომში რევოლუციის თხრობა ბოლომდე არაა მიყვანილი და ამიტომ, პერიოდიზაციის საკითხი ფაქტობრივად ღიად რჩება. ჟორდანიას ნაშრომი „დიდი რევოლიუცია (1789)“ ეხება 1789-1794 წლების პერიოდს, ხოლო ლორთქიფანიძის ბროშურა 1789 წლიდან იწყება და სრულდება 1793 წლის პირველი ნახევრის მოვლენების მიმოხილვით, როდესაც კონვენტში ძალაუფლების მოსაპოვებლად ორი პარტია - ჟირონდისტები და იაკობინელები იბრძოდნენ.

---

[7] **ვ.ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თბ., 1906.
[8] **ნ.ჟორდანია.** საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906.

წიგნის ან ბროშურის სახით მხოლოდ ეს ორი ზემოხსენებული ნაშრომი გამოიცა, თუმცა ამ პერიოდში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ სტატიები მრავლად გვხვდება. ამ საკითხზე აქტიურად წერდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დავით მიქელაძე და ა.შ. მრავალი სტატია იწერებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“, „შრომასა“ და „კრებულში“. გამოითქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება და გაშუქდა რევოლუციის ისეთი გამორჩეული ეპიზოდები, როგორებიცაა: რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და ძველი რეჟიმი, გენერალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, ვარენის კრიზისი, მეფის გასამართლება და ა.შ. როგორც ვხედავთ, აქ ერთი საყურადღებო და ნიშანდობლივი რამ ჩანს - ქართული პუბლიცისტების და ჟურნალ-გაზეთები 1789-1794 წლებზე წერენ და 9 თერმიდორის გადატრიალებით გამოწვეულ შედეგებზე ფაქტობრივად აღარაფერს ამბობენ. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია გაზეთ „შრომაში“ გრაკხუს ბაბეფზე 1906 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია: „საფრანგეთის - „პირველი მოციქული და მოწამე თანამედროვე კომუნიზმის და სოციალიზმის“. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. სხვა მხრივ ვხედავთ, რომ 1794 წლის შემდგომი მოვლენებზე ინფორმაცია ფაქტობრივად არ გვხვდება ან მხოლოდ გაკვრით.

ყველაფერს თავის მიზეზი გააჩნია და რასაკვირველია, ამ ფაქტსაც. რატომ არ ეხებოდნენ ქართველი პუბლიცისტები 1794-1799 წლებში განვითარებულ მოვლენებს? ამის რამდენიმე მიზეზი შესაძლოა არსებობდეს, რომლებზეც გადაჭრით ვერ ვისაუბრებთ, თუმცა გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა ნამდვილად შეგვიძლია.

1) ქართული პუბლიცისტიკის წარმომადგენლები შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1789-1794 წლებს მოიცავდა და შემდგომი წლები რევოლუციას აღარ განეკუთნებოდა. ამ მოსაზრებას გარკვეული საფუძველი ნამდვილად გააჩნია და სიმართლის მარცვალი შესაძლოა იდოს, რადგან ისტორიკოსთა ნაწილი დღესაც თვლის, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია იაკობინელთა დიქტატურის დამხობის შემდგომ დასრულდა. შესაბამისად, გასაკვირი არაა, თუ ქართველი პუბლიცისტებიც ასე თვლიდნენ და თავისუფლად შეიძლება, რომ ამ ვარაუდს მივყვეთ, რადგან მათი შრომები და

სტატიები სწორედ ამისკენ გვაფიქრებინებს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გარკვეულ არგუმენტებზე დამყარებული ჩვენი მოსაზრებაა და კონკრეტულად არსად უწერიათ, რადგან საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მწერლები, პერიოდიზაციის საკითხს ცალკე არ შეხებიან და ამის შესახებ, მხოლოდ მათი სხვა ნაშრომების ქრონოლოგიებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

2) შესაძლოა, 1794 წლის შემდგომი მოვლენების მიჩუმათება სხვა მიზეზითაც აიხსნას - ქართველი ჟურნალისტები ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ და მათთვის ფავორიტი ჟორჟ ჟაკ დანტონი გახლდათ. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ დანტონის სიკვდილის შემდგომ, ისინი განგებ არ დაინტერესდნენ რევოლუციის მოვლენების შემდგომი განვითარებით, რადგან იაკობინელთა დიქტატურა და მითუმეტეს, 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ განხორციელებული ცვლილები მათთვის მიუღებელი იყო და საკითხისადმი სრული გულგრილობა გამოამჟღავნეს. აღსანიშნავია, ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება, რომელშიც კარგად ჩანს, რომ მისთვის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა და ერთი გაბატონებული კლასი, მეორემ ჩაანაცვლა, ხოლო უბრალო ხალხი კვლავ მძიმე მდგომარეობაში დარჩა. ნიკოლაძემ მართებულად აღნიშნა, რომ „საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ძველი წესისა და მართვის მაგიერ ახალი სახელმწიფო წყობილება დაარსა და ახალი სამოქალაქო სიმართლე დამყარებული კანონისა და სახელმწიფოს წინაშე ყველას თანასწორობაზე, კანონით მაინც შექმნაო“. [9] ქართველმა პუბლიცისტებმა შესანიშნავად დაინახეს 9 თერმიდორის გადატრიალების შედეგები, რომ რევოლუციამ არ გაამართლა მშრომელთა იმედები და ვერ მოსპო საზოგადოებრივი ანტაგონიზმი. ძველი კლასობრივი ინტერესები ახალმა შეცვალა. კლასთა დაპირისპირება, მშრომელთა უუფლებო მდგომარეობა და მათი ექსპლოატაცია ხელუხლებელი დარჩა. მშვენივრად ხედავდნენ, რომ კანონით დაწესებულ და რეალურ თანასწორობას შორის უდიდესი ზღვარი იყო და მშრომელთათვის, რომლებიც ახალ

[9] **საფრანგეთი, პარიჟიდან.** // გაზ. “დროება”, 1873, # 1 (დამატება).

ექსპლოატატორთა ბრჭყალებში მოექცნენ, ეს კანონით დაწესებული სამოქალაქო სიმართლე ბევრს არაფერს ნიშნავდა. [10] ქართველი პუბლიცისტებისთვის აშკარა გახლდათ, რომ ერთი კლასობრივი ინტერესი მეორემ შეცვალა, ხოლო მშრომელი ხალხის ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. შესაბამისად, ისინი არ შეხებიან 1794 წლის 27 ივლისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

3) არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ. გამორიცხული არაა, რომ ქართველ პუბლიცისტებს გარკვეული საკითხების წერაში რუსულმა ცენზურამ შეუშალა ხელი, რომელიც იმ პერიოდის ქართულ გაზეთებს აკონტროლებდა და მაგალითად, ვლადიმერ ლორთქიფანიძის სტატია „საფრანგეთის რევოლუცია. მეფის გაქცევა და დატყვევება“, რომელიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1905 წლის 5 ნოემბერს დაიბეჭდა და ვარენის კრიზისს ეხება, სქოლიოში ცხადად ჩანს, რომ ცენზურამ ეს სტატია შეამოწმა და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სხვა სტატიებზეც ასე იქნებოდა. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ რუსულმა ცენზურამ ქართველ ჟურნალისტებს არ მისცა იმის საშუალება, რომ 9 თერმიდორის გადატრიალების შედეგებზე დაეწერათ, თუმცა საგულისხმოა ერთი რაღაც: რუსულ ცენზურას ჯუზეპე გარიბალდიზე და ირლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე დაწერილი სტატიებიც არ გაახარებდა, თუმცა ამის დაბეჭდვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მაინც მოხერხდა. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში, რევოლუციის 1794-1799 წლის ამბებზეც დაიწერებოდა, თუნდაც ოდნავ დაფარული და „შელამაზებული“ სახით, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ პერიოდის მოვლენებზე სტატიების დაბეჭდვა წესით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენს მოსაზრებებს მოკლედ შევაჯამებთ და ვიტყვით, უფრო სწორად და საყურადღებოდ მიგვაჩნია, პირველი ორი ვერსია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის 1789-1794 წლებით დათარიღება და ქართველი პუბლიცისტების მიერ,

---

[10] **ვ. დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1978, გვ. 44-45.

რევოლუციის შემდგომ ხუთ წელში განვითარებული მოვლენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. „საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის წინაისტორიის პერიოდში, როგორი პერიოდიზაცია იყო მიღებული?“ - ასეთი კითხვის დასმის შემთხვევაში ყველაზე სწორი ნამდვილად 1789-1794 წლებით დათარიღება მიგვაჩნია სწორი, რადგან დაწერილ და შემონახულ მასალებს სწორედ ამისკენ მივყავართ და სიმართლესთან ყველაზე ახლოს, სწორედ ეს მოსაზრება უნდა იყოს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესწავლის პირველი ეტაპი 1918-1921 წლებია, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა. თუ პირველ ეტაპზე საკითხი პოპულარიზაციის დონეზე იყო გაშუქებული, ამ პერიოდში სამეცნიერო-პოპულარული სახე მიიღო. მან უმთავრესად ასახვა ჰპოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელობში, რომელზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს, სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციაა. ვფიქრობთ, საბჭოთა ისტორიოგრაფია არ იყო სწორი, რომელიც საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს[11] სრულ იგნორს უკეთებდა და თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციით სერიოზულმა დაინტერესებამ სწორედ საბჭოთა პერიოდში იჩინა თავი. ეს იყო პოლიტიკური მიდგომა, ხოლო რეალობა სულ სხვა გახლდათ. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა გაესწორებინა ეს შეუსაბამობა და უფრო ადეკვატური სურათი დაედო, რაც ცხადია, ძალიან კარგია. [12]

აშკარაა, რომ პერიოდიზაციისადმი მათი მიდგომა პუბლიცისტების ხედვებისგან განსხვავებულია. ქართველი მეცნიერები საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1794 წლის 27

---

[11] **მ. კალანდაძე.** სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. // *„ანალები“,* #13, 2017.

[12] **მ. კალანდაძე.** საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია. // *„მაცნე“,* ისტორიის სერია #1. 2016.

ივლისის მოვლენებით აშკარად არ ასრულებენ, თუმცა მათი შრომებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მათთვის რევოლუცია არც 1799 წლის 9 ნოემბრის შემდგომ მთავრდება.

დ.უზნაძის და ი.გველესიანის ავტორობით 1918-1919 წლებში გამოვიდა ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. პირველი წიგნი ეხება XV-XVII საუკუნეებს, ხოლო მეორე - XVIII-XIX საუკუნეებს. სწორედ მეორე სახელმძღვანელოში ეძღვნება ერთი მთლიანი თავი საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას ოთხ ქვეთავად ყოფენ: 1) მონარქიის დამსხვრევა საფრანგეთში; 2) საფრანგეთის რესპუბლიკა; 3) დირექტორია; 4) ნაპოლეონი. [13] ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ ავტორები ნაპოლეონის ეპოქას საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდად მოიაზრებენ და ერთ თავში განიხილავენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათთვის საფრანგეთის დიდი რევოლუცია არა 1799 წელს, არამედ 1814 წელს სრულდება. ამ მოსაზრებას საკუთარი მომხრეები მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ჰყავს. ადოლფ ტიერი, ფრანსუა მინიე, ალბერ სორელი, ჟერმინა და კლოდ ვილარების სწორედ ამ აზრზე იყვნენ, ხოლო ზოგიერთი ისტორიკოსი ნაპოლეონის ეპოქას ორ ნაწილად ჰყოფს და კონსულობის პერიოდს რევოლუციის ხანად წარმოადგენს, ხოლო იმპერიის მონაკვეთს - არა. ალფონს ოლარი და ფილიპ სანიაკი საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1804 წლის 2 დეკემბერს, ნაპოლეონის იმპერატორად კურთხების დღით ასრულებენ. [14] ასე რომ, ასე მხოლოდ ქართველი მეცნიერები არ ფიქრობდნენ.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ, საგანგებოდ დაინტერესდა და შეისწავლა პროფესორმა მერაბ კალანდაძემ, რომელსაც ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა. ეს ნაბიჯი სწორი იყო, რადგან ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელი იყო. მისი ცდა შეევსო ეს ხარვეზი, მისასალმებელია და ამ კუთხით პრობლემის გაშუქების პირველი მცდელობაა, რაც

[13] **დ.უზანაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ.,სახალხო საქმ-ის გამოცემა #1“, 1919, გვ. 76-117.

[14] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი”*, # 9-10, 2015, გვ. 32.

ნაშრომის მთავარი პლუსია. 2016 წელს მისი ავტორობით გამოვიდა საინტერესო წიგნი „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“. წიგნის ერთ-ერთი თავი სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ეძღვნება. ავტორს მშვენივრად აქვს განხილული ჩვენს მიერ ნახსენები სასკოლო სახელმძღვანელო, მრავალ საინტერესო აზრს აფიქსირებს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციას 1789-1814 წლებს უკავშირებდა, თუმცა თავდაპირველად ავტორი ემოციებს აყვა და ფიქრობდა, რომ უზნაძე და გველესიანი რევოლუციის ეპოქად 1789-1799 წლებს აღიქვამდნენ, რაც თავადვე აღნიშნა. [15] ზემოხსენებულ წიგნში, სადაც ავტორმა ამ თემას სულ სხვა თვალით შეხედა, საკუთარი შეცდომა ჩაასწორა და მისი შეხედულება ნათლად დააფიქსირა. პროფესორი კალანდაძე ყურადღებას ამახვილებს უზნაძის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის არქიტექტონიკაზე, სტრუქტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ისტორიკოსების უმრავლესობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასასრულად 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას მიიჩნევს და რასაც მერაბ კალანდაძეც ეთანხმება, ის არ აკრიტიკებს უზნაძეს პერიოდიზაციის ამ მოდელის გამო, რადგან 1789-1814 წლებს რევოლუციის ხანად ბევრი ისტორიკოსი დღესაც მიიჩნევს და საკუთარი არგუმენტები გააჩნიათ, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ვერსიას კიდევ უფრო ბევრი მეცნიერი იზიარებდა და როგორც ჩანს, უზნაძე და გველესიანი სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. როგორც ჩანს, ისინი არ ფიქრობენ, რომ სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას შორის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებაზე გადიოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ორი ეპოქა სახელმძღვანელოში განცალკევებული იქნებოდა, რაც ასე არაა. შესაბამისად, ისინი 18 ბრიუმერის გადატრიალებას რევოლუციის დასასრულად არ მიიჩნევენ და აშკარად

[15] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე. – *“ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,* ნაკვეთი XII, თბ., 2013, გვ. 451-458.

ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია 1814 წლამდე გრძელდებოდა. [16] ასე რომ, ვეთანხმებით პროფ.მერაბ კალანდაძეს, რომ „საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე სახელმძღვანელოს ავტორების მსჯელობის მთავარ პლუსად საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია“. [17]

დ.უზნაძის და ი.გველესიანის ზემოხსენებული სახელმძღვანელოს გარდა, ანალოგიურ სქემას ვხედავთ 1918-1921 წელს გამოცემულ სხვა წიგნებშიც. 1920 წელს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ალექსანდრე წერეთელის ავტორობით გამოვიდა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, „მსოფლიო ისტორია, ნაწ.3: ახალი საუკუნეები. სურათებით“. წიგნის VII თავი საფრანგეთის დიდ რევოლუციას ეხება. ავტორი ეხება ძველ რეჟიმს, რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს მოკლედ მიმოიხილავს. ჩვენთვის კი საინტერესო კვლავ ის გახლავთ, რომ ალექსანდრე წერეთელიც ნაპოლეონ ბონაპარტეს ფიგურაზე და მის მოღვაწეობაზე VII თავში წერს - „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“. [18] აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ის საფრანგეთის რევოლუციის ეპოქად მიიჩნევდა ნაპოლეონის ხანას და რევოლუციის პერიოდად ესახებოდა 1789-1814 წლები.

1920 წელს გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ავალიანმა დაწერა - „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები)”. აქაც იგივე სურათს ვხედავთ, ერთ-ერთ თავში „რევოლიუცია“, შედის ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობაც. [19]

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ეს ნაშრომები გვაფიქრებინებს, რომ 1918-1921 წლებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციად 1789-1814 წლებს

---

[16] **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. – *„ქართული დიპლომატია“, წელიწადეული,* 17. თბ., 2015, გვ. 382-408.

[17] **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016. გვ. 25-35.

[18] **ა. წერეთელი.** მსოფლიო ისტორია. ნაწ. 3, ახალი საუკუნეები. სურათებით. თბ., „გამოც. N10 ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა“, 1920, გვ. 61-76.

[19] **ს. ავალიანი.** მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები). ტფ., ქართულ ბეჭვდითი ამხანაგობის გამოცემა N3, 1920, გვ. 159-183.

მიაკუთვნებდნენ. ხსენებულ სახელმძღვანელოებში, რევოლუციისადმი სპეციალურად მიძღვნილ თავებში, ნაპოლეონის მოღვაწეობის განხილვა ამის ნათელი დასტურია. თუმცა, ჩვენ გამონაკლისსაც მივაგენით. ვგულისხმობთ თეიმურაზ ჭუმბურიძის ავტორობით 1920 წელს გამოცემულ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისთვის გამოცემულს წიგნს - „ახალი ისტორია". ჩვენ ვერ ვნახეთ რაიმე ხელჩასაჭიდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭუმბურიძე რევოლუციას 1814 წლით ასრულებდა. მას საფრანგეთის დიდი რევოლუცია ცალკე თავში აქვს გამოყოფილი, ხოლო რევოლუციური ომი და ნაპოლეონის ეპოქა ცალკე. წიგნში არსებული ორი მონაკვეთი გვაფიქრებინებს, რომ ჭუმბურიძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას 18 ბრიუმერის გადატრიალებით ასრულებდა: 1) „ამგვარათ კონვენტმა თავისი მოვალეობა შესრულებულათ სცნო, 1795 წლის გასულს დაიშალა და ხუთასისა და უხუცესთა საბჭოებსა და დირექტორიას დაუთმო ადგილი. აქედან იწყება დირექტორიის ეპოქა, რომელიც 1799 წლამდი გაგრძელდა"[20] - ავტორს არ განუხილავს დირექტორიის ეპოქა, თუმცა ამ ფრაზით სრულდება საფრანგეთის დიდი რევოლუციისთვის განკუთვნილი თავი, რაც ბუნებრივია გვაფიქრებინებს, რომ მას დასასრულად სწორედ 18 ბრიუმერი ესახება; 2) შემდეგ თავში, „რევოლუციური ომები. ნაპოლეონის იმპერია" ავტორს საუბარი აქვს 18 ბრიუმერის გადატრიალებაზე, სადაც წერია „დირექტორიის დროს რეაქცია თანდათან იზრდებოდა. საზოგადოება დიდ მოღლილობას გრძნობდა. რევოლუციის ცხოველმყოფლობაში იმედდაკარგული, იგი მტკიცე ძალაუფლების ფრთებ ქვეშ მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას ეძებდა. ასეთი სულისკვეთების გამომხატველი უმთავრესად ბუჟუაზია იყო, რომელიც ტერორის დროს ზიზღით იგონებდა და ქონების შერჩენისთვის თრთოდა. (მასში დიდი შიში გამოიწვია ქონების განსაზოგადოების მომხრე გრაკხ ბაბეფის შეთქმულებამ, რომელიც 1796 წ. აღმოაჩინეს და რომლის მონაწილენიც სიკვდილით დასაჯეს). საერთო სულისკვეთება რესპუბლიკის საწინააღმდეგო სახელმწიფოებრივ გადატრიალების მოხდენას უწყობდა ხელს. ასეთი გადატრიალება 1799 წელს 9 ნოემბერს

[20] **თ. ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია: უმაღლეს და საშ.სასწავლებელთათვის. ქთ., „მომავალი", 1920, გვ. 157-158.

(რესპუბლიკური კალენდრით, მე-8 წლის 18 ბრიუმერას) ორ დირექტორთან შეთანხმებით, ნაპოლეონ ბონაპარტემ მოახდინა. [21] ცხადია, ამ მონაკვეთსაც იმ აზრისკენ მივყავართ, რომ თეიმურაზ ჭუმბურიძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასასრულად 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალებას მიიჩნევდა, რაც ყველაზე სწორი ვერსიაა და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ეს მოდელია დღეს ფეხმოკიდებული. როგორც ვხედავთ, ასეთივე მოსაზრება ჯერ კიდევ 100 წლის წინ ჰქონდათ ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ეს ცალკეული შემთხვევა გახლდათ და 1918-1921 წლებში ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1814 წლებით ათარიღებდა.

საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესწავლის მეორე ეტაპზე. საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და 1921 წელს ძალდატანებით იქნა გასაბჭოებული. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ისტორია პოლიტიზირებული აღმოჩნდა, ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოექცა. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად, ხოლო განსხვავებული აზრი იდევნებოდა და ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა. ქართველ მეცნიერებს არჩევანი არ ჰქონდათ და საკითხი მარქსისტულად გააშუქეს, თუმცა ამ ნაშრომებში ფასეული მაინც ძალიან ბევრია, რადგან ემპირიზმის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და თუ ამ შრომებს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ დებულებებს ჩამოვაშორებთ, მასში ღირებული მაინც რჩება. საბჭოთა სახელმწიფომ სასურველი იდეოლოგია ძალით მოახვია თავს ისტორიკოსებს. ქართველი მეცნიერები იძულებულები იყვნენ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბურჟუაზიულ-კლასობრივ ხასიათზე გაეკეთებინათ აქცენტი. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართული ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული“ იყო და საფრანგეთის დიდი

[21] **თ. ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია: უმაღლეს და საშ.სასწავლებელთათვის. ქთ., „მომავალი“, 1920, გვ.160-161.

რევოლუციის იაკობინური გააზრების მომხრედ გვევლინება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის პირობებში, სხვა არჩევანი არ არსებობდა. [22]

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართველმა ისტორიკოსებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული გააზრება მოგვცეს. არაერთი საინტერესო მონოგრაფია და სტატია დაიბეჭდა, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას ეხებოდა, თუმცა ეს შრომები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, 1789-1794 წლებს მოიცავდა. ანუ, საბჭოთა კავშირის დროს, ქართული ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას 1789-1794 წლებით ათარიღებდა, რაც ლოგიკური გახლდათ, რადგან როგორც ზემოთ ვახსენეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული“ იყო, იაკობინთა მმართველობაზე და მაქსიმილიან რობესპიერზე გადაჭარბებულად მაღალი აზრის გახლდათ, ხოლო 9 თერმიდორის გადატრიალების და მისი შედეგების მიმართ, სრულ გულგრილობას ამჟღავნებს და რევოლუციას სწორედ 9 თერმიდორის გადატრიალებით ასრულებს. პრაქტიკულად ეს იყო სტალინური სქემა, რომელიც ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ძალით მოახვიეს თავს ისტორიკოსებს, მათ შორის, ცხადია, ქართულ ისტორიოგრაფიას. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქად აღიქვამდნენ 1789-1794 წლებს.

მიუხედავად ცალმხრივობისა ანუ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დროს საკითხმა კიდევ უფრო მეცნიერული დატვირთვა მიიღო. საბჭოთა კავშირის პირველ წლებში საფრანგეთის დიდი რევოლუციით და ასევე ნაპოლეონის ეპოქით განსაკუთრებით გრიგოლ ნათაძე და ალექსანდრე ნამორაძე ინტერესდებოდნენ, ხოლო შემდგომ საკითხით უფრო მეტად დაინტერესდნენ გივი კიღურაძე და კოტე ანთაძე, რომელთაც არაერთი საინტერესო წიგნი თუ სტატია დაბეჭდეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. ზემოხსენებული ავტორები უმეტესად წერენ საფრანგეთის

---

[22] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 292.

დიდი რევოლუციის პირველ ხუთ წელზე, ხოლო 1794 წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული 1799 წლამდე განვითარებული მოვლენები ამ საკითხში მიჩუმათებულია და უმეტესად მხოლოდ ნაპოლეონ ბონაპარტესადმი მიძღვნილ წიგნებში ჩანს ეს წლები.

გამონაკლის ხასიათს ატარებს გრიგოლ ნათაძის წიგნი: „კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, რომელიც 1933 წელს გამოიცა. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაბმული, უწყვეტი თხრობის პირველი მცდელობაა, რომელიც ემყარება პირველწყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და მათ ანალიზს. ერთი შეხედვით ისე ჩანს თითქოსდა ნაშრომი მარქსისტული პოზიციებიდან იყო დაწერილი. ეს ზედაპირზე ძევს და სინამდვილეში საქმე გაცილებით რთულია. პროფ. მ.კალანდაძის შეხედულებით, აქ საქმე გვაქვს მისი ესერული მრწამსის და მარქსიზმის კვეთასთან. ის ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და „ეკონომიკური მატერიალიზმიდან“ მარქსიზმისკენ ევოლუციას ცდილობდა. [23]

ნათაძეს ხსენებულ წიგნში უწერია: „ამ პირობებში ნაპოლეონ პირველმა 18 ბრიუმერს 1799 წელს სრულიად ადვილად მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ახალი, ეგრეთწოდებული მერვე წლის კონსტიტუციის გამოცხადება, ამით თავდება საფრანგეთის რევოლუცია და იწყება, ჯერ კონსულობის და შემდეგ იმპერიის, ანუ სამხედრო ბურჟუაზიული დიქტატური ხანა. [24] ეს კი პერიოდიზაციის იმ მოდელის განსხვავებული ვერსიაა, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გახლდათ მიღებული, ხოლო დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია დამკვიდრებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორს ეს აზრი უფრო ადრე ჰქონდა ჩამოყალიბებული და მისი გამოქვეყნება დროულად მოასწრო, რადგან როგორც ვიცით, ამ წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე წელში იოსებ სტალინის განკარგულებით, ყველა იმ მეცნიერის სასტიკად დევნა დაიწყო, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს და მათ დოგმებს ეწინააღმდეგებოდნენ. ნათაძის ნაშრომი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე,

---

[23] **გ.კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970, გვ. 417-418.
[24] **გ.ნათაძე.** კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., 1933, გვ. 137-138.

რეპრესიებამდე რამდენიმე წლით ადრე გამოიცა, ხოლო შემდგომ დაწერილ შრომებში ქართველი მეცნიერები პერიოდიზაციის იმ ვერსიას იზიარებდნენ, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გახლდათ მიღებული. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ გივი კიღურაძე, რომელმაც მართალია აღნიშნა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1794 წელს დასრულება ნაადრევი უნდა ყოფილიყო, თუმცა მას 1794-1799 წლებზე არ დაუწერია და დიდი ალბათობით, ეს საბჭოთა რეჟიმის გავლენის ან ზეწოლის დამსახურება იყო. ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

გრიგოლ ნათაძის წიგნი საფუძვლიანად აქვს განხილული პროფესორ მერაბ კალანდაძეს. ის წერს, რომ ნათაძეც იმ ისტორიკოსთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც თვლიან, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატიალებით დასრულდა. [25] ნათაძე ზემოხსენებულ ნაშრომში ნაპოლეონის რეჟიმზეც წერს, თუმცა მას აბსოლუტურად განასხვავებს რევოლუციისგან და მას ცალკე გამოყოფილ ადგილს უთმობს. [26] ნათელია, რომ მისი აზრით რევოლუცია 18 ბრიუმერს სრულდება.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია მიმოიხილა ს.ძიმისტარიშვილმაც, რომლის ნაშრომიც 1931 წელს გამოვიდა. ეს გახლავთ საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული 70-გვერდიანი ბროშურა, რომელშიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის არაერთი საინტერესო ფაქტები და ეპიზოდებია აღწერილი (მაგ: გენერალური შტატები, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, პარტიები და კლუბები, ომი ევროპასთან და ა.შ.). განსაკუთრებული ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ ძიმისტარიშვილის თხრობა 1789-1794 წლებს მოიცავს და 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, ერთადერთ საკითხს უთმობს ყურადღებას - ბაბუვიზმს, გრაკხუს ბაბეფს, რაც საბჭოთა იდეოლოგიიდან და ბაბეფის მოღვაწეობიდან გამომდინარე გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ.

---

[25] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 102.

[26] **გ. ნათაძე.** კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., 1933, გვ. 137-140.

ნაშრომის სქემიდან გამომდინარე ვიფიქრებდით, რომ ძიმისტარიშვილის ვერსია პერიოდიზაციასთან დაკავშირებით 1789-1794 წლებია, თუმცა საქმე ასე იოლად არაა. 9 თერმიდორზე თხრობის ბოლოს, ავტორი წერს: „ამრიგად, რევოლუცია თუ თავიდან აღმავალი ხაზით მიმდინარეობდა, 9 თერმიდორიდან ის ძირს ეშვება. კონვენტს შეცვლის დირექტორია 1795 წლის ოქტომბერში, ამ უკანასკნელს - კონსულატი, რომლის ერთ-ერთი წევრი, ნაპოლეონ ბონაპარტე რევოლუციის ნანგრევებზე თავის იმპერიას დაამყარებს (1804-1815), ხოლო ამის შემდეგ რეაქცია ბურბონების რესტავრაცია გვირგვინდება. [27] როგორც ვხედავთ, ძიმისტარიშვილი სულაც არ თვლის, რომ რევოლუცია 9 თერმიდორის გადატრიალებით სრულდება. მისი აზრით, ამ მოვლენით მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება სრულდება და რევოლუცია დასკვნით, დაღმავალ ფაზაში შედის. თუმცა, ავტორი კონკრეტულად არ წერს, თუ როდის სრულდება მისი აზრით რევოლუცია, მაგრამ თუ ზემოხსენებულ ციტატას გავაანალიზებთ, ფრთხილი ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ, რომ ის ნაპოლეონის მმართველობასაც რევოლუციის წლებს ათვლის, რადგან კონვენტს, დირექტორიას და ნაპოლეონის მმართველობის ორივე ეტაპს ერთად მოიხსენიებს, თუმცა ვიმეორებთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვერსიაა, რადგან ამ პატარა ციტატით რაიმეს მკაიფოდ თქმა რთულია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკამათო მოდელთან დაკავშირებით, გივი კიღურაძის აზრი ზემოთაც ვახსენეთ. ჩვენი აზრით, ქართველი ისტორიკოსები კარგად ხვდებოდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საბჭოთა ვერსიის საკამათო ხასიათს, თუმცა ამის თქმა საბჭოთა ეპოქაში საკმაოდ რთული იყო და ვერ ბედავდნენ, რადგან ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ყველაფერს და შესაძლოა, ისტორიკოსს დიდი პრობლემები შექმნოდა (მაგ: სამსახურიდან დათხოვნა, თუმცა სტალინის ეპოქის დროს, საქმე გადასახლებას ან სულაც ფიზიკურ განადგურებას ეხებოდა). მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, გივი კიღურაძემ გაბედა და

[27] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1931, გვ. 61.

საბჭოთა პერიოდის დროს, პირველი ქართველი ისტორიკოსი გახდა, რომელმაც რევოლუციის 1789-1794 წლებით დათარიღება საკამათოდ მიიჩნია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ამის შესახებ 1964 წელს საკუთარ სტატიაში „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ“ დაწერა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა. გივი კიღურაძემ მართებულად აღნიშნა, რომ 9 თერმიდორის გადატრიალებით მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება დასრულდა. რევოლუცია, ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და დაიწყო მისი დაღმავალი ხაზით განვითარება. გამარჯვებული ბურჟუაზია 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, იწყებს მოპოვებული პოზიციების განმტკიცებას, გამარჯვების ნაყოფს როგორც „მემარცხენე“, ისე „მემარჯვენე“ ძალების ხელყოფისგან იცავს. [28]

როგორც აღვნიშნეთ, გივი კიღურაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა განაცხადა რევოლუციის პერიოდიზაციის 1789-1794 წლებით დათარიღების საკამათო ხასიათზე, რასაც თავის სტატიაში პროფესორი მერაბ კალანდაძეც აღნიშნავს. [29] გივი კიღურაძემ ამ პრობლემის შესახებ 1964 წელს მიუთითა. ეს აზრი აქვს გატარებული მას თავის წიგნში „ახალი ისტორია“. [30] თუმცა, მიუხედავად ამისა, მან თავისი სადოქტორო დისერტაციას სწორედ ტრადიციულ პერიოდიზაციაზე ააგო - „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს (1789-1794)“. მან სრულიად გასაგები მიზეზების გამო ვერ გაბედა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული პერიოდიზაცია დაერღვია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ის გულწრფელი არ იყო. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა ცალკეულ ისტორიკოსებს, არამედ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ცდილობს ძალით მოახვიოს თავს ისტორიკოსს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. აი ეს არის ყველაზე უფრო

[28] **გ. კიღურაძე.** 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.107. თბ., 1964, გვ. 224.

[29] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“*, # 9-10, 2015, გვ. 33.

[30] **გ.კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970, გვ. 417-418.

მიუღებელი. თუ არა მისი უეცარი გარდაცვალება, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის ამ საკითხში შეიცვლიდა შეხედულებებს და სწორ პოზიციაზე დადგებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ.კოტე ანთაძის პოზიცია. მან საინტერესო ევოლუცია განიცადა. საბჭოთა პერიოდში მას საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციაზე არაფერი დაუწერია, მაგრამ როგორც ყველა ისტორიკოსი ისიც იაზრებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის საბჭოურ პერიოდიზაციას. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, პირველ ყოვლისა, მარქსიზმისადმი ლოიალური დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. რამდენად იყო ის ამ შემთხვევაში გულწრფელი კარგად გამოჩნდა შემდგომ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან ამ საკითხში სწორი პოზიცია დაიკავა, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

კომუნისტური რეჟიმის უკანასკნელ პერიოდში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გამონაკლისი ვიხილეთ. უფროსი კოლეგის მსგავსად, მერაბ კალანდაძეც თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საბჭოთა ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია (1789-1794 წლები) გადასინჯვას მოითხოვდა და სერიოზულ კრიტიკას იწვევდა (რევენუნკოვის, კიღურაძის მიერ). პროფ.კალანდაძე წერდა, რომ 9 თერმიდორის გადატრიალება მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარების დასასრულს მოასწავებდა. მისი თქმით, რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერს დასრულდა და მიუხედავად საბჭოთა ისტორიკოსების არგუმენტირებული დასკვნისა, კვლავ ძალაში რჩებოდა საფრანგეთის რევოლუციის ძველი დათარიღება, რასაც ის უძრაობის ეპოქის ერთ-ერთ სტერეოტიპს უწოდებდა და სახელმძღვანელოებში სათანადო კორექტირებას შეტანას ითხოვდა. რევოლუციის დასაწყისი ამდენ კამათს არ იწვევდა, თუმცა განსხვავებული ვერსიები აქაც არსებობდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი რევოლუციის საწყისად 1787 წელს, ნოტაბლების მოწვევას მიიჩნევდა, თუმცა გაცილებით უფრო საინტერესოა უშუალოდ 1789 წლის მოვლენებზე საუბარი. პროფ.კალანდაძე მიუთითებდა, რომ ისტორიკოსთა ნაწილი (ოლარი, ტარლე) რევოლუციის დასაწყისად, გენერალური შტატების გახსნას - 5 მაისს მიიჩნევდა, მეორე

ნაწილი 14 ივლისს (მანფრედი), ხოლო ეფიმოვი თვლიდა, რომ რევოლუციის მეცნიერული ისტორია უნდა დაწყებულიყო არა რომელიმე ერთი კონკრეტული თარიღით, არამედ ორმაგი თარიღით, რომელიც ქრონოლოგურად მოიცავს მთელს ისტორიულ პერიოდს 1789 წლის 17 ივნისიდან, ეროვნული კრების გამოცხადებიდან ბასტილიის აღებამდე - 14 ივლისამდე. [31]

მდგომარეობა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და ქართველმა მეცნიერებმაც შვებით ამოისუნთქეს. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობა წარსულს ჩაბარდა და პლურალიზმმა მოიკიდა ფეხი. ჯერ კიდევ 1964 წელს გივი კიღურაძის მიერ გამოთქმული იდეა, ხოლო შემდგომ მერაბ კალანდაძის მიერ გაზიარებული ვერსია აღსრულდა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში გადაისინჯა. აშკარაა, რომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციად 1789-1799 წლები თარიღდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიჯნაზე და მის შემდგომ, საკითხით არაერთი ქართველი ისტორიკოსი დაინტერესებულა. თუმცა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს პროფესორი მერაბ კალანდაძე იჩენს, რომელმაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა საფრანგეთის დიდ რევოლუციას და გამოსცა ეს შრომები, მონოგრაფიებისა თუ სტატიების სახით. მერაბ კალანდაძე ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია ქართველ ისტორიკოსებს შორის, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხით საგანგებოდ ინტერესდება და დეტალურად განიხილავს ამ რთულ პრობლემას. ჩვენ დამუშავებული გვაქვს პროფ. კალანდაძის სტატია, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ეხება. მისი აზრით, სწორი არიან ისტორიკოსთა ის ჯგუფი, რომლებიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789 წლის 5 მაისით იწყებენ და ასრულებენ 1789 წლის 18

[31] **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია: 200 წლისთავი. // *„ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“,* #1, 1989, გვ. 65-66.

ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებით. [32] ეს სავსებით სწორია და ისტორიკოსთა უმრავლესობა რევოლუციის პერიოდს ამ თარიღებს მიათვლის. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც სწორედ ასეა მიჩნეული.

2005 წელს მერაბ კალანდაძის და კოტე ანთაძის ავტორობით გამოიცა წიგნი „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“. ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას ორ თავს უძღვიან და სახელმძღვანელოში ნათლად ჩანს, რომ რევოლუციის დასაწყისად 1789 წლის 5 მაისს, გენერალური შტატების მოწვევით მოიაზრებენ, ხოლო დასასრულს 1799 წლის 18 ბრიუმერს. „1799 წლის დეკემბრის დეკლარაციაში ჩაწერილი ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია“ ლიტონი სიტყვები არ იყო. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საფრანგეთის რევოლუცია დასრულდა“. [33]

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნაირა მამუკელაშვილის და კოტე ანთაძის მიერ დაწერილი მერვე კლასის სასკოლო სახელმძღვანელო ახალი ისტორიის შესახებ. საფრანგეთის დიდ რევოლუციას ცალკე ორი თავი ეძღვნება, ხოლო მესამე თავი „რესპუბლიკიდან იმპერიამდე“ ნაპოლეონის რეჟიმსაც ეხება. აქ ერთ-ერთი გამოყოფილი ქვეთავი 18 ბრიუმერის გადატრიალებაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას სწორედ ამ თარიღით ასრულებენ. [34]

1999 წელს დაიბეჭდა ვაჟა თვალავაძის სახელმძღვანელო „ახალი ისტორია, 1640-1815 წლები“, რომელშიც ფართოდაა გაშუქებული საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ავტორი უწყვეტად მიმოიხილავს მთელ რევოლუციურ პერიოდს და დასასრულად 18 ბრიუმერის გადატრიალებას მიიჩნევს: „საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია მთავრდება 1799

---

[32] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“*, # 9-10, 2015, გვ. 33.

[33] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 107.

[34] **კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი.** ახალი ისტორია: საშ.სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბ., „გულანი“, 1992, გვ. 96.

წლის ბრიუმერის გადატრიალებით. შემდეგ იწყება ერთპიროვნული მმართველობის ხანა - კონსულობა და იმპერია“. [35]

გამონაკლისად გვევლინება დავით ლომსაძის სახელმძღვანელო „ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-1870“. მის წიგნში ძველი (საბჭოთა) ინერცია ჯერ ისევ იგრძნობა. აქ გატარებულია აზრი, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდია 1789-1794 წლები. აი რას წერდა ის: „1789-1794 წლების რევოლუცია იყო პირველი და ერთადერთი ადრე მომხდარ რევოლუციებს შორის“. [36] აქ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხში მისი პოზიცია საკმაოდ გამჭვირვალეა. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს.

ლომსაძის წიგნთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი უნდა გამოვყოთ, რამაც შესაძლოა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციით დაინტერესებული მკვლევარი ან მკითხველი დააბნიოს. მესამე თავი გამოყოფილია საფრანგეთის ახალი ისტორიისთვის. მეორე ქვეთავია „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, ხოლო მესამე - „პირველი იმპერია და ბურბონთა რესტავრაცია“. ავტორი ნაპოლეონის კონსულობის პერიოდზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქვეთავში საუბრობს და მხოლოდ იმპერიაზე თხრობას იწყებს ცალკე თავიდან. ლომსაძეს არ უწერია, რომ 18 ბრიუმერის გადატრიალებით რევოლუცია დასრულდა. მის წიგნში ასეთ რამეს ვკითხულობთ: „18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებით საფრანგეთში მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ნ.ბონაპარტმა დაიწყო რეპრესიები იაკობელთა წინააღმდეგ“.[37] ამ დეტალებით ისე ჩანს, რომ თითქოს ლომსაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის სხვა მოდელს ემხრობა, რომელსაც ზოგიერთი

---

[35] **ვ. თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999, გვ. 175.

[36] **დ. ლომსაძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. 1600-1870. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 85.

[37] **იქვე.** გვ. 89.

ისტორიკოსი ეთანხმებოდა (ალფონს ოლარი, ფილიპ სანიაკი) [38] (ვგულისხმობთ, კონსულობის პერიოდის რევოლუციის წლებად ჩათვლას და რევოლუციას 1804 წლის 2 დეკემბრით დასრულებას, როდესაც ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორი გახდა), თუმცა რეალურად საქმე სხვაგვარადაა ზემოხსენებული ფრაზით ავტორი ფაქტობრივად საკითხისადმი დასკვნას აკეთებს: „1789-1794 წლების რევოლუცია იყო პირველი და ერთადერთი ადრე მომხდარ რევოლუციებს შორის“. ამგვარად, ის პერიოდიზაციის მოძველებულ, საბჭოურ მოდელს მიყვება.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციამ ქართულ სივრცეში საინტერესო ევოლუცია განიცადა. საკითხის გაშუქების წინაისტორიაში, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე მოიცავს, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით იქითკენ ვიხრებით, რომ ქართველი პუბლიცისტები საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1794 წლებით ათარიღებდნენ, თუმცა ამის გადაჭრით მტკიცება რთულია და მხოლოდ საკუთარ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომელიც ჩვენი არგუმენტებით გვაქვს დასაბუთებული. საკითხის შესწავლის პირველ ეტაპზე 1918-1921 წლებში ქართველი მეცნიერები საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას 1789-1814 წლებით მოიაზრებდნენ, ანუ რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას აიგივებდნენ და მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდნენ. საბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიას თავს მოახვიეს საკუთარი დებულებები და ქართველი მეცნიერებსაც სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. საბჭოთა ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდ რევოლუციას 9 თერმიდორის გადატრიალებით ასრულდებდა, თუმცა ქართველ ისტორიკოსებს სინამდვილეში განსხვავებული ხედვა ჰქონდათ და სხვადასხვა პერიოდში ამის დაწერა მოახერხეს კიდეც, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეცნიერთა აბსოლუტური

[38] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“*, # 9-10, 2015, გვ. 33.

უმრავლესობა თანხმდება, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ათ წელს გასტანა - 1789-1799 წლები, რაც ვფიქრობთ სავსებით სწორია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. მ. კალანდაძის დასკვნას საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის ევოლუციაზე. ის სავსებით მიესადაგება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში.[39]

1. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით გამრუდებული იქნა. სულ სხვა აქცენტები დავსვით.

2. ქართულ ისტორიოგრაფიას აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, მეცნიერული გზით მიდიოდა და გვთავაზობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერულ პერიოდიზაციას, რომელსაც ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოები. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული, პირველ რიგში კი რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია.

3. როგორც ირკვევა, აღნიშნული პრობლემით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებში.

4. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება

[39] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016, გვ. 148-153.

ჩანდეს. მან საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია განიცადა. 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში ის სულ სხვა იყო. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა და უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში კი სულ სხვაა. თავდაპირველად ეს იყო 1789-1814 წლები, შემდეგ საბჭოთა ეპოქაში 1789-1794 წლები, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში 1789-1799 წლები. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა XXI საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამორიცხულად არ მიგვაჩნია. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, საკითხის შესწავლის წინაისტორიის ეტაპი, ანუ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1918 წლამდე პერიოდი, სადაც ჩვენი ფრთხილი დასკვნით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თარიღად 1789-1794 წლები ესახებოდათ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ეპოქაში, განსხვავებული ხედვა არსებობდა, რაც ჩვენს ნაშრომში ნათლად გამოჩნდა და ამაზე საკმაოდ ვისაუბრეთ. ისიც მკაფიოდ ჩანს, რომ ამას საკუთარი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. ბოლოსკენ, დასკვნის სახით გვინდა საკუთარი აზრიც გამოვთქვათ ამ რთული საკითხის შესახებ. როდის დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია? გავრცელებულია, რამდენიმე გავრცელებული მოსაზრება. ისტორიკოსთა მცირე ნაწილი თვლის, რომ ეს პროცესი დაიწყო 1787 წელს ნოტაბლების კრების მოწვევით. ეს ნაადრევია, რადგან მესამე წოდების და სამეფო კარის პრინციპული დაპირისპირება ამ ეტაპზე არ ჩანს, მოსახლეობაში უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება, მაგრამ მას 1787 წლისთვის ერთიანი, ორგანიზებული სახე არ აქვს მიღებული და ალბათ, ამ ეტაპზე რევოლუციაზე საუბარი ნაადრევი და არადამაჯერებელია.

ისტორიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს[40], რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1789 წელს დაიწყო, თუმცა კონკრეტულ თარიღზე ბევრი ვერ თანხმდება. ერთი ნაწილი თვლის, რომ რევოლუცია 5 მაისს გენერალური შტატების მოწვევით იწყება, ხოლო მეორე - 14 ივლისს ბასტილიის აღებით. მიგვაჩნია, რომ გარკვეული სიმართლის მარცვალი

[40] **მ.კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. // *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი"*, # 9-10, 2015, გვ. 31.

ორივე მოსაზრებაშია და მცდარი არცერთი ვერსია არ უნდა იყოს. ვგულისხმობთ იმას, რომ გააჩნია როგორი ხედვა აქვს კონკრეტულ ისტორიკოსს და რაზე აკეთებს უმთავრესად აქცენტს. თუ მეტ ყურადღებას მივაქცევთ მესამე წოდების ერთიან იდეას საფრანგეთის მომავალზე, პროტესტს და წინააღმდეგობას სამეფო ხელისუფლების მიმართ, მაშინ ასეთად გენერალური შტატების მოწვევა უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ თუ ისტორიკოსი მთავარ მნიშვნელობას შეიარაღებულ დაპირისპირებას ანიჭებს, მაშინ ცხადია ასეთი ბასტილიის აღებაა, რადგან პირველი სერიოზული შეიარაღებული ბრძოლა ორ მხარეს შორის სწორედ 14 ივლისს ხდება და ამის შემდგომ, რევოლუციური პროცესების შეჩერება შეუძლებელი ხდება. ასე რომ, ვფიქრობთ, სიმართლის მარცვალი ორივე მოსაზრებაში დევს და პრინციპულად მიუღებელი არცერთია.

უფრო რთულადაა საქმე რევოლუციის დასასრულის თარიღთან დაკავშირებით. ზემოთ მიმოვიხილეთ ყველა ვერსია და ჩვენს მოკრძალებულ აზრსაც მოკლედ დავაფიქსირებთ. 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) სახელმწიფო გადატრიალებით რევოლუციის დასრულება გივი კიღურაძის და მერაბ კალანდაძის მსგავსად ჩვენც ნაადრევი გვგონია. აშკარაა, რომ რევოლუცია გრძელდება, თუმცა ისიც ცხადია, რომ პირვანდელი სახით აღარ: 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, დაწინაურებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ მოახერხა ღარიბ ხალხზე გამარჯვება და საბოლოოდ დაშორდა მათ. დაიწყო გამარჯვებული ბურჟუაზიის მიერ რევოლუციით მიღებული ნაყოფის გამოყენება, ხოლო დაბალი ფენების ჩაგვრა კვლავ გრძელდებოდა, რასაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პუბლიცისტებიც აღნიშნავდნენ. რევოლუცია გაგრძელდა, თუმცა დაღმავალ ფაზაში, კვლავ სახეზე იყო პოლიტიკური არასტაბილურობა, სახელმწიფო გადატრიალებების მოლოდინი და ამბოხებები. ეს ყველაფერი კი სწორედ სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა, რომელიც 9 ნოემბერს (18 ბრიუმერს) ნაპოლეონ ბონაპარტემ

მოახდინა და 1799 წლის დეკემბრის დეკლარაციაში ჩაიწერა: „რევოლუცია დასრულებულია“. [41]

მიუხედავად ამისა, ბევრი ისტორიკოსი თვლიდა, რომ რევოლუცია ნაპოლეონის მმართველობის წლებშიც გრძელდებოდა. ერთი ნაწილი რევოლუციის ხანად კონსულობის პერიოდს 1799-1804 წლებს მოიაზრებდა, ხოლო მეორე ნაწილი ნაპოლეონის ეპოქის მთლიან მონაკვეთს საფრანგეთის დიდ რევოლუციას ათვლიდა. ორი აზრი არ არსებობს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის რეჟიმი ერთმანეთს ბევრ რამეში უკავშირდებიან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის სერიოზული განსხვავებები, რაც ამ ორ პერიოდს შორის არსებობს. რევოლუცია ასოცირდებოდა ნგრევასთან, შიმშილთან, შიშთან და არასტაბილურობასთან, ფაქტობრივად ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფო გადატრიალებას, სახელმწიფო გადატრიალება მოსდევდა, შესაძლოა, ადამიანი ერთ დღეს გმირი ყოფილიყო, ხოლო მეორე დღეს მისი თავი გილიოტინაზე მომხვდარიყო და ასე დაესრულებინა სიცოცხლე. მაგალითად, მაქსიმილიან რობესპიერი, რომელმაც მოიშორა დანტონი, ებერი, დემულენი და სხვები, მაგრამ სამიოდე თვეში თავადაც იგივე ბედი გაიზიარა. ასეთ რამეს კი ნაპოლეონის რეჟიმში ვერ შევხვდებით. დიახ, მისი მმართველობის დროსაც იყო გარკვეული ამბოხებები და შეთქმულებები (მაგ: 1800 წლის 24 დეკემბერს, 3 ნივოზს სენტ-ნიკეზის ქუჩაზე მომხდარი თავდამსხმა), თუმცა რევოლუციის პერიოდთან შედარებით ეს ბევრი არაფერია და თანაც, ბონაპარტე ყოველთვის ახერხებდა საქმის გამოძიებას და დამნაშავის სათანადოდ დასჯას. მან მალევე ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა, საფრანგეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა და მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად აქცია. ვფიქრობთ, რომ ამ ორ პერიოდს შორის სერიოზული განსხვავება არსებობს და მათი გამიჯვნა უმჯობესია.

[41] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 107.

შესაბამისად, დარჩა მოსაზრება, რომელსაც თანამედროვე ისტორიკოსების უმრავლესობა სწორად მიიჩნევს - საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალებით სრულდება.

არსებობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეტაპების შიდაპერიოზაციაც, რაც ასევე საინტერესოა, თუმცა მას ცალკე გამოკვლევა და განხილვა სჭირდება, რაც ამჯერად ჩვენი მიზანი არ ყოფილა და ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღნიშნული საკითხის ზოგად პერიოდიზაციაზე საუბრით დავკმაყოფილდით.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789-1791 წლების (დამფუძნებელი კრების) შესწავლა საქართველოში

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე წერისას ნათლად დავინახეთ, რომ ისტორიკოსებს ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვა და მოსაზრებები გააჩნიათ. ასეთი სურათი მთლიანად ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი ფონია. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძალზე ძნელი იქნება მოვძებნოთ სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესი, რომელსაც ერთმანეთისგან ასე განსხვავებული შეფასებები გააჩნია. საინტერესოა, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსების ჟიულ მიშლესა და პიერ შონიუს მოსაზრებები საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან დაკავშირებით. მიშლეს სიტყვებია: „საფრანგეთი გადარჩენილი იქნა ორჯერ, ერთხელ ჟანა დ'არკის მიერ, ხოლო მეორედ რევოლუციის მიერ". შონიუ კი ამბობდა: „საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო აბსოლუტური ბოროტება, ეროვნული დაცემის პერიოდი, ყველა ტოტალიტარული სისტემის წინამორბედი". [42]

როგორც ვხედავთ, ეს საკითხისადმი ორი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ხედვაა. პირველ თავშიც ვთქვით და გავიმეორებთ, რომ ყველაზე სწორი იყო მიშელ ვოველი, რომლის აზრითაც, „საფრანგეთის დიდი რევოლუცია არის მწვავე საკითხი, რომლის გარშემოც საფრანგეთში არასდროს ყოფილა სახალხო შეთანხმება". ისტორიკოსებს შორის საკამათოა არა მხოლოდ რევოლუციის დადებითი თუ უარყოფითი როლი, არამედ თითქმის ყველა ცალკეული საკითხი: იაკობინთა და ჟირონდელთა მოღვაწეობა, რევოლუციის გამომწვევი მიზეზები, აგრარული საკითხი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობა და ა.შ. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალფონს

[42] **მ. კალანდაძე.** ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ., „არტანუჯი", 2011, გვ. 35.

ოლარი აიდიალებდა დანტონის მოღვაწეობას, ხოლო რობესპიერის მიმართ დაუფარავი მტრობით იყო განსჭვალული, ალბერ მატიეზი კი სრულიად საპირისპიროს ფიქრობდა და მისთვის რობესპიერია გახლდათ გმირი, ხოლო დანტონის კულტის წინააღმდეგ ილაშქრებდა. აშკარაა, რომ ოლარი და მატიეზი საკუთარი მსოფლმხედველობის მიხედვით მსჯელობენ. ოლარი ლიბერალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია, ხოლო მატიეზი - რადიკალური. შესაბამისად, მათი ასეთი შეხედულებები გასაკვირი არაა.

საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792) ისტორიკოსების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასდროს არ ყოფილა. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, ცხადია, შემთხვევითი არაა და მისი მიზეზები მათ მსოფმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ფრანგული ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს (1789-1792) დადებითად აფასებდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ რევლუცია ზემოდან, ზომიერი რეფორმები, კონსტიტუციური მონარქია, სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციებზე იდგა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ის საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს (1789-1792), დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობას გულგრილად ეკიდებოდა. მათი სიმპათია იაკობონებისაკენ იხრებოდა.

დამფუძნებელმა კრებამ 1789-1791 წლებში გაატარა უნიკალური რეფორმები. ავტორიტარულ-ადმინისტრაციული სისტემა, აბსოლუტური მონარქია ჩაანაცვლა ახალმა სახელმწიფოებრიობამ, რომელსაც საფუძვლად ედო არა წოდებრივი პრივილეგიები, არამედ არჩევითობის პრინციპი. ეს ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო. მეორე ეს გახლავთ ადამიანის და მოქალაქის უფლება. თანდათან მკვიდრდება სიტყვის და ბეჭდის თავისუფლება, ხელისუფლების საჯარო კრიტიკა.

1791 წლის 3 სექტემბერს საფრანგეთის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია მიიღეს. წოდებრივი პრივილეგიები ჩაანაცვლა კანონის უზენაესობამ. საფრანგეთის რევოლუციამ დაუდო სათავე სამოქალაქო თანასწორობის იდეას. იკვეთება სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების კონტურები. ამ პროცესს ჰქონდა როგორც თავისი პლუსები,

ისე მინუსები. მაგალითად, მოქალაქეები აქტიურად და პასიურად დაყოფა. ამიტომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის გაიდიალება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. კიდევ უფრო მიუღებელია ამ პერიოდის შეუფასებლობა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნებოდა გამოვარკვიოთ თუ როგორ არის შესწავლილი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდი (1789-1792) ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხი არის რთული, საინტერესო და ამ კუთხით შესწავლილი არ ყოფილა.

პირველი ნაბიჯი ამ პრობლემის დამუშავების გზაზე გადადგა პროფ.მერაბ კალანდაძემ. მისი შრომები, „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“, [43] „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“ [44] და „საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში“ [45] ამ პრობლემის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენი ნაშრომი ამ თემატიკის შესწავლის გაგრძელებად გვევლინება. ამ საკითხის შესწავლის საქმეში ჩვენს უშუალო წინამორბედად, სწორედ ის მოგვევლინა.

პირველმა თავმა ნათლად დაგვანახა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, სხვადასხვა ეპოქაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და ამ მოვლენით ქართველი პუბლიცისტები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუახანებიდან დაინტერესდნენ, ხოლო 70-იანი წლებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის თხრობამ ქართული პრესის ფურცლებზე ინტენსიური ხასიათი მიიღო, რასაც თავისი ახსნა აქვს. ქართველი პუბლიცისტების მიერ საფრანგეთის ისტორიით და კონკრეტულად

---

[43] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.

[44] **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., „არტანუჯი“, 2016.

[45] **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში. // ჟურნ. *„საქართველოს კომუნისტი“*, #7, 1989.

საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რევოლუციის დროს, ფრანგი ხალხის გმირული ქცევით და თავდადებით აღფრთოვანებულნი იყვნენ ქართული პრესის გამორჩეული წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ რევოლუციურ მოვლენებს და ცდილობდნენ, რომ კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქართული საზოგადოება დაინტერესებინათ. ქართველი საზოგადო მოღვაწეები ამით ცდილობდნენ ერთის მხრივ ქართულ საზოგადოებაში საკითხის პოპულარიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ კი ამით ხდება დასავლური იდეალების ქართულ რეალობაში გადმოტანა, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა სამ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: 1) 1918-1921 წლები, როდესაც საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის პერიოდი; 2) საბჭოთა პერიოდი; 3) საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე. მას წინ უძღვოდა საკითხის წინაისტორია, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და 1918 წლამდე გაგრძელდა.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდით (1789-1792) დაინტერესება სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში გვიმტკიცებდნენ. მან, ვფიქრობთ, საინტერესო ევოლუცია განიცადა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ სქემას, რომელიც შემოგვთავაზა პროფ. მ.კალანდაძემ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ევოლუციის საკითხში და ვცადეთ ეს სქემა ამ კონკრეტული საკითხისთვის მიგვესადაგებინა. [46]

თავდაპირველად საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს (1789-1792) ქართული საზოგადოება თანაუგრძნობდა, სიმპათიით ეკიდებოდა. ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად იმით გახლდათ განპირობებული, რომ ის სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს, რევოლუცია

[46] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., „არტანუჯი“, 2016, გვ. 150-152.

ზემოდან, ზომიერი გარდაქმნები, კონსტიტუციური მონარქია - „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრიოთ“. ამგვარი დამოკიდებულების კულმინაციად მიგვაჩნია საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის (1789-1792) შეფასების დროს ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი პოზიცია ეკავა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, მეცნიერული გზით მიდიოდა. ეს იყო მისი მთავარი პლუსი.

მკვეთრად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს წინგადადმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ პერიოდს (1789-1792) ძალზე გულგრილად ეკიდება, რაც მნიშვნელოვანწილად მათი იაკობინოცენტრისტული სიმპათიებით იყო განპირობებული.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს (1789-1792) და ცდილობს მის რეაბილიტაციას, რაც უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციით აქტიურად ინტერესდებოდნენ და წერდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, დავით მიქელაძე და გიორგი წერეთელი. ქართველი პუბლიცისტების წერილებს სამეცნიერო დატვირთვა არ გააჩნია და ეს იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით ბუნებრივიცაა, თუმცა მასში თავმოყრილია მდიდარი და საინტერესო ინფორმაცია, რასაც მაშინდელი ქართული საზოგადოება მოკლებული იყო და ავტორების მიზანი პირველ რიგში საკითხის პოპულარიზაცია გახლდათ, რასაც თავი მშვენივრად გაართვეს. ჩანს, რომ ისინი შესანიშნავად იცნობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას და არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს ამ მოვლენასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ქართველი პუბლიცისტების მიერ საფრანგეთის ახალი ისტორიის გაშუქებით საგანგებოდ დაინტერესდა პროფესორი ვარლამ დონაძე და საინტერესო წიგნი დაწერა „საფრანგეთის

ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა“, რომლის ერთ-ერთი თავი ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება.[47] თავდაპირველად, საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესება პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის ჩარჩოებს არ ცილდება.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში კარგად ჩანდა, რომ ავტორები ჯეროვნად აფასებდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ მოვლენის შედეგები გასცდა საფრანგეთს და თითქმის მთელს ევროპას მოედო. აი რას წერდა გაზეთი „ივერია“: “საკვირველი ზემოქმედება იცის საფრანგეთმა სხვა ქვეყნებზედ. 1789 წელს, როდესაც საფრანგეთმა ყველა ევროპის სახელმწიფოთა უწინარეს აღმართა თავისუფლების დროშა, საფრანგეთის ხმაურობა ნაღარასავით გაისმოდა მთელ ევროპაში ხან აქ ეძლეოდა ბანი და ხან იქ. ასე იყო წარსულში და ამჟამადაც თითქმის ასე არის. რად იყო ასე – ამის გამოკვლევას ვერ შევუდგებით. ჩვენ აქ მოგახსენებთ მხოლოდ მას, რომ აწინდელს საფრანგეთის მოძრაობას არამც თუ მარტო თვით საფრანგეთისთვის აქვს მნიშვნელობა, არამედ მისი ავი თუ კარგი სხვა სახელმწიფოს ბედსაც ერჩის”.[48]

ქართველი პუბლიცისტები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ რევოლუციის გამომწვევი მიზეზებით. ისინი საკითხისადმი საფუძვლიან ცოდნას ავლენენ და არაერთი საინტერესო შეხედულება შემოგვთავაზეს.

საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისად 1789 წლის 5 მაისი ითვლება, როდესაც ვერსალში შეკრებილი გენერალური შტატების საზეიმო გახსნისას, მესამე წოდებამ, იმის ნაცვლად, რომ ქუდმოხდილებს მუხლი მოეყარათ, ქუდი დაიხურა - ეს რევოლუციური პროტესტი იყო. რეალურად კი, საფრანგეთის დიდი რევოლუციისთვის საერთო ნიადაგის მომზადება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე 1789 წელი გახლდათ. ამას, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკის გამორჩეული მოღვაწენიც აღნიშნავდნენ.

---

[47] **ვ. დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა: (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., “უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1978, გვ. 32-45.

[48] **რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია.** - გაზ. *“ივერია“*, #25, 1877, გვ. 1.

„საფრანგეთის რევოლუცია, ბუნებრივად უნდა გამოსულიყო წარსულ დღეთა მღელვრებიდან. უშუალო მიზეზები, რომელთაც რევოლუცია გამოიწვია, გაჩნდნენ არა 1789 წელს, არამედ არსებობდნენ მანამდე“ - აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძე. [49]

ნიკოლაძე წერს: „საფრანგეთის დიდი რევოლუცია პრივილეგიურსა და არაპრივილეგიურ კლასებს შორის წარმოებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ლოგიკური შედეგი იყო. რაინდების შთამომავლობასა და სამღვდელობას ხელში ეკავათ თითქმის მთელი საფრანგეთის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების ნახევარი. დანარჩენ მიწებზე აგრეთვე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ვრცელდებოდა მათი სენიორალური უფლება და ამგვარად, ის მიწა, რომელიც საზოგადოდ, მთელ სახელმწიფოს მარჩენალია, თითქმის სულ ერთიანად რამდენიმე კაცის ხელში ჩავარდნილი იყო” – წერდა ნიკოლაძე ჟურნალ “კრებულში”.[50]

ნიკოლაძის მიერ გამოთქმული მიზეზები სწორია. გარდა ამისა, ის საკუთარ სტატიებში ბევრს წერს ხალხის უკიდურეს გაჭირვებაზე და საუბრობს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და სხვა ძირითადი დარგების ჩამორჩენილობაზე, თუმცა ერთ რამეზე სათანადო ყურადღებას არ ამახვილებს. რევოლუციის გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მენტალობაა, რომლითაც ფრანგი ხალხი განსხვავდებოდა სხვა ერებისგან. მე-18 საუკუნის მიწურულს, გლეხობის მდგომარეობა უარესი იყო გერმანიაში და რუსეთში, თუმცა რევოლუცია მოხდა საფრანგეთში, რაც სწორედ ფრანგი ხალხის მენტალობით იყო განპირობებული. შესაძლოა, ნიკო ნიკოლაძეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეკონომიკური მიზეზები შედარებით მკრთალად, სუსტად ჰქონდა გაცნობიერებული.

რევოლუციის გამომწვევი მიზეზების გარდა, ქართველი პუბლიცისტები დაინტერესდნენ და სტატიები მიუძღვნეს რამდენიმე ცალკეულ საკითხს. ყურადღება იქნა მიპყრობილი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხზე. აქ ვგულისხმობთ 1906

---

[49] **ნ. ნიკოლაძე.** რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის კათედრა“,* თხზ. ტ. I, თბ., 1962, გვ. 195.

[50] **ახალი საფრანგეთი.** - ჟურნ. კრებული, #1, 1870, გვ. 125-126.

წელს ქარუმიძის მიერ თარგმნილ სტატიას „გლეხთა საკითხი საფრანგეთში“, რომელიც ამ საკითხით დაინტერესების პირველ სიმპტომებად გვევლინება. [51] ამ ნაშრომს პირველი ახსენებს პროფ. გივი კიღურაძე, მაგრამ არ არჩევს. [52] ეს ბროშურა დეტალურად განიხილა პროფ. მ.კალანდაძემ თავის მონოგრაფიაში „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“. [53] ამიტომ ამ თემაზე საუბარს მეტს აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ დავძენთ, რომ ამ ნაშრომმა თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. იმავე წელს დაიბეჭდა სტატია „მეფის გაპარვა პარიჟიდან“ [54], რომელიც ზ.ჩიჩუამ თარგმნა და ვარენის კრიზისს ეხება, როდესაც მეფე პარიზიდან გაიქცა და ქალაქ ვარენში იქნა დაკავებული. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარი დაზიანებული აღმოჩნდა და სტატიაზე სრულფასოვანი წარმოდგენა ვერ შევიქმენით. ამ ბროშურას პროფ. გივი კიღურაძე ასახელებს ჩამონათვალში[55], მაგრამ არ განიხილავს, რაც, როგორც ჩანს, იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ბროშურა სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს. ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას.

ქართველი პუბლიცისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პოპულარული საკითხი იყო ბასტილიის აღება, რომელმაც რადიკალურად შეცვალა საფრანგეთში მანამდე არსებული სიტუაცია. 1906 წელს ქუთაიში გამოვიდა 22-გვერდიანი ნათარგმნი ბროშურა „ბასტილიის აღება“[56], სადაც განხილულია ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და უახლოესი შედეგი. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო დავით მიქელაძის ნაშრომმა, რომელიც სამი წლის განმავლობაში საფრანგეთში იმყოფებოდა. პროფ. გ.

---

[51] **პ.ქარუმიძე.** გლეხთა საკითხი საფრანგეთში. // გაზ. „შრომა“, #4, 1906, გვ. 4.

[52] **გ.კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970, გვ. 362.

[53] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006, გვ. 21-24.

[54] **საფრანგეთის ისტორიიდან, მეფის გაპარვა პარიჟიდან.** - თფ., „სტ.იმედი“, 1906.

[55] **გ.კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970, გვ. 361.

[56] **ბასტილიის აღება.** - გამოცემა ალ.რ[უსა]ძისა. ქთ., 1906.

კიღურაძე ჩამონათვალში[57] ამ ნაშრომს არ იხსენიებს და ეტყობა, ღვაწლმოსილ მეცნიერს უნებლიეთ გამორჩა.

“14 ივლისის რევოლუციამ სრულიად შეცვალა ფრანციის სახელმწიფო წყობილება”[58] – აღნიშნავს დავით მიქელაძე, რომელმაც აღნიშნულ მოვლენაზე გაზეთ “დროებაში” ვრცელი სტატიები გამოაქვეყნა, რომელთა განხილვაც უფრო სიღრმისეულად დაგვანახებს ამ უმნიშვნელოვანეს დღეს.

მიქელაძე 1870 წელს განათლების მისაღებად პარიზში გაემგზავრა, სადაც 1873 წლამდე დარჩა. ის საფრანგეთის დედაქალაქიდან “დროებას” იქაურ თანამედროვე ამბებზე და ისტორიულ ფაქტებზე მასალებს უგზავნიდა. მან ბევრი გამოჩენილი ადამიანი გაიცნო და დაუახლოვდა. უშუალოდ შეესწრო ბასტილიის აღების დღესასწაულის აღნიშვნას და ამიტომაც, მისი წერილის განხილვა კიდევ უფრო საინტერესოა.

მის სტატიაში დამაჯერებლად ჩანს ბასტილიის აღების გამოწვევი მიზეზები, ხალხის მღელვარება და აბსოლუტუზმის ციხე-ბურჯის აღებით გამოწვეული შედეგები. საინტერესოა, მიქელაძის დამოკიდებულება საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის მიმართ. ქართველი პუბლიცისტი მას ახასიათებს, როგორც მერყევი ხასიათის მქონე, სუსტ მონარქად, რომლის მართვაც იოლი იყო, რასაც მშვენივრად ახერხებდა დედოფალი მარია-ანტუანეტა და სამეფო კარი, რომლებიც ხალხის მიმართ აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილი და სწორედ მათი დიდი დამსახურებაა, რომ ლუი ხალხის წინააღმდეგ წავიდა, რამაც ჯერ ბასტილიის აღება და აბსოლუტიზმის დაცემა გამოიწვია, ხოლო მოგვიანებით საერთოდ მონარქია აღესრულა. მიქელაძის აზრით, ჭკვიანი მეფე დაპირისპირების თავიდან აცილებას მოახერხებდა და აღელვებულ ხალხს დაამშვიდებდა, მაგრამ ძველი რეჟიმის უკანასკნელი მეფე სულ სხვა პოლიტიკას ადგა. ლუიმ დაუჯერა თავის გარემოცვას და მინისტრი ნეკერი,

[57] **გ.კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970, გვ. 361.
[58]**დ. მიქელაძე.** საფრანგეთი, ბასტილიის აღება. // გაზ. *„დროება“*, #29-30, 1872.

რომელიც ხალხს უყვარდა – მოიშორა, რამაც ხალხის მრისხანება და სამეფო კარისთვის სავალალო შედეგი გამოიწვია. [59]

ცალკეული სტატიების და ბროშურების გარდა, ამავე პერიოდში დაიბეჭდა ორი წიგნი, რომლებიც პირველ თავში ვახსენეთ. ვლადიმერ ლორთქიფანიძემ საინტერესო სტატიები დაბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, რომელშიც საფრანგეთის რევოლუციას მიმოიხილავს. შემდგომში, მან ეს სტატიები, ცალკე წიგნად გამოსცა[60]. საფრანგეთის რევოლუციას ცალკე ნარკვევი მიუძღვნა ნოე ჟორდანიამაც [61] . როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ წიგნებში საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე თხრობა ბოლომდე არაა მიყვანილი, თუმცა ჩვენს საკვლევ პერიოდს ორივე წიგნი სრულად მოიცავს. ჟორდანიას ნაშრომი „დიდი რევოლიუცია (1789)“ ეხება 1789-1794 წლების პერიოდს, ხოლო ლორთქიფანიძის ბროშურა 1789 წლიდან იწყება და სრულდება 1793 წლის პირველი ნახევრის მოვლენების მიმოხილვით, როდესაც კონვენტში ძალაუფლების მოსაპოვებლად ორი პარტია - ჟირონდისტები და იაკობინელები იბრძოდნენ. ორივე წიგნში რევოლუციის გამომწვევი მიზეზებით დაწყებული, გაბმული თხრობა გრძელდება, დასახელებულ მონაკვეთებამდე. წიგნების ავტორები პოლიტიკოსები არიან, ფედერალისტი ლორთქიფანიძე და მენშევიკთა ლიდერი ჟორდანია. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება და ამ სფეროში მათ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ასეთი მკაცრი მიდგომა ძალზე ხისტად მიგვაჩნია. ორივე ამ ნაშრომს შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. მათი მთავარი ამოცანა იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაცია. ამ მისიას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო. ორივე ეს ნაშრომი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში, რაც მე-20 საუკუნის ქართული

---

[59] **დ. მიქელაძე.** საფრანგეთი, ბასტილიის აღება. // გაზ. *„დროება“*, #29-30, 1872.
[60] **ვ.ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თბ., 1906.
[61] **ნ.ჟორდანია.** საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906.

ისტორიოგრაფიის ფონზე, უდაოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ შრომების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ვ.ლორთქიფანიძის წიგნზე ვრცლად არის საუბარი პროფ. მ.კალანდაძის წიგნში „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“ და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. [62]

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის წინაისტორიის პერიოდში საქართველოში ცოტა ნამდვილად არ გაკეთებულა. დაიბეჭდა პოპულარიზაციაზე გათვლილი არაერთი საინტერესო სტატია, ბრუშურა და ორი წიგნი, რომლებმაც იმდროინდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანეს და საკუთარი მიზანი პირნათლად შეასრულეს.

ამრიგად, 1918 წლამდე საქართველოში დამფუძნებელი კრების (1789-1791) საქმიანობის პოპულარიზაცია პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის ჩარჩოებს არ გასცილებია. ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს მათი ნააზრევის მნიშვნელობას და ქართულ რეალობაში მისი შეფასების პირველ მცდელობად მიგვაჩნია. დამფუძნებელი კრების საქმიანობისადმი დადებითი დამოკიდებულება მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება.

1918 წლიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ჩვენ არ გვხვდება საფრანგეთის დიდი რევოლუციასთან დაკავშირებით ცალკე შრომები და გამოკვლევები, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს არაფერი კეთდებოდა და საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე არაფერი იწერებოდა. პირიქით, 1918-1921 წლებში ქართული ისტორიოგრაფია თვისებრივად წინ წავიდა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციამ მეცნიერული ელფერი შეიძინა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის პოზიცია, თითქოს ამ პერიოდში არაფერი გაკეთებულა, პოლიტიზირებულია და საფუძველს მოკლებულია.

---

[62] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006, გვ. 17-20.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობამ მხოლოდ სამ წელს გასტანა, შემდეგ კი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა. ამ სამ წელიწადში ქართველმა ისტორიკოსებმა მოასწრეს ახალი ისტორიის რამდენიმე ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერა.[63] ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ გაცილებით ფართო მიზნები გააჩნდათ, თუმცა გასაგები მიზეზების გამო ამის გაკეთება ვერ მოასწრეს და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს დ.უზნაძე და ი.გველესიანი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მათი სიმპათია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი. ისინი მიესალმებიან რევოლუციის დასაწყისს, ზემოდან რეფორმებს, კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. რევოლუცია ზემოდან ძალიან კარგად შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავნგრიოთ“ - ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარვალს და ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები (შესაძლოა, ისინი როგორც ლიბერალები ცოტათი აჭარბებდნენ დამფუძნებელი კრების (1789-1791) დამსახურებას.

დ.უზნაძის და ი.გველესიანის წიგნში მოკლედ არის განხილული ძველი რეჟიმი და რევოლუციის გამომწვევი მიზეზები, შემდეგ კი გენერალური შტატების და დამფუძნებელი კრების მოწვევა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი ქვეთავი „ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია“, რომელშიც ბასტილიის აღების შემდგომ, საუბარია 4 აგვისტოს დეკრეტზე, რომლის მიხედვითაც გაუქმდა მთელი რიგი ფეოდალური ვალდებულები, თუმცა სახელმძღვანელოში წერია, რომ „საღამოს სხდომაზე, გაუქმებულ იქმნა გამოსყიდველად ყოველგვარი ფეოდალური ვალდებულება, უპირატესობა, პრივილეგია, მონოპოლიები,

---

[63] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 290.

რითაც ასე მდიდარი იყო ძველი წესწყობილება“.[64] აშკარაა, ავტორები თვლიან, რომ ფეოდალიზმი ამ დეკრეტით მთლიანად მოისპო, თუმცა რეალობა სულ სხვაა. 4 აგვისტოს ღონისძიებებით მხოლოდ ფეოდალური ვალდებულებების ნაწილი გაუქმდა, მის სრულ ლიკვიდაციამდე ჯერ კიდევ შორი იყო და ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. აქვე მოკლედაა განხილული დამფუძნებელი კრების საქმიანობა, დეკლარაცია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ“ , 1791 წლის კონსტიტუცია და გრაფი მირაბოს მოღვაწეობა.[65]

ალექსანდრე წერეთელის ავტორობით გამოცემულ წიგნში მოკლედაა აღწერილი ძველი რეჟიმის ეპოქა, რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და სამეფო კარის უკანასკნელი ცდა რეფორმების, რომელიც წარუმატებლად დასრულდა და მონარქია ჯერ მკვეთრად შეზღუდვისგან, ხოლო შემდეგ განადგურებისგან ვერ იხსნა. გარდა ამისა, წერეთელი განიხილავს გენერალური შტატების მოწვევას, ბასტილიის აღებას და დამფუძნებელი კრების დაარსებას. ისიც ეხება 1789 წლის 4 აგვისტოს დეკრეტს და წერს, რომ „მოვლენების ზეგავლენით ეროვნულმა ყრილობამ 1789 წლის აგვისტოს ოთხის ღამის კრებაზე მოსპო საფრანგეთში ბატონყმობა, თუმცა გლეხების მებატონის წინაშე სხვა და სხვა მოვალეობათა გამოსყიდვა აღიარა საჭიროდ. საკვირველი არაა, თუ ამას გლეხები ვერ შეურიგდნენ და მათი მოძრაობა გარეშე ამ დადგენილებისა მიმდინარეობდა“.[66] შეგვიძლია ვთქვათ, ავტორი ამჩნევს, რომ რეალურად ამ დეკრეტით ფეოდალური ვალდებულებები არ გაუქმებულა და გლეხებს კიდევ ბევრი ბრძოლის გადატანა მოუწიათ საკუთარი მიზნის შესასრულებლად. წერეთელი წერს „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაზე“ და განხილული აქვს მისი როგორც დადებით, ასევე უარყოფითი მხარეები. ამ უკანასკნელში რასაკვირველია, მოქალაქეების აქტიურ და პასიურ ნაწილად დაყოფას ვგულისხმობთ,

---

[64] **დ.უზანაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ., სახალხო საქმ-ის გამოცემა #1“, 1919, გვ. 88.

[65] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., „არტანუჯი“, 2016.

[66] **ა. წერეთელი.** მსოფლიო ისტორია. ნაწ. 3, ახალი საუკუნეები. სურათებით. თბ., „გამოც. N10 ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა“, 1920, გვ. 68.

რომლის მიხედვითაც არჩევნებში და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ აქტიურ ანუ გადასახადების გადამხდელ ფენას ჰქონდა, ხოლო მეორე ფენა პოლიტიკურად უუფლებო აღმოჩნდა. აღნიშნული წესდების წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებდა იაკობინთა ბელადი მაქსიმილიან რობესპიერი, რომელსაც მოქალაქეების აქტიურ და პასიურ ნაწილად დაყოფა უდიდეს უსამართლობად მიაჩნდა. წერეთელის წიგნში თხრობა ეხება საფრანგეთის დეპარტამენტებად დაყოფას, კონსტიტუციის სხვადასხვა დეკრეტებს, მათ შორის სამღვდელოების ახლებურად მოწყობას და მეფის გაქცევის მცდელობას საფრანგეთიდან.

დაახლოებით ანალოგიურ სქემას ვხვდებით ს.ავალიანის მიერ დაწერილ წიგნშიც.[67] ისიც მოკლედ განიხილავს ძველ რეჟიმს, რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს, გენერალური შტატების მოწვევას, ბასტილიის აღებას და დამფუძნებელი კრების საქმიანობას. ასეთივე ხაზს მიყვება თეიმურაზ ჭუმბურიძეც. [68] ისინი მოკლედ გადმოგვემენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საკითხებს, რომლებიც სწორად არის დასმული და გადმოცემული. ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა ს.ავალიანის და თ.ჭუმბურიძის სახელმძღვანელოებში უფრო ფართო გარჩევა ყოფილიყო. ეს ძალიან მოკლეა.

ამ სახელმძღვანელოების მთავარ პლუსად საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792) დადებითი დამოკიდებულება მიგვაჩნია. ამგვარიმიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზები მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ისინი როგორც ლიბერალები მიესალმებიან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებას, მის პირველ ეტაპს, რეფორმებს ზემოდან, კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას. აი აისახა სავსებით რეალური ვითარება. საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობა სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ისინი მხარს უჭერდნენ რევოლუციას ზემოდან.

---

[67] **ს. ავალიანი.** მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები). ტფ., ქართულ ბეჭდითი ამხანაგობის გამოცემა N3, 1920.

[68] **თ. ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია: უმაღლეს და საშ.სასწავლებელთათვის. ქთ., „მომავალი“, 1920.

მათთვის მისაღებია ლოზუნგი „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრიოთ“. რევოლუციას ქვემოდან ისინი თავშეკავებით ეკიდებიან.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით სასურველი იქნებოდა, რომ ავტორები შეხებოდნენ 1789 წლის 2 ნოემბრის დეკრეტს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადგენილებაა დამფუძნებელი კრების პერიოდში. ვგულისხმობთ, ოტენის ეპისკოპოსის ტალეირანის ინიციატივით მიღებულ დეკრეტს, რომლის თანახმადაც მთელი საეკლესიო ქონება ეროვნულ საკუთრებად გამოცხადდა. 1790 წლის ივლის-ნოემბრის დეკრეტების მიხედვით დამფუძნებელმა კრებამ დააწესა სამღვდელოების სამოქალაქო მოწყობა. ეკლესიას ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების აქტების რეგისტრირება. სახელმწიფო ვალდებულებას იღებდა, რომ სასულიერო პირებისთვის ხელფასი გაესტუმრებინა, სამაგიეროდ მათ კონსტიტუციის წინაშე ფიცი უნდა დაედოთ, რასაც სამღვდელოების დიდი ნაწილი უარყოფითად შეხვდა და ფიცის დადებაზე უარი განაცხადა. [69] ვფიქრობთ, ტალეირანის ინიციატივით მიღებული ამ დეკრეტის განხილვით დამფუძნებელი კრების საქმიანობა კიდევ უფრო საინტერესოდ იქნებოდა წარმოჩენილი, თუმცა ავტორებმა სამწუხაროდ ამ საკითხს ყურადღება თითქმის არ დაუთმეს.

სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებს საგანგებო ყურადღება დაუთმო და შეისწავლა პროფესორმა მერაბ კალანდაძემ, რომელმაც 2017 წელს საინტერესო სტატია გამოსცა „სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები“, სადაც ავტორი საუბრობს ამ წიგნების მნიშვნელობასა და ადგილზე საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში. პროფესორი მ.კალანდაძე ხსენებულ სახელმძღვანელოებზე მაღალი აზრისაა და

[69] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 97.

ფიქრობს, რომ პოზიტივი დომინირებს ნეგატივზე [70], რასაც ჩვენ ვეთანხმებით. ის სამართლიანად აკრიტიკებს მარქსისტულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას, რომელიც თვალს ხუჭავდა სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში გამოცემული სახელმძღვანელოების როლზე და საქმეს ისე აჩვენებდა, თითქოს საბჭოთა კავშირის შექმნამდე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის და სწავლების თვალსაზრისით არაფერი კეთდებოდა, რაც ცხადია სწორი არ უნდა იყოს. სახელმძღვანელოებს ჰქონდა გარკვეული ნაკლი და ხარვეზი, რასაც ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, არ გაურბოდნენ და თავად აღიარებდნენ. დიმიტრი უზნაძე წერდა: „არც ჩემი ნაშრომია დადინჯებული და დამშვიდებული მუშაობის შედეგი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და, უდროვოდ მომწიფებული აღმოჩნდეს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ ნაშრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისთვის, პრაქტიკისა და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით ჩემი ნაშრომი უფრო მომწიფებული და დასრულებული ნაწარმოების სახეს მიიღებს“. [71] სამწუხაროდ, მათი სამომავლო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან საქართველომ 1921 წელს დამოუკიდებლობა კვლავ დაკარგა, ხოლო საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პროცესები სულ სხვაგვარად განვითარდა.

ამრიგად, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაცია ახალ ფაზაში შედის და სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს, რამაც უმთავრესად ასახვა ჰპოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. დროის იმ მცირე მცირე მონაკვეთში უბრალოდ მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა, და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში ჩადიოდნენ, გამართულებული არ უნდა იყოს.

---

[70] **მ. კალანდაძე.** სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. // *„ანალები“,* #13, 2017, გვ. 215.

[71] **მ. კალანდაძე.** სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. // *„ანალები“,* #13, 2017, გვ. 229.

დამფუძნებელი კრების (1789-1791) საქმიანობის შეფასების დროს ქართულ ისტორიოგრაფიას მეცნიერული გზა ჰქონდა არჩეული, სწორი ვექტორი ჰქონდა დასახული, სწორი კურსით მიდიოდა და დამფუძნებელი კრების საქმიანობას დადებითად აფასებდა, რაც მათი ლიბერალური შეხედულებით გახლდათ გამოწვეული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. რადიკალურად შეიცვალა სურათი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. ფართოდ მოიკიდა ფეხი დამფუძნებელი კრების საქმიანობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ. თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილებები ასოცირდება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიასთან, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. [72]

მივადექით საკითხის შესწავლის მეორე ეტაპს, რომლის დასაწყისად 1921 წელი ანუ საქართველოს გასაბჭოება ითვლება. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა, რომ სულ სხვა გზით წასულიყო, რადგან ტოტალიტარულმა რეჟიმმა საკუთარი იდეოლოგია ძალით მოახვია თავს ქართველ მეცნიერებს და მათ არჩევანი არ დაუტოვა. საბჭოთა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის სწავლებამ, პოპულარიზაციამ და შესწავლამ მკვეთრად გამოხატული მეცნიერული დატვირთვა შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. საკითხისადმი მაქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა და იდევნებოდა. ქართველ ისტორიკოსებსაც სხვა გზა არ ჰქონდათ, მათ აირჩიეს მეცნიერული

[72] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016. გვ. 150-151.

პრობლემა და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. უნდა ითქვას, რომ ემპირიზმის და ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარა იყო და ამაზე თვალის დახუჭვა არ ღირს. [73]

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის რევოლუციაზე არაერთი საინტერესო ნაშრომი დაიწერა. ქართველმა ისტორიკოსებმა ყურადღება სხვადასხვა კონკრეტულ საკითხს მიაპყრეს, რომელთაგან უნდა გამოვყოთ აგრარული კანონმდებლობის შესწავლა, რომლითაც ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით დაინტერესდნენ. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ.კალანდაძე, აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის და მეცნიერული შესწავლის, შერწყმის, შეხამების მცდელობად გვევლინება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. გრ.ნათაძის, პროფ. ალ.ნამორაძის, პროფ. გ.კიღურაძის, პროფ. კ.ანთაძის, პროფ. ვ.დონაძის, პროფ. ნ.მამუკელაშვილის, პროფ. მ.კალანდაძის საინტერესო გამოკვლევები.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლით პირველი გრიგოლ ნათაძე დაინტერესდა, რომლის გზა შემდგომ ალექსანდრე ნამორაძემ გააგრძელა. ნათაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ნაშრომი დაწერა „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი აგრარული კანონმდებლობისა“,[74] რომელიც თავის წიგნში საფუძვლიანად აქვს გარჩეული პროფესორ მერაბ კალანდაძეს - „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. [75] პროფ. მ.კალანდაძე ფიქრობს, რომ ნათაძის ამ საკითხით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი რუსული სკოლა და უპირველეს ყოვლისა ივან ლუჩიცკია, რომელსაც ის კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს ძალიან

---

[73] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 291-292.

[74] **გ.ნათაძე.** რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა. თბ., „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922, გვ. 156-177.

[75] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998.

დაუახლოვდა და აგრარული თემით ნათაძის დაინტერესებას კონკრეტული მიმართულება მისცა. კიდევ ერთი მიზეზი, რაც შეიძლება ნათაძის აგრარული თემატიკით დაინტერესება იყოს ესერთა პარტიის აქტიური წევრობაა. ბუნებრივია, რომ ის დიდ ყურადღებას იჩენდა აგრარული პრობლემებისადმი საქართველოში. [76]

პროფესორი კალანდაძე ყურადღებას პირველ რიგში იმაზე ამახვილებს, რომ ნათაძის ზემოხსენებული ნაშრომი წმინდა კვლევითი ხასიათისაა. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილია ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციების თავისუფალი აზროვნების პირობებში, რაც ადვილი გასაგებია და იმითაა გაპირობებული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველ ხანებში ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხები ისე მწვავედ არ იგრძნობოდა და ნათაძემ ნაშრომის გამოქვეყნება მოასწრო. [77]

გრიგოლ ნათაძე ემხრობოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის რომელიმე ცალკეული საკითხის შესწავლას და არ ეთანხმებოდა რესტავრაციის ისტორიის ფრანგ ისტორიკოსებს, რომლებიც წერდნენ რევოლუციის მთლიან ისტორიას. ის თავის გამოკვლევაში დიდ ადგილს უთმობს 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტების განხილვას, რაც ამ საკითხის ასეთი დეტალური ანალიზის და ფართოდ გაშუქების პირველი სერიოზული მცდელობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ამ დეკრეტის შესახებ და ვთქვით, რომ მას აღიქვამდნენ, როგორც ფეოდალიზმის საბოლოოდ ლიკვიდაციის აქტს, თუმცა რეალურად საქმე სხვაგვარადაა და ეს გრიგოლ ნათაძეს არ გამორჩენია. ის მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ფეოდალიზმის საბოლოო ლიკვიდაციაზე საუბარი ნაადრევი იყო. ნათაძე იზიარებდა ლუჩიცკის თვალსაზრისს, რომ „4-11 აგვისტოს დეკრეტის თანახმად გაუქმებული სენორალური რეჟიმი მთელი თავისი არსებით ძალაში დარჩა და

---

[76] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 82.

[77] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 82.

ამდენად მისი მოსპობა მხოლოდ ქაღალდზე მოხდა“. [78] გრიგოლ ნათაძე არაფერს ამბობს მეათედის გაუქმებაზე, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის სუსტი რგოლია.

კიდევ ერთი სერიოზული საკითხი, რომელსაც პროფ. გ.ნათაძემ ყურადღება მიაქცია არის 1790 წლის 15 მარტის და 8 მაისის დეკრეტები. ამ კანონების მიმართ მისი დამოკიდებულება სკეპტიკურია, რაც საკამათოა, რადგან 15 მარტის დეკრეტით ნაწილობრივ გაუქმდა ტრიაჟის კანონი, რაც აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. [79]

პროფ. გ ნათაძის შემდეგ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლით ალექსანდრე ნამორაძე დაინტერესდა. მან აღნიშნულ საკითხს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა, რომელიც პროფ. მ.კალანდაძემ საგანგებოდ შეისწავლა და მათ შესახებ ზემოხსენებულ წიგნში ისაუბრა. ალექსანდრე ნამორაძის დაინტერესებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მიმართ პროფესორი კალანდაძე ორი მიზეზით ხსნის: 1) რუსული სკოლის გავლენა; 2) 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, არსებული რეალური სინამდვილე, რომელიც აგრარული საკითხი გადაწყვეტილი იქნა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მიერ ძალისმიერი მეთოდებით, კოლექტივიზაციის მიერ. ალექსანდრე ნამორაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხით იმიტომ დაინტერესდა, რომ ეძებდა მისი გადაჭრის რეალურ გზებს საქართველოში. ამიტომ მის მიერ თემის არჩევანი არა მარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფრიად აქტუალურია. [80]

როგორც ვთქვით, ამ საკითხით პირველი გრიგოლ ნათაძე დაინტერესდა, თუმცა პროფ ალ. ნამორაძის დამსახურება ისაა, რომ მან ამ თემას უფრო მეტი სიღრმე მისცა.

---

[78] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 83.

[79] **იქვე.**

[80] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ.179.

ნამორაძის შრომებმა რუსული ისტორიოგრაფიის ყურადღებაც მიიპყრო, რაც იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ნამორაძე 1912 წელს სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა საფრანგეთში, სადაც ის ამ საკითხის პირველწყაროებს გაეცნო, რაც მისი დიდი პლუსია. „ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თუ არა 1912 წლის სამეცნიერო მივლინება საფრანგეთში, არ გვეყოლებოდა ისეთი თვითმყოფადი, საკუთარი ხელწერის მქონე ისტორიკოსი, როგორიც იყო ბ-ნი ალექსანდრე ნამორაძე“. [81]

პროფ. ა.ნამორაძე განსაკუთრებით დაინტერესდა სათემო მიწების გადანაწილების საკითხით, რაც საკმაოდ რთული საკითხი იყო. ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს აზრით, სათემო მიწები ძველი საფრანგეთის საზოგადოებრივ ეკონომიკაში უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ. ნამორაძემ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესახებ ექვსი ნაშრომი დაწერა, თუმცა ეს შრომები არ ეხება რევოლუციის დასაწყისის ან დამფუძნებელი კრების პერიოდს და მათ ჩვენი ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ, რომელიც საკანონმდებლო კრების პერიოდის შესწავლას შეეხება.

საკმაოდ საინტერესო და თითქმის შეუსწავლელი საკითხით დაინტერესდა პროფ. გ. კიღურაძე. საუბარი გვაქვს საფრანგეთის არმიის შესახებ რევოლუციის დროს. უნდა ითქვას, რომ ის დღემდე ერთადერთია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო და მისი მონოგრაფია „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792)“ [82] მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისთვის და მიუხედავად მარქსისტულად გაშუქებისა, დღემდე ინარჩუნებს ფასეულ როლს. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ავტორს საკითხისადმი ღრმა ცოდნა გააჩნია და იყენებს მდიდარ ლიტერატურას: გამოქვეყნებულ პირველწყაროებს და მემუარებს, საარქივო მასალას, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ბეჭდური წესით გამოქვეყნებულ მასალებს, უცხოურ ლიტერატურას, სამეცნიერო სტატიებს და ა.შ.

---

[81] **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 83.

[82] **გ. კიღურაძე.** საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1982.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ძველი არმიის მდგომარეობაზე, რევოლუციის წინა პერიოდში და მის დასაწყისში, განიხილავს ჯარში არსებულ მდგომარეობას რევოლუციური პროცესების მიმდინარეობისას, ოფიცერთა პოზიციას რევოლუციამდე და რევოლუციის დასაწყისში. პროფესორი კიღურაძე განიხილავს დამფუძნებელი კრების რეფორმებს არმიაში და წერს, თუ როგორ გადავიდა არმია რევოლუციის მხარეზე, მიუხედავად მონარქისტი ოფიცრების ბევრი მცდელობისა, რომ ასე არ მომხდარიყო.

სამწუხაროა, რომ გივი კიღურაძე ამ ნაშრომის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. ის 1978 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო წიგნი 1982 წელს დაიბეჭდა. მას ამ თემაზე კიდევ ჰქონდა ნამუშევარი და მონოგრაფიის მეორე ნაწილის, ანუ წიგნის გაგრძელების გამოშვებაც იგეგმებოდა, თუმცა ამის გაკეთება გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ მოხერხდა. კიღურაძის ნაშრომის მაღალი სამეცნიერო ხარისხი აღიარა რუსულმა ისტორიოგრაფიამაც. ამ ნაშრომზე დადებითი აზრის იყო ცნობილი ისტორიკოსი პროფესორი ბორის პორშნევი და მიზანშეწონილად მიაჩნდა გივი კიღურაძის ნაშრომის ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემა, რაც ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიიის წარმატებების საკავშირო და საერთაშორისო აღიარება იყო.[83] ზემოხსენებულ ნაშრომზე მაღალი აზრისაა პროფესორი მერაბ კალანდაძე, რომელიც ამ მონოგრაფიას საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის მწვერვალად, კულმინაციად მიიჩნევს. [84]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია ისტორიკოსი ს.ძიმისტარიშვილი. მან დაწერა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი საფრანგეთის რევოლუციაზე.[85] ის ყურადღებას უთმობს ძველი რეჟიმის პერიოდს, საფრანგეთის ეკონომიკურ მდგომარეობას მე-18 საუკუნეში, სოფლის მეურნეობის დონეს და რევოლუციური პროცესის მომზადებას. ავტორს არ

---

[83] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 293.

[84] იქვე.

[85] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931.

გამორჩენია ჩვენს მიერ მრავალჯერ ნახსენები 4-11 აგვისტოს დეკრეტი და საკმაოდ საინტერესოდ განიხილა. ის წერს, რომ ჯერ კიდევ 3 აგვისტოს დამფუძნებელი კრებას არ სურდა დეკრეტის მიღება და ხალხისთვის მიმართვას აპირებდა, რომ „დამფუძნებელი კრება მეტად გართულია უფრო „საჩქარო და სერიოზული“ საკითხებით, იგი ენერგიულად მუშაობს კონსტიტუციის შემუშავებაზე და ერისთვის სხვა საკეთილდღეო საკითხებზე, რომ დამფუძნებელ კრებას ჯერჯერობით არ გააჩნია დრო და საშუალება შეუდგეს გლეხთა საკითხის გარჩევას და მოგვარებას“. [86]

დამფუძნებელმა კრებამ გვერდი ვერ აურა პროვინციებიდან მოსულ ამბებს, სადაც გლეხების გამოსვლები მიმდინარეობდა მემამულეების წინააღმდეგ, გაითვალისწინა რევოლუციის პერიოდში მიმდინარე მოვლენები და საბოლოოდ 4-11 აგვისტოს დეკრეტით მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „კრება სრულიად სპობდა ფეოდალურ წესებს, მაგრამ უსასყიდლოდ ისპობიან ისეთი ვალდებულებანი, რომელნიც გლეხის პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობენ (მკვდარი ხელის უფლება, ბეგარა და სხვა), ხოლო მიწათმფლობელობასთან, კერძო საკუთრების პრინციპებთან დაკავშირებული ვალდებულებანი გლეხობამ უნდა გამოისყიდოს“.[87] დეკრეტის შინაარსის მიხედვით, ცხადია, რომ ფეოდალური სისტემა რეალურად არ განადგურებულა და ეს მხოლოდ ფურცელზე მოხდა.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელზეც ძიმისტარიშვილმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაა. ავტორი აღნიშნავს ფრანგი განმანათლებლების როლს, რომელთა იდეებზეც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული ბურჟუაზია აღიზარდა. ძიმისტარიშვილი წერდა, რომ მესამე წოდების ყველა ფენისთვის ფრანგი განმანათლებლების პრინციპები მისაღები იყო და დამფუძნებელი კრებაც სწორედ ამ ნიადაგზე იდგა, თუმცა განსხვავებას, რომელიც მესამე წოდების მაღალ და დაბალ ფენებს შორის არსებობდა, ავტორი კარგად ხედავდა და აღნიშნავდა: „ჩვენ

[86] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931, გვ. 27.
[87] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931, გვ. 27.

ვიცით, რომ მოსახლეობის დაბალ ფენებს, პროლეტარულ ელემენტებს, ეს თავისუფლებები არსებითად არაფერს აძლევენ, მათთვის ეს საშუალებაა და არა მიზანი“. [88] ასეთი მიდგომა დეკლარაციის პრინციპებისადმი ცოტათი ხისტად მიგვაჩნია და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაციის ლოგიკური შედეგია.

ძიმისტარიშვილი ასევე საუბრობს მუშების მდგომარეობაზე, რომელთა მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. ავტორი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო „ბურჟუაზიული“ რევოლუცია, შესაბამისად მართვა-გამგეობა ერგო მდიდარ ბურჟუაზიას, რომელთაც დაბალი ფენა და მათი ინტერესები მალევე დაივიწყა, ხოლო ღარიბ-ღატაკთა შემოტევის საპასუხოდ, დამფუძნებელმა კრებამ აკრძალა კრებები და კავშირები, რითაც გააქარწყლა „წინააღმდეგობის“ გაწევის პრინციპი - საუბარია ლე-შაპელიეს კანონზე. ამ დეკრეტით, ილახებოდა მუშათა ინტერესები, პროტესტის გამოთქმის ყოველგვარი საშუალება ეკარგებოდათ და გაცილებით იოლად ხდებოდა მუშათა ექსპლოატაცია. ავტორი მართებულად აღნიშნავს: „ამრიგად, დიდი რევოლუციის გამარჯვება ჯერჯერობით მსხვილმა ბურჟუაზიამ დაისაკუთრა, ხოლო მუშების და გლეხების საქმე სულ უკან მიდიოდა“. [89]

ს.ძიმისტარიშვილის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ დღეს, ცხადია მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება. დასრულდა ტოტალიტარული რეჟიმის მონოპოლიის, დიქტატის ხანა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წნეხისგან და დაუბრუნდეს საწყის ღირებულებებს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შვებით ამოისუნთქა, ახლა მას შეეძლო საკუთარი არჩევანი

---

[88] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931, გვ. 28.
[89] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931, გვ. 32.

გაეკეთებინა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ქართველ ისტორიკოსებს კვლავ შეეძლოთ საკითხისადმი მრავალვარიანტული, პლურალისტური მიდგომა, რაც ისტორიული მეცნიერებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო იაკობინოცენტრიზმი. იაკობინთა დიქტატურა განიხილებოდა როგორც რევოლუციის მსვლელობის მწვერვალი. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია იაკობინოცენტრისტული იყო. უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ გადასინჯა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ უარი თქვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იაკობინურ წაკითხვაზე. სცადა მისი „დეიაკობინიზაცია“. ახლა რევოლუციის ყველა ეტაპს სათანადო ყურადღება დაეთმო. ეს უფრო სწორი მიდგომა იყო და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის (1789-1792) რეაბილიტაცია, კონკრეტულად დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის დადებითი შეფასება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები გვევლინება: პროფ. კ.ანთაძის და პროფ. ნ.მამუკელაშვილის ავტორობით გამოსული მერვე კლასის სასკოლო სახელმძღვანელო, [90] პროფ. კ.ანთაძის და პროფ. მ.კალანდაძის საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია [91] და ვაჟა თვალავაძის ახალი ისტორია (1640-1815). [92] ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია და აქა-იქ კვლავ გვხვდება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, იმას, რომ საფრანგეთის რევოლუციის იაკობინოცენტრისეულ ხედვას

---

[90] **კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი.** ახალი ისტორია: საშ.სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბ., „გულანი“, 1992.

[91] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.

[92] **ვ.თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999.

მომხრეები დღესაც ყავს. მათთვის ნიშანდობლივია დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების და საერთოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი (1789-1792) თავშეკავებული დამოკიდებულება.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით დაინტერესებას იჩენდა პროფ. მერაბ კალანდაძე. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს მას, პირველ ყოვლისა, პროფ. გ.კიღურაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგია. ეს ცხადია, ძალიან კარგია. მან შეძლო მოეძებნა საკუთარი ბილიკი, თავისი ნიშა. ეს იყო ქართული რეალობა „საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში“. ეს სიახლე იყო. მას გააჩნდა ქართული კონტექსტი და აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციით მისი დაინტერესება ორ პერიოდად იყოფა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. საბჭოთა პერიოდი და პოსტსაბჭოთა ხანა. ეს ცხადია, ძალიან კარგია და საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ რამდენად გულწრფელი იყო მისი დამოკიდებულება მარქსიზმთან. ამ ეტაპზე მარქსიზმთან მისი დამოკიდებულება, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნება ლოიალურად მივიჩნიოთ.

საწყის ეტაპზე მისი დაინტერესება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრობლემების მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის შეხამების, შერწყმის, მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ის, ბუნებრივია, მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებშია მოქცეული. ამის გამო მისი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერ-კრიტიკულად მიგვაჩნია. როგორც მას უყვარს თქმა „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნება.

კონკრეტულად ამ შემთხვევაში გვაინტერესებს მისი დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792). ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი შრომები: პირველ რიგში ეს გახლავთ ნაშრომი „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“,

რომელიც მსოფლიო ისტორიის ამ ღირშესანიშნავი მოვლენის 200 წლისთავს ეძღვნება.[93] ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას ეხება მისი ამავე სახელწოდების ნაშრომი, რომელიც ასევე საფრანგეთის დიდი რევოლუციის საიუბილეო თარიღს ეხმიანება.[94] ეს იყო დეკლარაციის პრინციპებისადმი საბჭოური მიდგომის გადასინჯვის ერთ-ერთი მცდელობა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების მირაბოს და ლაფაიეტის რეაბილიტაციას ისახავს მიზნად ნაშრომები „ბაირონი საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებზე“ [95] და მარკიზ ლაფაიეტზე [96]. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი (1789-1792) გულგრილი დამოკიდებულების გადასინჯვაზეა საუბარი მის კიდევ ერთ ნაშრომში „საფრანგეთის დიდი რევოლუციის „თეთრი ლაქები“. [97] მართალია, ძველი სტერეოტიპები და შტამპები აქა-აქ ჯერ კიდევ გვხვდება, მაგრამ ახლისკენ შემობრუნების ტენდენცია ძალუმად იგრძნობა და ამის დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა.

დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობის რეაბილიტაციის მცდელობის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება მისი ორი წიგნი: ერთი ეს გახლავთ მისი სახელმძღვანელო, რომელიც დაწერა პროფ. კ.ანთაძესთან ერთად „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, [98] ხოლო მეორეა მისი საინტერესო მონოგრაფია „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“. [99] სახელმძღვანელოში მოცემულია დამფუძნებელი და საკანონმდებლო

---

[93] **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია: 200 წლისთავი. // *„ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“,* #1, 1989, გვ. 65-66.

[94] **მ. კალანდაძე.** ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. // ჟურნ. *„საქართველოს კომუნისტი“*, #11, 1990.

[95] **მ.კალანდაძე.** ბაირონი საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებზე. // გაზ. *„მოამბე“*, #1, 1993.

[96] **მ.კალანდაძე.** მარკიზ დე ლაფაიეტი. – *„გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების კრებული“, ნაწ. 2.* გორი, 1996.

[97] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთი რევოლუციის „თეთრი ლაქები“. // ჟურნ. *„კლდეკარი“,* #2, 1997.

[98] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.

[99] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006.

კრების საქმიანობის დაბალანსებული შეფასება. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკის დადებითი შეფასება ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

ამრიგად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის (1789-1792), კონკრეტულად, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობის რეაბილიტაციის გზაზე პროფ. კ.ანთაძემ და პროფ. მ.კალანდაძემ პირველი ნაბიჯი გადადგეს. ეს საბჭოთა პერიოდის შემდეგ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

აგრარული საკითხის გარდა, პროფესორი კალანდაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის სხვა პრობლემებითაც ინტერესდება, რისი დასტურიც მისი სამეცნიერო შრომებია. მათ შორის პირველ თავში გამოყენებული მონოგრაფია, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ეხება - „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“. მას სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს საფრანგეთის რევოლუციის სხვადასხვა საკითხის შესწავლის შესახებ საქართველოში და ასევე, გაბმულად აქვს დაწერილი ამ მოვლენის შესახებ სახელმძღვანელოში, რომელიც კოტე ანთაძესთან ერთად დაწერა - „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“. ამ სახელმძღვანელოს ორი თავი საფრანგეთის დიდ რევოლუციას ეხება. [100] წიგნი მარტივ ენაზეა დაწერილი და მკითხველს შეუძლია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ მოკლე, ზოგადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ ცოდნა მიიღოს. ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილი პირველი თავია „საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისი“, რომელის შედგება რამდენიმე ქვეთავისგან და მოკლედ არის განხილული, გენარალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, დამფუძნებელი კრება, საკანონმდებლო

---

[100] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 95-107.

კრება, ომის დასაწყისი და მონარქიის ლიკვიდიაცია. პროფესორი კალანდაძე როგორც ვთქვით, ძალზე მნიშვნელოვნად მოიხსენიებს 1790 წლის მარტი-მაისის დეკრეტებს, თუმცა ამ წიგნში ის ნახსენები არაა[101] და ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ამ დეკრეტების შესახებაც მოკლედ დაწერილიყო.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის უფრო ფართო თხრობა მოგვცა პროფ. ვაჟა თვალავაძემ, რომელმაც თავის წიგნში „ახალი ისტორია, 1640-1815 წლები“ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ამ მოვლენას. წიგნის მე-6 თავი საფრანგეთის დიდი რევოლუცია, შედგება რვა ქვეთავისგან, რომელთაგან რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო პერიოდს მოიცავს: „საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რევოლუციის დაწყებამდე“, რომელშიც ავტორი განიხილავს ძველი რეჟიმის დროს არსებულ ვითარებას და რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს. პროფ. ვ.თვალაძე განიხილავს სამივე წოდების, გლეხობის და სხვა ღარიბი ფენების მდგომარეობას. საუბრობს, ფრანგ განმანათლებლებზე და მათ წვლილზე რევოლუციის იდეურ მომზადებაში. საინტერესოდ აღწერს რევოლუციისწინა უკანასკნელ წლებს და ახსენებს 1787 წელს ნოტაბლების მოწვევას, რასაც 1789 წელს მოჰყვა გენერალური შტატები მოწვევა, რომელიც 1614 წლიდან აბსოლუტური მონარქიის მიერ მივიწყებული იყო. თვალავაძე ეხება გენერალური შტატების გახსნას, დეპუტატების მოთხოვნებს და ბასტილიის აღების ამბებს, შემდეგ კი რევოლუციურ გაზეთებს, პარტიებს და კლუბებს მიმოიხილავს. ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხს, დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო მოღვაწეობას. ის პირველ რიგში ეხება აგრარულ საკითხს და განიხილავს 4-11 აგვისტოს დეკრეტებს, რომელიც სწორად ჩვენი აზრით ზუსტად აქვს შეფასებული: „1789 წ. 4-11 აგვისტოს მიღებული კანონით უქმდებოდა მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფეოდალური ვალდებულებები („მკვდარი ხელის უფლება“, სენიორული სასამართლოები, სერვიტუტი, ნადირობის განსაკუთრებული უფლება და ა.შ.), ძირითადი, რეალური გადასახადები და

[101] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 96-99.

ვალდებულებები კი (ჩინში, ბეგარა, ერთჯერადი გადასახადი ცენზივის გაყიდვისა და მემკვიდრეობის მიღების დროს, საეკლესიო მეათედი და ა.შ.) რჩებოდა . მათი გამოსყიდვა გლეხის შესაძლებლობებს აღემატებოდა, ხელისუფლება კი მათ არავითარ დახმარებას არ უწევდა. ამიტომ გლეხთა გამოსვლები შემდგომშიც გაგრძელდა".[102]

პროფ. თვალავაძემ მიმოიხილა 1790 წლის ივნის-ნოემბრის დეკრეტები, რომლითაც ოტენის ეპისკოპოსი ტალეირანი გამოვიდა, განხორციელდა საეკლესიო რეფორმა და ეკლესია სახელმწიფოს დაექვემდებარა. მას არც ლე შაპელიეს დეკრეტი გამორჩენია, რომელიც 1791 წელს მიიღეს და ამით მუშებს აეკრძალათ სხვადასხვა კავშირების და ორგანიზაციების შექმნა, რომლითაც სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. საუბარი აქვს, მოქალაქეების ქონებრივი ცენზის საფუძველზე აქტიურად და პასიურად დაყოფაზე, რომლის მიხედვითაც პასიური მოქალაქეები ფაქტობრივად ვერანაირ პოლიტიკურ როლს ვერ ასრულებდნენ, რაც დამფუძნებელი კრების საქმიანობის აქილევსის ქუსლად გვევლინება. ეს აზრი აქვს გამოთქმული კლუჩევსკის და კიდევ ბევრს. „ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში" ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო - „ყველა მოქალაქეს აქვს უფლება პირადი ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს კანონების გამოცემაში". [103] მოქალაქეების აქტიურად და პასიურად დაყოფა ამ დებულებას აშკარად ეწინააღმდეგებოდა და კონსტიტუციიდან აშკარა გადახვევას წარმოადგენდა.

ნახსენებია 1790 წლის 19 ივნისის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა და მასთან დაკავშირებული ტიტულები: გრაფი, მარკიზი, თავადი, ჰერცოგი და ა.შ. იკრძალებოდა საგვარეულო გერბებით სარგებლობა. განხილულია ადმინისტრაციული დეკრეტებიც: 1790 წლის 15 იანვრის დეკრეტი, რომლითაც საფრანგეთი 83 დეპარტამენტად დაიყო და 1790 წლის მაის-ივნისის დეკრეტი, რომლითაც პარიზი ძველი

---

[102] **ვ.თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1999, გვ. 148-149.

[103] **ვ.თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1999, გვ. 150-151.

დისტრიქტების ნაცვლად, დაიყო 48 სექციად. სექციის კრებებზე დასწრება მხოლოდ აქტიურ მოქალაქეებს შეეძლოთ და ამაზე უფრო ვრცლად მომდევნო თავში ვისაუბრებთ. უნდა ითქვას, რომ 1790 წლის მარტი-მაისის დეკრეტებზე თვალავაძეს არ უწერია, რაც სასურველი იქნებოდა.

საფრანგეთის დიდ რევოლუციას თავის წიგნში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-1870“, მოკლედ მიმოიხილავს ისტორიკოსი დავით ლომსაძე. ის სწორია, როდესაც ამბობს, რომ 4-11 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა მხოლოდ ზოგიერთი ფეოდალური პრივილეგია, თუმცა ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ამით გლეხობა მიიმხრო და მალე თითქმის ყველა გადასახადი და ბეგარა გაუქმდა. [104] ასე არ ყოფილა. გლეხობამ კიდევ ბევრი იბრძოლა, იმისთვის რომ ფეოდალური წყობილების ლიკვიდაცია მომხდარიყო და ამას მხოლოდ ეროვნული კონვენტის დროს მიაღწია.

ეს, ჩვენი აზრით, ძალიან სუსტი ნაშრომია. ის ქართული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღე უფროა, ვიდრე დღევანდელი. სქემა, რომელიც საფუძვლად უდევს საფრანგეთის დიდი რევოლუციის განხილვას, საბჭოურია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი (1789-1792) დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მიერ გატარებული რეფორმებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საფრანგეთის რევოლუციის პირველი პერიოდისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება, ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. საკვანძო საკითხებზე მსჯელობა, ჩვენი აზრით, ცოტა მოიკოჭლებს და დამაჯერებლად არ გვესახება.

ამრიგად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789-1791 წლების (დამფუძნებელი კრების არსებობამდე) პერიოდის, საქართველოში შესწავლის სამივე ეტაპის და წინაისტორიის დროს განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა. საკითხის შესწავლის

[104] **დ. ლომსაძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. 1600-1870. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 68.

წინაისტორიაში პოპულისტულ ნაშრომებს ვხვდებით, რომელშიც ორგან არის გაბმული თხრობა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ცალკეულ საკითხებს ეთმობა ყურადღება. ქართველი პუბლიცისტების ყურადღებას აშკარაა, რომ ყველაზე მეტად რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და ბასტილიის აღება იმსახურებდა, თუმცა სხვა პრობლემების, მაგალითად აგრარული კანონმდებლობის მიმართაც საკმაო ინტერესი არსებობდა.

1918-1921 წლების სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში საკითხის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული სახე მიიღო, რისი დასტურიც ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებია. როგორც აღვნიშნეთ, ავტორებს ცალკეულ თემატიკაზე საგანგებოდ არ დაუწერიათ, თუმცა მთლიანად მოვლენა მაღალ დონეზე აქვთ გაშუქებული და იმდროინდელი რეალობიდან გამომდინარე, მოთხოვნებს აშკარად აკმაყოფილებენ. მათ საკუთარ ამოცანას თავი კარგად გაართვეს და გაცილებით ფართო გეგმები ჰქონდათ, თუმცა გასაგები მიზეზების გამო, მათ ამის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ქვეყანაში ახალმა რეალობამ დაისადგურა, რომელიც ცხადია ქართულ მეცნიერებას და მათ შორის ისტორიოგრაფიასაც შეეხო.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლამ, რომლითაც განსაკუთრებით გრიგოლ ნათაძე და ალექსანდრე ნამორაძე ინტერესდებოდნენ. გივი კიღურაძემ საგანგებოდ საფრანგეთის არმია შეისწავლა რევოლუციის პერიოდში, ხოლო კოტე ანთაძემ საგანგებოდ გამოიკვლია 10 აგვისტოს გადატრიალება და მისი გამომწვევი მიზეზები, რაზეც ჩვენ ვრცლად მომდევნო თავში ვისაუბრებთ. გარდა ამისა, მოვლენის გაბმული თხრობაც არ დარჩენილა კალამს მიღმა და ს.ძიმისტარიშვილის ნაშრომის ამის მაგალითია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში საფრანგეთის რევოლუციის და მისი კონკრეტული საკითხების შესწავლით პროფესორი მერაბ კალანდაძე ინტერესდება, რომელიც განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენს ცალკეული პრობლემების შესწავლით საქართველოში. ამის ნათელი დასტურია მისი მონოგრაფიები „საფრანგეთის

დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“ და „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“. პროფესორი კალანდაძე ასევე ინტერესდება საკითხის პერიოდიზაციით ქართულ ისტორიოგრაფიაში და სხვა საინტერესო საკითხებით, რომელთაც ქართული კონტექსტი გააჩნიათ და ეს ძალზე მისასალმებელია. ჩვენც სწორედ აქეთკენ გვიჭირავს გეზი, რადგან ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქართული კონტექსტი საკმაოდ საინტერესოა, მთელი რიგი საკითხებისა შეუსწავლელია და ამ პრობლემებზე მუშაობა პერსპექტიულად გვესახება. ჩვენი მოცემული ნაშრომი ამის ერთ-ერთ პირველ მცდელობად მიგვაჩნია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1791-1792 წლების (საკანონმდებლო კრების) შესწავლა საქართველოში

1791 წლის 30 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ არსებობა შეწყვიტა და ის საკანონმდებლო კრებამ შეცვალა. დამფუძნებელმა კრებამ ახალ საკანონმდებლო ორგანოს 1791 წლის კონსტიტუცია დაუტოვა, რომლის მიხედვითაც ის მეფესთან ინაწილებდა ხელისუფლებას და სწორედ მისი მოღვაწეობის პერიოდში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც საფრანგეთში მონარქია აღესრულა.

დავიწყოთ საკითხის პერიოდიზაციით. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა. ამ კუთხით ეს თემა სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული არ ყოფილა. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასზე ორიოდე სიტყვის თქმა. საქართველოში საკანონმდებლო კრების საქმიანობით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ორმა გარემოებამ საქართველოს გასაბჭოებამ და შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლამ თავისი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე და თავისი გამოძახილი ჰქონდა საქართველოში საკანონმდებლო კრების საქმიანობის გაშუქების დროს.

ვფიქრობთ, საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობით დაინტერესების წინაპერიოდად შეგვიძლია მოვიხსენიოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული 1918 წლამდე პერიოდი. ამ საკითხით დაინტერესებას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი და პირველად მისი პოპულარიზაცია, გაშუქება, სწორედ მაშინ მოხდა.

1. საკანონმდებლო კრების საქმიანობით დაინტერესება საქართველოს გასაბჭოებამდე 1921 წელს. ამ დაინტერესების კულმინაციად 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება. საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი დადებითი დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

2. საკანონმდებლო კრების საქმიანობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლები. როგორც ცნობილია, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია იაკობინოცენტრისტული იყო და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის მიმართ შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. ამგვარი მიდგომის გამოძახილი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შეინიშნებოდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ უმთავრესად აქცენტი კეთდებოდა იაკობინთა დიქტატურის შესწავლაზე, ხოლო რევოლუციის სხვა პერიოდებს გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ეს არ იყო სწორი მიდგომა და ჩვენ ვცადეთ მასში კორექტივები შეგვეტანა.

3. საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლით და დღესაც გრძელდება. რევოლუციის ყველა პერიოდისადმი გაცილებით უფრო დაბალანსებული მიდგომა ამ მონაკვეთის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. საკანონმდებლო კრების საქმიანობის რეაბილიტაცია ამის ლოგიკურ შედეგად გვევლინება.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ ახალი იმპულსი მისცა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გაშუქებას. ამ ხანებში საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე გამოსული წიგნები და სტატიები, ვფიქრობთ, ამის ნათელი დასტურია.

საკანონმდებლო კრების მოღვაწეობით ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართული საზოგადოება დაინტერესდა. მაშინ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების საქმეში პირველი ნაბიჯები იდგემებოდა. აქ მკაცრი მეცნიერული საზომი ვერ გამოდგება, რადგან ისინი აღნიშნული პრობლემის მეცნიერულ შესწავლას არ ისახავდნენ მიზნად. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ამ თემატიკის განხილვას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას ისახავდა. ან კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. პროგრამა მინიმუმი დაძლეულია.

ასეთ სტატიას ვაწყდებით ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“. 1905 წლის 19 ნოემბერს დაიბეჭდა სტატია, რომლის ავტორიც ფედერალისტური პარტიის წევრი ვარლამ ლორთქიფანიძე გახლავთ. ეს არის იმ ნაშრომის ერთ-ერთი ფრაგმენტი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ზემოხსენებულ ნომერში კი, მკითხველს საშუალება ჰქონდა მოკლედ გაეცნო საკანონმდებლო კრების მოღვაწეობა.[105]

---

[105] **ვ.ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, საკანონმდებლო კრება. // გაზ. „ცნობის ფურცელი“, #2954, 1905, გვ. 2-3.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძე საკანონმდებლო კრების საქმიანობაში საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდეს, რაც ემპირული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება და ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ პრობლემის განხილვის დროს ის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისეთ კომპეტენტურ მკვლევრებს ეყრდნობა, როგორიც არიან ფრანგი ალფონს ოლარი და გერმანელი ვილჰელმ ბლოსი. ის ხსენებულ პერიოდზე წერს მოკლედ, მაგრამ ფაქტოლოგიურად ზუსტად და მკითხველს სწორ წარმოდგენას უქმნის მოცემულ პერიოდზე. „ცნობის ფურცელი“ საუბრობს იმ წინ გადადგმულ ნაბიჯზე, რაც კონსტიტუციის შემუშავებამ გამოიწვია, მაგრამ სწორადაა აღნიშნული, რომ ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილება არ დამყარებულა, რადგან მიუხედავად, მეფის ძალაუფლების მკვეთრად შეკვეცისა და თავად-აზნაურობის მთელი რიგი პრივილეგიების მოსპობისა, წერის და სიტყვის თავისუფლების დაკანონებისა და სხვა, არ იქნა შემოღებული საყოველთაო საარჩევნო უფლება და ეს უფლება შეძლებულ მოქალაქეებს მიანიჭეს. ცხადია, ავტორი საუბრობს მოქალაქეების აქტიურ და პასიურ ნაწილად დაყოფას, რის მიხედვითაც, პასიურ ჯგუფში მყოფი მოქალაქეები, ვინც ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა, საარჩევნო უფლების გარეშე ტოვებდა და ფაქტობრივად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისგან თიშავდა.

ხსენებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ საკონონმდებლო კრება უმეტესად შედგებოდა მსხვილი ბურჟუაზიისგან, რომელიც გაბატონდა ძველი წყობილების ნანგრევებზე. ცხადია, აქ იგულისხმება ფეიანების პარტია, რომელსაც არსებული მდგომარეობა აკმაყოფილებდა, რევოლუციის გაღრმავება არ სურდა და შეიძლება ითქვას, რომ დასრულებულადაც მიაჩნდა. ფეიანებზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

მოკლე ნაშრომში ძალზე კარგად ჩანს, რომ საკანონმდებლო კრების საწყის პერიოდში, დემოკრატიული ძალები შედარებით ცოტანი და სუსტნი იყვნენ, რის გამოც ისინი ჯერ ერიდებოდნენ რესპუბლიკის დაარსების მოთხოვნას, თუმცა რაც დრო გადიოდა, მეფის ორპირი სახე იკვეთებოდა, ხოლო დემოკრატიული ძალები ანუ იაკობინთა კლუბი უფრო

ძლიერდებოდა და მათი მოთხოვნებიც უფრო მკაფიო ხდებოდა. სწორედ იაკობინთა ძალისხმევით მოხდა 1791 წლის 5 ოქტომბერს მეფისთვის „უდიდებულესობის“ ტიტულის ჩამორთმევა და ლუი XVI-ს მხოლოდ „ფრანგთა მეფეს“ უწოდებდნენ.

შეგვიძლია ვიფიქროთ, ავტორი თვლიდა, რომ კონსტიტუციური მონარქია საფრანგეთში კიდევ დიდხანს შეიძლება შენარჩუნებულიყო, რადგან საკანონმდებლო კრებაში გაბატონებული ფეიანები სრულებით არ ფიქრობდნენ მონარქიის გაუქმებაზე, პირიქით, ისინი ცდილობდნენ, რომ მეფესთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ და 1791 წლის კონსტიტუცია დაეცვათ.

ავტორი ძალზე კარგად ხედავს იმ კონკრეტულ მიზეზებს, რამაც საბოლოოდ მეფის დამხობა განაპირობა. ეს გახლავთ ეკლესიის და სახელმწიფოს დამოკიდებულება. სასულიერო პირების დიდი ნაწილი ახალ წყობილებას არ ურიგდებოდა, კონსტიტუციაზე ფიცის დადებას არ აპირებდა და კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. საპასუხოდ, საკანონმდებლო კრებამ მათ წინააღმდეგ სანქციების გატარება გადაწყვიტა, თუმცა ლუი XVI ყველანაირად ცდილობდა, რომ მფარველობა გაეწია კონსტიტუციის შეურიგებელი მტრებისთვის. ანალოგიურად იქცეოდა იმ არისტოკრატების მიმართ, რომლებიც სამშობლოდან გადაიხვეწნენ და საზღვარგარეთიდან ახდენდნენ კონტრევოლუციური ძალების მობილიზებას, ოცნებობდნენ ძველი რეჟიმის აღდგენაზე. მეფე მათთან საიდუმლო მიმიწერესაც ახორციელებდა და ეს მოსახლეობას რომ გაეგო, გადატრიალება 10 აგვისტომდე უფრო ადრე მოხდებოდა, აღნიშნავს ავტორი. [106]

ყველაფერი კი მაინც საგარეო ფაქტორმა და იმ საომარმა მოქმედებებმა გადაწყვიტა, რომელიც ევროპელმა მონარქებმა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ წამოიწყეს და ის ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა: აღედგინათ აბსოლუტური მონარქია საფრანგეთში, ხოლო რევოლუციონერები მკაცრად დაესაჯათ. 1792 წლის 20 აპრილს რევოლუციურმა საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ავსტრიას, რითაც საფრანგეთი სამკვდრო-სასიცოცხლო

[106] **ვ.ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, საკანონმდებლო კრება. // გაზ. „ცნობის ფურცელი“, #2954, 1905, გვ. 3.

ბრძოლაში ჩაება და დამარცხების შემთხვევაში, ფრანგი ერი მთელ თავის მონაპოვარს დაკარგავდა. ფრანგულ არმიაში სარდლების უმრავლესობა კონტრრევოლუციონერი გახლდათ და ძველი რეჟიმის აღდგენა სურდათ. აქედან გამომდინარე, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მტრისთვის ხელი შეეწყოთ, ხოლო ჯარს აქტიური ქმედებების საშუალებას აძლევდნენ, რამაც საფრანგეთი კატასტროფის წინაშე მიიყვანა, ფრანგი ხალხი კი მიხვდა, რომ მტერს შინიდან ეხმარებოდნენ და ღალატს ჰქონდა ადგილი.

ავტორი საუბრობს მეფის შემდგომ მოქმედებებზეც, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა კრიზისი და კიდევ უფრო დაშორდა ხალხს. საკანონმდებლო კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ყველა ის სასულიერო პირი უნდა გადაესახლებინათ, რომელთაც კონსტიტუცის ერთგულება არ შეჰფიცეს და ასევე დეკრეტი, რომელიც გულისხმობდა სამეფო გვარდიის მოსპობას და 20 ათასიანი ჯარის დაბანაკებას პარიზთან. მეფემ ყველა ამ დეკრეტს ვეტო დაადო და ჟირონდისტი მინისტრებიც დაითხოვა, რითაც საბოლოოდ მოიხსნა ნიღაბი და ხალხმა დაინახა, რომ ღალატი თავად ტიულრის სასახლეში იმყოფებოდა. ყოველივე ამას მოჰყვა ჯერ 20 ივნისის დემონსტრაცია, რაც მეფისთვის საგანგაშო ზარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლუიმ რეალურად ვერ გაიაზრა ის მოცემული მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა, განაგრძო არჩეული გზით სიარული და საბოლოოდ უფსკრულის წინაშე მივიდა. 1792 წლის 10 აგვისტოს განრისხებულმა ფრანგმა ხალხმა აიღო ტიულრის სასახლე და მოსპო მონარქია.

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძის სტატია საკმაოდ მოკლეა, უნდა ითქვას, რომ ის პასუხობს იმდროინდელ მოთხოვნებს, რა ეპოქაშიც ის გახლავთ დაწერილი. მისი მთავარი მიზანი იყო, რომ საზოგადოებისთვის მოკლედ გაეცნო საკითხი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობაზე წარმოდგენა ჰქონოდათ, რასაც ვფიქრობთ, რომ თავი ურიგოდ არ გაართვა. ლორთქიფანიძე საფუძვლიან ცოდნას ავლენს მთელი რიგი მოვლენების მიმართ, რაც მის მსჯელობაში და მოყვანილ ფაქტებში კარგად არის ასახული. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ მას კარგად აქვს გაანალიზებული საკანონმდებლო კრების პროგრესული ხასიათი, მაგრამ იმასაც იქვე დასძენს, რომ

დემოკრატიული წესწყობილება ამით არ დამყარებულა, რაც იმით აიხსნება, რომ არსებობდა მაღალი საარჩევნო ცენზი, ანუ მოქალაქეები დაიყვნენ აქტიურებად და პასიურებად და ამ უკანასკნელს, ანუ საფრანგეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, რაც კონსტიტუციის დიდი ნაკლი იყო, რასაც მაქსიმილიან რობესპიერი თავიდანვე აღნიშნავდა და მხარს არ უჭერდა მოქალაქეების მხრივ ასეთ განსხვავებას. „ვინ მოგცათ თქვენ იმის უფლება, რომ ხალხს უფლებას ართმევთ“ - განაცხადა კანონმდებლების წინაშე მაქსიმილიან რობესპიერმა, რომელსაც ჟან პოლ მარატმა „მოუსყიდველი“ უწოდა. [107]

ამავე პერიოდში დაიბეჭდა კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას ეხება. საუბარია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნოე ჟორდანიას ბროშურაზე „საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789)“. [108] რა თქმა უნდა, ნაშრომის გარკვეული მონაკვეთი შეეხო საკანონმდებლო კრების მოღვაწეობასაც.

ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს, რაზეც მისი ნაშრომია აგებული. ის თხრობას 1793 წლის 21 იანვრის მოვლენებით ასრულებს, როდესაც მეფე სიკვდილით დასაჯეს. ეს იყო პოპულარული ნაშრომი, რომელსაც სამეცნიერო დონეზე პრეტენზია არ გააჩნდა და სულ სხვა მიზანი ჰქონდა.

საკანონმდებლო კრებისადმი ის მთლად დადებითად განწყობილი არ უნდა ჩანდეს, ხოლო ჩანს, რომ განსაკუთრებულად სიმპათიებით პარიზის ღატაკთა ფენის, როგორც მათ ეძახდნენ - „სანკიულოტების“ მიმართ გახლდათ განწყობილი. მას მოჰყავს რამდენიმე ეპიზოდი, რომელშიც ჩანს მოსახლეობის ფართო ფენების და იაკობინთა ლიდერების, ჟორჟ ჟაკ დანტონის და მაქსიმილიან რობესპიერის აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება საკანონმდებლო კრების მიმართ, რომლებიც მას მეფისადმი და გენერალ ლაფაიეტისადმი ხელის დაფარებაში ადანაშაულებდნენ. გარდა ამისა, საკანონმდელო კრების მოღვაწეობა

---

[107] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 10

[108] **ნ.ჟორდანია.** საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906.

ძალზე მოკლედ, მკრთალად არის გაშუქებული და ის ცალკეც არაა გამოყოფილი, რაც ამის კიდევ ერთი დასტურია.

ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ 10 აგვისტოს გადატრიალება და მონარქიის დამხობა დაბალის ფენის მოსახლეობის გამარჯვება იყო: „ახალი დეპუტატები - ეს იყვნენ „უშარვლოები“, ეს დაბალი ხალხის გამარჯვებაა. როგორც ხედავთ რევოლუციამ თანდათან უკიდურეს პარტიებს მიანიჭა გამარჯვება და ბოლოს გააბატონა „უშარვლოთა“ მეთაურნი, იაკობინები“. [109]

ალბათ, ჟორდანიას შეფასება გადამეტებულია, რადგან 10 აგვისტოს გადატრიალების შემდგომ, ეროვნულ კონვენტში უმრავლესობა იაკობინებმა ვერ მოიპოვეს და ამის გაკეთება მხოლოდ 1793 წლის 31 მაისი-2 ივნისის გადატრიალების შემდეგ მოახერხეს.

ჟორდანიას დადებითი დამოკიდებულება, რომლითაც ის განსჭვალული იყო სანკიულოტთა და იაკობინთა მიმართ, გასაკვირი არაა და ამის მიზეზი მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მარქსიზმის მიმდევარი და ეს კვალი მის ნაშრომსაც ეტყობა.

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე საგანგებოდ ნაშრომი არ დაწერილა. ეს არც გახლავთ გასაკვირი, რადგან შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, კონკრეტულად კი, საქართველოს გასაბჭოებამ და კვლავ დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ქართველ მეცნიერებს ამის გაკეთების საშუალება არ მისცა. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მერაბ კალანდაძე აღნიშნავს, „საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი ეროვნული, პატრიოტული საქმე, რომელიც

[109] **ნ.ჟორდანია.** საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906. გვ.57-58.

ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში და საგულდაგულოდ ცდილობდნენ მისთვის გვერდის ავლას, მიჩქმალვას, ქართველი ხალხის ცნობიერებიდან ამოშლას“.[110]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახემძღვანელოების ავტორები პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მათი სიმპათიები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისისადმი, რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792), როდესაც საფრანგეთში ყალიბდება კონსტიტუციური მონარქია. ისინი მიესალმებიან რევოლუციას ზემოდან, როდესაც ხორციელდებოდა ლიბერალური გარდაქმნები, რეფორმები. რევოლუციის მსვლელობა სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. რევოლუცია ქვემოდან მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა და არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. [111]

მსოფლიო ისტორიის გაშუქებისას, ავტორები ბუნებრივია, რომ შეეხნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციასაც, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ახლა კი, კონკრეტულად საკანონმდებლო კრების პერიოდი გვაინტერესებს. საინტერესოა, თუ რა ცნობები ჰქონდათ მის შესახებ, რამდენად კარგად იცნობდნენ აღნიშნულ პერიოდს და რა დაწერეს მის შესახებ.

საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის პერიოდი ცალკე გამოყოფილი არ აქვს, მაგრამ მასზე რა თქმა უნდა საუბრობს ს.ავალიანი. [112] უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო კრებაზე საკმაოდ მშრალად წერია და გარკვეული უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინა. ნახსენებია, რომ ამ ორგანოს ასპარეზი დამფუძნებელმა კრებამ დაუთმო და აღნიშნა, საარჩევნო ცენზის შესახებ, რის შედეგადაც მოქალაქეების დიდი ნაწილი საკანონმდებლო

---

[110] **მ. კალანდაძე.** სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. // *„ანალები“,* #13, 2017, გვ. 216

[111] **მ.კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016.

[112] **ს.ავალიანი.** მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო: XVI-XVIII საუკუნეები. ტბ.,“ქართულ ბეჭვდითი ამხანაგობის გამოცემა“ N3, 1920. გვ. 169-172.

კრების არჩევნებში მონაწილეობას ვერ იღებდა, ასევე აღნიშნულია კონსტიტუციის მიერ მეფეზე უფლებების შეკვეცის შესახებ, შემდეგ კი ავტორი კვლავ დამფუძნებელი კრების მოღვაწეობას და მის მიერ გატარებულ რეფორმებს უბრუნდება. ამის შემდეგ, ის ეხება 10 აგვისტოს გადატრიალებას, თუმცა ძალზე მოკლედ საუბრობს გამომწვევ მოვლენებზე და საკანონმდებლო კრებაზე საუბრისას, მხოლოდ ორ პარტიას, ჟირონდისტებს და იაკონებს ახსენებს, მაშინ, როდესაც დეპუტატების უმრავლესობა ფეიანთა ჯგუფს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ეს ამ მონაკვეთის ნაკლს წარმოადგენს. საკანონმდებლო კრების საქმიანობის დადებითი შეფასება ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსად მიგვაჩნია.

საკანონმდებლო კრება უფრო კარგადაა გაშუქებული დ.უზნაძის და ი.გველესიანის ავტორობით გამოსულ მსოფლიო ისტორიის ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. [113] პირველ რიგში ეს იმაში აისახება, რომ ავტორებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდისადმი ცალკე ქვეთავი აქვთ მიძღვნილი. აქ ნათლად ჩანს მათი პოზიცია, რომლის მიხედვითაც ისინი არასწორად თვლიდნენ მაქსიმილიან რობესპიერი ინიციატივას, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელი კრების დეპუტატებს არ შეეძლოთ შესულიყვნენ პირველ საკანონდებლო კრებაში, რომელიც ორი წლით ირჩეოდა. რობესპიერი ამას იმით ხსნიდა, რომ დეპუტატის უფლების დიდი ხნით შენარჩუნება მათ სხვა მოქალაქეებზე მაღლა დააყენებდა და ამით დემოკრატიზმის იდეა დაირღვეოდა, ავტორები კი იმას მიუთითებენ, რომ ამ დადგენილების შედეგად, საკანონმდებლო კრებაში ბევრი ახალგაზრდა და გამოუცდელი დეპუტატი მოხვდა, რომლებიც შექმნილ ვითარებას სათანადოდ ვერ აფასებდნენ. საკანონმდებლო კრების მოღვაწეოდებისადმი დადებითი მიდგომა ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. [114]

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო თეიმურაზ ჭუმბურიძეც. მან 1920 წელს დაბეჭდა ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, რომელშიც რა თქმა უნდა წერს საფრანგეთის დიდ

---

[113] **დ.უზანაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ., “ სახალხო საქმ-ის გამოცემა N1”, 1919, გვ. 97-100.

[114] **დ.უზანაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ., “ სახალხო საქმ-ის გამოცემა N1”, 1919, გვ. 98.

რევოლუციაზე და მოკლედ ეხება საკანონმდებლო კრებასაც. ჩანს, რომ ის კარგად იცნობს აღნიშნულ საკითხს. თ.ჭუმბურიძე დადებითად აფასებს იმ სიახლეებს, რომელიც 1791 წლის კონსტიტუციის მიღებამ გამოიწვია, თუმცა ადგილი არ აქვს მის გაიდიალებას, რაც მისი მსჯელობის პლუსია. ის არ ივიწყებს, რომ საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის დროს, მოქალაქეები დაყოფილნი იყვნენ აქტიურ და პასიურ ჯგუფებად და ამ უკანასკნელს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. შემდეგ ის მოკლედ საუბრობს იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც საკანონმდებლო კრებაში მოღვაწეობდნენ, ბოლოს კი ეხება 10 აგვისტოს გადატრიალების გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგებს. [115]

საკანონდემდებლო კრებას ცალკე ქვეთავი მიუძღვნა ალექსანდრე წერეთელმაც. [116] სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ის აღწერს იმ მდგომარეობას და იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც საკანონმდებლო კრებაში მოხვდნენ. მემარჯვენე ნაწილში, რომელსაც მონაქიის შენარჩუნება სურდა, ცხადია ფეიანები იგულისხმება, შუა ადგილი რომ ეკავა იმათ, აქ რა თქმა უნდა ჭაობზეა საუბარი, ხოლო მემარცხენე ფრთაზე, პირდაპირ უწერია, რომ ესენი არიან: ჟირონდისტები და იაკობინები. ა.წერეთელს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ორივე მემარცხენე პარტიას რესპუბლიკის დაარსება სურდა. განსხვავება იმაშია, რომ ჟირონდისტები ზომიერი მემარჯვენეები იყვნენ, ხოლო მონტანიერები - რადიკალი მემარცხენეები. მათ ნამდვილად სურდათ მონარქიის გაუმება და რესპუბლიკის დაარსება, რასაც ვერ ვიტყოდით ჟირონდისტებზე, რომლებიც 10 აგვისტოს გადატრიალებამდე, ბოლო მომენტამდე მერყეობდნენ და ვერ მიეღოთ გადაწყვეტილება, თუ რომელ მხარეზე დამდგარიყვნენ, თუმცა ხალხის ძალამ საბოლოოდ თავისი ქნა და ისინი იძულებულები გახდნენ მონარქიის დამხობას შეგუებოდნენ. ჟირონდისტებშიც იყვნენ ისეთი დეპუტატები, რომელთაც სურდათ რესპუბლიკის დაარსება, თუმცა ისინი პარტიის უკიდურესი მემარცხენე წევრები იყვნენ და მათი რიცხვი ბევრი არ იყო, ხოლო უმრავლესობა ცდილობდა მეფესთან

[115] **თ.ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია. ქთ., „მომავალი“. 1920. გვ. 51-54.

[116] **ა. წერეთელი.** ახალი საუკუნეები. თბ., „გამოც. N10 ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა“. 1920. გვ. 70-71.

საერთო ენა გამოენახა და შეენარჩუნებინა 1791 წლის კონსტიტუცია, ასევე არ მიეცა აღმასრულებელი ორგანოსთვის იმის საშუალება, რომ კონტრრევოლუცია მოეხდინა, თუმცა შუაში დგომა ბოლოს შეუძლებელი გახდა და ისინიც გამარჯვებულებს, ანუ დემოკრატიულ ძალებს, ხალხს მიემხრნენ, თუმცა აქედან მოყოლებული, რევოლუციისადმი მათ ერთგულებაში ეჭვი შეჰქონდათ იაკობინებს და მოგვიანებით 10 აგვისტოს მოვლენები მათ გაუხსენეს კიდეც. ა.წერეთელმა მოკლედ, მაგრამ სწორად მოიყვანა ხალხის მონარქზე გაბრაზების რამდენიმე მიზეზი, რამაც საბოლოოდ ტიულრის აღება გამოიწვია. ესენია: ემიგრანტების და სამღვდელოების წინააღმდეგ გამოცემულ დეკრეტებზე მეფის მიერ ვეტოს დადება და კავშირი ევროპის მონარქებთან, რომელთა მიზანიც საფრანგეთში აბსოლუტური მონარქიის აღდგენა იყო.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ამ სახელმძღვანელოებში არ შეინიშნება საკანონმდებლო კრების საქმიანობის გაიდიალება, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულმა ახალი ისტორიის პირველმა ეროვნულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს მარტივი, გულუბრყვილო, მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებდა და აღნიშნულ საკითხზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. მთავარი, სწორედ, აი ეს უნდა იყოს.

საბჭოთა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის სწავლებამ, პოპულარიზაციამ და შესწავლამ მკვეთრად გამოხატული მეცნიერული დატვირთვა შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. საკითხისადმი მაქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა და იდევნებოდა. ქართველ ისტორიკოსებსაც სხვა გზა არ

ჰქონდათ, მათ აირჩიეს მეცნიერული პრობლემა და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. უნდა ითქვას, რომ ემპირიზმის და ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარა იყო და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწყონილი არ იქნება.[117]

ბუნებრივია, რომ საკანონმდებლო კრების საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, უპირატესად „იაკობინოცენტრისტული“ იყო, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ უმთავრესად აქცენტი კეთდებოდა იაკობინთა დიქტატურის შესწავლაზე, ხოლო რევოლუციის სხვა მონაკვეთებს შედარებით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა და გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად იყო გაშუქებული.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა. ეს არცაა გასაკვირი და მნიშვნელოვანწილად საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აგრარული საკითხის აქტუალობით იყო გამოწვეული.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი საკანონმდებლო კრების არსებობის პერიოდია, რომლის გაშუქებასაც საქართველოშიც ჯეროვანი ყურადღება მიაპყრეს. როგორც პროფესორი მ.კალანდაძე აღნიშნავს, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეებად გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები პროფესორი გრიგოლ ნათაძე და პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე უნდა მივიჩნიოთ. პროფესორი მ.კალანდაძე მიუთითებს, რომ მათ აგრარული საკითხის

---

[117] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015, გვ. 291-292.

შესწავლის საკითხში შესანიშნავი სკოლა გაიარეს გამოჩენილ რუს ისტორიკოსებთან. გრ. ნათაძემ ივან ლუჩიცკისთან და რომან ვიპერთან, ხოლო ალ. ნამორაძემ პავლე არდაშევთან. „მათ ძალიან კარგად იცოდნენ თუ როგორი იყო ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ძალად თავს მოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატისთვის. ასეთი ორმაგი სტანდარტი ფრიად დამახასიათებელი შეიქმნა საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის. ერთს ფიქრობდი, სხვას წერდი. არჩევანის უფლება არ გქონდა. ან ისე უნდა დაგეწერა, როგორც ამას გაბატონებული იდეოლოგია ითხოვდა, ან საერთოდ არ უნდა დაგეწერა. ამიტომ მათ გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც იმ პოლიტიკურ ვითარებაში შესაძლებელი იყო, და ეს დიდ პატივს მიაგებს ამ მეცნიერებს“ - წერს პროფესორი მერაბ კალანდაძე. [118]

პროფესორი მ.კალანდაძე მართებულად აღნიშნავს, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და კონკრეტულად აგრარული კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის საკითხში პირველი სერიოზული ნაბიჯი პროფესორმა გრიგოლ ნათაძემ გადადგა, რომლის გზაც პროფესორმა ალექსანდრე ნამორაძემ განაგრძო და ამ პრობლემების შესწავლას კიდევ უფრო სიღრმისეული სახე მისცა.

პროფესორმა გრიგოლ ნათაძემ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ორი ნაშრომი დაწერა: „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი აგრარული საგლეხო კანონმდებლობისა“ [119] და „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია“.[120]

ორივე ზემოხსენებული ნაშრომი, პროფესორ მ.კალანდაძეს დეტალურად აქვს განხილული თავის წიგნში - „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის

---

[118] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006. გვ. 43.

[119] **გ.ნათაძე.** რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა. ტფ., „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922. გვ. 156-177.

[120] **გ.ნათაძე.** კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., 1933.

შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. [121] ამ წიგნის დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია, რომ უფრო სიღრმისეულად გავიაზროთ პროფესორი გ.ნათაძის წვლილი საკანონმდებლო კრების აგრარულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი სერიოზული საკითხი, რომელსაც პროფესორი გ.ნათაძე ჩვენს მიერ დასახელებულ მის პირველ ნაშრომში განიხილავს, არის საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობა, გლეხთა საკითხის გადაწყვეტა. საგულისხმოა, რომ გრ.ნათაძე საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი, რაც ალბათ საკამათოა, რადგან გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, საკანონმდებლო კრების ამ საკითხისადმი სწორი კურსი ჰქონდა აღებული, მაგრამ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ომი ევროპასთან, 10 აგვისტოს გადატრიალება, მან თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო კრებამ მაინც მოასწრო დეკრეტების მიღება, მაგრამ გრ.ნათაძე აგვისტოს დეკრეტებზე არაფერს ამბობს, რასაც პროფესორი მ.კალანდაძე აღნიშნავს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად გვევლინება. გრ.ნათაძის აზრით, გლეხთა საკითხის გადაწყვეტა საკანონმდებლო კრების დამსახურება არ ყოფილა და ეს ცხოვრებამ თავისით მოიტანა. პროფესორი მ.კალანდაძე თვლის, რომ ნათაძის საკანონმდებლო კრებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მისი ესერული წარსულით აიხსენება, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. [122]

მიუხედავად იმისა, რომ მისი მასწავლებელი ივ.ლუჩიცკი იყო, ის არ ეთანხმება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საფრანგეთში, რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა გლეხების უმიწოდ დატოვებას და ის ფიქრობს, რომ ადგილი ჰქონდა გლეხთა

---

[121] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998.

[122] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 84.

ექსპროპრიაციის შემთხვევებს. ამ საკითხში, ის რუსული სკოლის მეორე ბანაკს ეთანხმება, რომელიც ნ.კარეევის და მ.კოვალევსკის ხაზით მიდიოდა.

პროფ. მ.კალანდაძე გრ.ნათაძის დასახელებულ ნაშრომს, მის მიერ ახალი ისტორიის პრობლემებზე დაწერილ საუკეთესო ნაშრომად მიიჩნევს, რასაც იმით ხსნის, რომ ის დაწერილი იყო ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციების ანუ თავისუფალი აზროვნების პირობებში. ეს იმით აიხსნება, რომ გრ.ნათაძემ ეს ნაშრომი 1922 წელს გამოსცა, ანუ საქართველოს გასაბჭოებიდან ერთ წელში და მარქსისტულ-ლენინური მარწუხები მაშინ იმდენად ძლიერი არ იყო. როგორც მის მეორე ნაშრომში ვხედავთ, იქ უკვე სხვაგვარი ვითარებაა და პროფ. გ.ნათაძეს მოუწია პოლიტიკური დიქტატისთვის თავის დახრა და ბოლშევიკური რეჟიმისთვის სასურველი იდეოლოგიით დაწერა.

ამ წიგნში, რომელიც მას, როგორც ჩანს, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ ფრაგმენტად შეიძლება ჰქონოდა მოაზრებული, ბუნებრივია, ის შეეხება საკანონმდებლო კრების საქმიანობასაც.

საკანონმდებლო კრებაზე საუბრისას, პროფ. გ.ნათაძეს გარკვეული ფაქტობრივი შეცდომა აქვს დაშვებული. პროფ. მ.კალანდაძე აღნიშნავს, რომ პურზე მტკიცე ფასების მოთხოვნას, რომელსაც მხარს უჭერდნენ „ცოფიანები“, ადგილი ჰქონდა კონვენტის მოწვევის შემდეგ 1792-1793 წლების ზამთარში, როდესაც ხელისუფლებაში ჟირონდისტები იმყოფებოდნენ. ასევე, ვანდეაში აჯანყება დაიწყო 1793 წლის მარტში, ხოლო გ.ნათაძე ორივე ამ მოვლენას საკანონმდებლო კრებას ათვლის, რაც არასწორია. [123]

გარდა ამისა, პროფ. გ.ნათაძე ფეიანებს როიალისტებად მოიაზრებს, რაც საკამათოა. როიალისტების მიზანი ნებისმიერი საშუალებით აბსოლუტური მონარქიის აღდგენა იყო და ამისთვის, რაც შეეძლოთ ყველაფერს აკეთებდნენ, ხოლო ფეიანების შემთხვევაში ასე არ ყოფილა. ფეიანთა პარტია 1791 წელს დაარსდა, უფრო სწორად კი, 17 ივლისის მოვლენების

---

[123] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 99.

შემდგომ, როდესაც მესამე წოდება ერთმანეთს შეიარაღებულად პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს და მარკიზი ლაფაიეტის განკარგულებით, ეროვნულმა გვარდიამ ხალხს ცეცხლი გაუხსნა, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა, ისინი გამოეყვნენ იაკობინთა კლუბს და ცალკე პარტია დაარსეს, რომელშიც შედიოდნენ ლიბერალური თავადაზნაურობის და მესამე წოდების მსხვილი წარმომადგენლები. საკანონმდებლო კრებაში სულ 745 დეპუტატი აირჩიეს, საიდანაც 345 უპარტიო გახლდათ და ამ დეპუტატების ჯგუფს „ჭაობად“ მოიხსენიებდნენ, რადგან იმ პარტიას უჭერდნენ მხარს, რომელსაც მოცემული მომენტისთვის ძალა გააჩნდა. დარჩენილი ადგილებიდან 260 დეპუტატი სწორედ ფეიანი იყო, ხოლო 136 დეპუტატი მემარცხენე პარტიებიდან, იაკობინელთაგან (ჟირონდისტებიც კვლაც მათ ჯგუფში შედიოდნენ) და კორდილიერებიდან იყვნენ. ფეიანებმა საკანონმდებლო კრებაში წამყვანი როლი მოიპოვეს და ფაქტობრივად, მესამე წოდების მსხვილი ნაწილი და ლიბერალური ბურჟუაზია გაბატონდა იმ ნანგრევებზე, რომელიც ძველმა წეს-წყობილებამ დატოვა. გამოვიდა, რომ ერთი გაბატონებული ძალა მეორემ ჩაანაცვლა. აქედან გამომდინარე, ფეიანები ვერანაირად იქნებოდნენ როიალისტები, რადგან მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, ისინი ამ მონაპოვარს დაკარგავდნენ, რაც რა თქმა უნდა მათ არ უნდოდათ და სურდათ, რომ ის პოლიტიკური მდგომარეობა შეენარჩუნებინათ, რომელიც 1791 წლის კონსტიტუციამ დააკანონა და რომლის მიხედვითაც ხელისუფლება გაიყო ორად: საკანონმდებლო კრების ხელში იყო საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო მეფეს აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩა. მას გააჩნდა მრავალი უფლება, მათ შორის შეეძლო დეკრეტზე ვეტოს დადება, გააჩნდა სოლიდური ბიუჯეტი, რომელიც თავად საკანონმდებლო კრებამ გამოუყო და შეეძლო ისე დაეხარჯა, როგორც სურდა და სხვა. განსხვავება ის იყო, რომ ფეიანებს არსებული მდგომარეობა სრულიად აკმაყოფილებდათ, მათ 1791 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რევოლუცია დასრულებულად მიაჩნდათ და მისი გაღრმავება არ სურდათ, მათ ის მიიღეს, რაზეც რევოლუციის წინ ოცნებობდნენ და დაივიწყეს მესამე წოდების დანარჩენი ნაწილი, რომელთან ერთადაც რევოლუციის დასაწყისში იბრძოდნენ, თუმცა საკუთარი მიზნის

განხორციელებისთანავე, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმალ დაივიწყეს. სამეფო კარს, რომლისთვისაც აქამდე ყველანაირი შეზღუდვა უცხო იყო, ცხადია, რომ არსებული მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა და მათი მიზანი იყო, საგარეო ძალებით მოეხდინა რევოლუციური ძალების განადგურება და ძველი წესწყობილების აღდგენა. არსებული წყობილება არ აკმაყოფილებდათ არც იაკობინებს, რომლებიც სამეფო კარს თავიდანვე ეჭვით უყურებდნენ და მეფეში მოღალატეს ხედავდნენ. მათ მონარქიის საბოლოო გაუქმება სურდათ და რაც დრო გადიოდა, ამას სულ უფრო თამამად აცხადებდნენ. ჟირონდისტების პოზიცია კი, ამ საკითხში შედარებით მერყევი იყო. ის კი აშკარაა, რომ ფეიანები არ იყვნენ როიალისტები და მათ არ სურდათ აბსოლუტური მონარქიის აღდგენა, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი იმ მონაპოვარს დაკარგავდნენ, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ მათ დააზარალებდა.

პროფ. გ.ნათაძე მოკლედ განიხილავს ომის საკითხს, რომელსაც პროფ. მ.კალანდაძის აზრით, საკანონმდებლო კრების წინაშე მთავარი საკითხი იყო და აქედან გამომდინარე, სასურველია, მონარქიულ ევროპასთან ომზე უფრო ვრცლად დაწერილიყო. ჩვენ ვეთანხმებით პროფ. მ.კალანდაძეს, რომელიც თვლის, რომ რომ არა საგარეო პოლიტიკური გართულებები, საფრანგეთის დიდი რევოლუცია არ გასცდებოდა კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებს და რევოლუციის შემდგომი გაღრმავებაც, სწორედ მონარქიულ ევროპასთან 1792 წლის ომს უკავშირდება.[124]

ამ სახელმძღვანელოში ის, ბუნებრივია, ისევ შეეხება საკანონმდებლო კრების აგრარულ პოლიტიკას და კვლავ გვერდს უვლის აგვისტოს დეკრეტებს, რაც საკანონმდებლო კრების აგრარულ პოლიტიკაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის.

საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკიადმი პროფ. გრ.ნათაძის გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, შემთვევითი არ იყოდა მისი მიზეზები, უწინარესად, მის

---

[124] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 99-100.

მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ეს გახლავთ საკითხის მარქსისტული ხედვა, როგორც ეს ზედაპირზე ძევს. სინამდვილეში საქმე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანს. პროფ. მერაბ კალანდაძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ესერული მრწამსის და მარქსიზმის კვეთასთან.[125] ვფიქრობთ, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. გრ.ნათაძე ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას.

პროფესორი გ.ნათაძის ეს წიგნი ქართული ისტორიოგრაფიისთვის მიღწევა გახლდათ, რადგან იმ პერიოდში საფრანგეთის ახალი ისტორიის ხსენებულ მოვლენებზე, დაწერილი არაფერი არ ყოფილა და ამ კუთხით, მან ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ის კარგად იცნობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას და გააცნობიერა ის მოთხოვნები, რომელსაც ახალი ეპოქა უყენებდა საფრანგეთის რევოლუციის მკვლევარებს. მე-19 საუკუნის დასაწყისში რესტავრაციის ეპოქის ისტორიკოსებმა საფუძველი ჩაუყარეს მთლიანი რევოლუციის ისტორიის წერას, რამაც თავისი დრო მოჭამა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, წინა პლანზე წამოიწია კონკრეტული პრობლემების გამოკვლევა. ასეთი მიდგომა სავსებით სწორი იყო და ამ თემაზე გრ.ნათაძის მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად მიგვაჩნია.

პროფ. გ.ნათაძის გზა განაგრძო და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლა კიდევ უფრო გააღრმავა პროფ. ა.ნამორაძემ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას განსაკუთრებით აინტერესებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემები.

მან 1949 წელს გამოსცა საინტერესო ნაშრომი „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს“. [126] ნაშრომი ოთხ თავად არის დაყოფილი. პირველ თავი არის შესავალი, რომელშიც ავტორი თემის აქტუალობაზე საუბრობს, მეორე თავი ნაშრომის ისტორიოგრაფიას მოიცავს, მესამე თავი დამფუძნებელ კრებას ეხება, ხოლო მეოთხე თავში

---

[125] იქვე.

[126] **ა.ნამორაძე.** ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს. – „ქუთაისის *სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები“,* ტ. IX, ქთ., 1949, გვ. 177-202.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, საკანონმდებლო კრებაზე და მის სათემო მიწებისადმი დამოკიდებულებაზე წერია.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ალექსანდრე ნამორაძე საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხში. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ძირითადად ორი გარემოებითაა განპირობებული. ჯერ ერთი ის იყო ცნობილი კიეველი ისტორიკოსის პროფ. პავლე არდაშევის მოწაფე, რომელიც იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი რუსეთში. ცხადია, მას არ გაუჭირდებოდა თავისი მოწაფე კარგად დაეკვალიანებინა, სწორ გზაზე დაეყენებინა. მეორე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1912 წლის სამეცნიერო მივლინებას. ამან ძალიან ბევრი მისცა მას. აქ ის გაეცნო ამ პრობლემის ირგვლივ არსებულ მასალებს, რასაც ის იყენებს თავის ნაშრომში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი შრომების მეცნიერული წონა. [127]

პროფ. ა.ნამორაძე წერს, რომ საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისას, სათემო მიწების საქმის მოგვარება სამიწათმოქმედო კომიტეტს და ფეოდალურ კომიტეტს ექვემდებარებოდა, რომლებიც 1791 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბდა. რეალურად კი, ამ საკითხზე სამიწათმოქმედო კომიტეტი ზრუნავდა, ხოლო ფეოდალურ კომიტეტს ამ საქმეში იმდენად დიდი როლი არ ჰქონია.

ნაშრომში აღწერილია ის შესაძლო გზები, რომლითაც პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა. პროფ. ა.ნამორაძე განასხვავებს მესამე წოდების წარმომადგენლების განსხვავებულ ინტერესებს. ის ხაზს უსვამს, რომ მდიდარ გლეხს, განსხვავებით საშუალო და ღარიბი გლეხებისგან, სენიორების მიერ დატაცებული სათემო მიწების დაბრუნების შემდეგ, მიწის გაყოფა სურდათ და არ უნდოდათ, რომ კერძო საკუთრებაში ყოფილიყო. მდიდარი გლეხების სურვილი იყო, რომ სათემო მიწები გაყოფილიყო თემში შემავალ წევრებს შორის

[127] **მ.კალანდაძე**. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998; **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006.

პირდაპირი პროპორციით, ამა თუ იმ წევრის სახნავი მიწისა. ასეთ შემთხვევაში, მდიდარ გლეხს სათემო მიწებიდან გაყოფის დროს გაცილებით მეტი მიწა ერგებოდა, ვიდრე იმ გლეხს, რომელსაც უფრო ნაკლები მიწა გააჩნდა. ეს იყო სამიწათმოქმედო რაიონებში, ხოლო იქ, სადაც უმეტესად მეჯოგეობა გახლდათ განვითარებული, შეძლებულ გლეხობასაც კი არ სურდა სათემო მიწების გაყოფა. [128]

როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო კრების წინაშე ძალზე რთული საკითხი გახლდათ გადასაჭრელი. ერთი, ეს იყო სენიორების მიერ დატაცებული სათემო მიწების დაბრუნება გლეხობისთვის და მეორე, თუ რა ფორმით მოხდებოდა, რადგან გლეხობის სხვადასხვა ფენას და ასევე ქვეყნის სხვადასხვა რაიონში განსხვავებული ინტერესები გააჩნდათ. ეს გასაკვირი არც იყო, სამიწათმოქმედო რაიონში სათემო მიწებს სხვა დანიშნულება ჰქონდა, ხოლო მეჯოგეობის რაიონში სულ სხვა. ალბათ, ყველაზე სწორი იქნებოდა, რომ საკანონმდებლო კრებას, სათემო მიწების საკითხი, ინდივიდუალურად, რაიონების ინტერესის მიხედვით გადაეჭრა ან თითოეულ თემს, დამოუკიდებლად, საერთო ინტერესიდან გამომდინარე მიეღო გადაწყვეტილება.

საკანონმდებლო კრებამ გადაწყვიტა, რომ კანონმდებლებს შეემუშავებინათ სათემო მიწების გაყოფის ხერხი და ამასთან დაკავშირებით, აველინს დაავალეს გაეკეთებინა მოხსენება სათემო მიწების გაყოფის შესახებ და წარმოედგინა თავისი მოსაზრებანი კომიტეტისთვის. დისკუსია ხანგრძლივი გამოდგა, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ მისი დეტალები ჩვენთვის უცნობი რჩება, რადგან: „არსებული დოკუმენტები ამის შესახებ არავითარ მასალას არ იძლევიან. ჩანს მხოლოდ, რომ დისკუსია გაგრძელებულა რამდენიმე სხდომის მანძილზე. [129]

---

[128] **ა.ნამორაძე.** ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს. – „ქუთაისის *სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები“,* ტ. IX, ქთ., 1949, გვ. 196-197.

[129] **ა.ნამორაძე.** ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს. – „ქუთაისის *სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები“,* ტ. IX, ქთ., 1949, გვ. 200.

1792 წლის 11 ივნისიდან მოყოლებული, სხდომები უშედეგოდ მიმდინარეობდა და მხოლოდ 25 ივლისის სხდომაზე გააკეთა მოხსენება აველინიმ, რომელმაც კომიტეტს წარუდგინა დეკრეტის საბოლოო პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ. ა.ნამორაძე საგანგებოდ დაინტერესდა, როგორც აველინის, ასევე შარლ დანტონის მოხსენებებით და ნაშრომი მიუძღვნა მათ.

პროფ. ა.ნამორაძემ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესახებ ექვსი ნაშრომი დაწერა, რომელთაგან ორის გამოქვეყნება მოასწრო: „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში“ და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ. წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში“. დანარჩენ ოთხ ნაშრომს კი, სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობს. პროფ. მ.კალანდაძე ამ შრომებს გადააწყდა არქივში და პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. [130] ა.ნამორაძის კალამს ეკუთვნის: „აველინის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ, წარმოდგენილი ლეჟისლატივაში 1792 წელს“, „ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს“, „მარენის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში)“ და „სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში)“. პროფ. მ.კალანდაძე, რომელიც ა.ნამორაძის შრომებს კარგად იცნობს და საგანგებოდ აქვს გამოკვლეული, ფიქრობს, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა სოლიდური მონოგრაფიის დაწერა და ეს ექვსი ნაშრომი ამ მონოგრაფიის ნაწილი უნდა ყოფილიყო. პროფ. მ.კალანდაძე თვლის, რომ პროფ. ა.ნამორაძემ ამის გაკეთება ვერ მოასწრო და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შექმნილი პოლიტიკური ვითარება გახლდათ, რასაც ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით. პროფ.

---

[130] **მ.კალანდაძე**. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998; **მ.კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006.

მ.კალანდაძე მიიჩნევს, რომ ეს ექვსი ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია და სასურველია, მისი სრული სახით გამოქვეყნება.[131]

აველინი ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო, სათემო მიწები გაწილებულიყო, რასაც ასაბუთებდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გარაციონალებისთვის საჭიროებისთვის და ასევე მოჰყავდა სხვა ქვეყნების გამოცდილება. ამ ნაბიჯით, აველინი მდიდარი გლეხების ინტერესს იცავდა. პროფ. ალ.ნამორაძე ფიქრობდა, რომ აველინი ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ღარიბ გლეხობაზე ბევრს ფიქრობდა, თუმცა მისი მოხსენება საპირისპიროს ამტკიცებდა და აშკარად, შეძლებულ გლეხობაზე იყო მორგებული. აველინის მიხედვით, რომ თუ მიწა მდიდრების ხელში მოიყრიდა თავს, სოფლის მეურნეობის აყვავებას გამოიწვევდა. აველინიმ აირჩია გზა, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარება უნდა მომხდარიყო, რასაც ღარიბი გლეხების ინტერესი ეწირებოდა, რასაც თავად აველინი აღიარებდა კიდეც. ალ.ნამორაძე სერიოზულ ნაკლად მიიჩნევს, რომ „იგი ანგარიშს არ უწევს არც გლეხობის სურვილს და არც ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკას. იგი იძლევა გაყოფის ერთ მთლიან საერთო წესს მთელი საფრანგეთისთვის“. [132]

პროფ. ალ.ნამორაძე აველინის არც იმაში ეთანხმება, რომ ის საკანონდებლო კრებას ურჩია, სათემო მიწები კომლობრივად გაეყო და არა სულობრივად. ქართველი ისტორიკოსის აზრით, აველინი უმთავრესად მესაკუთრეებზე ზრუნავდა და საკუთრების გარეშე დარჩენილ მოიჯარეებსა და სოფლის მუშების ინტერესებს უგულველყოფდა.

შარლ დანტონის მოხსენებაზე საუბრისას, ალ.ნამორაძეს მოჰყავს ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ბუჟენის სიტყვები: „შარლ დანტონის მოხსენება არაა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც აველინის, რომელიც გამოვიდა არა მარტო თავისი პირადი

---

[131] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 180.

[132] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 187.

მოსაზრებით, არამედ მთელი სამიწათმოქმედო კომიტეტის სახელით. დანტონის მოხსენება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვთავაზობს სათემო მიწების განაწილების ახალ გზას, მათ გაყიდვას“. [133]

დანტონს, განსხვავებით აველინისგან, სიტყვის წარმოთქმის საშუალება არ მისცემია და მან სამიწათმოქმედო კომიტეტს საკუთარი მოხსენება წერილობითი სახით წარუდგინა. პროფ. ალ.ნამორაძე არ ეთანხმება რუს ისტორიკოსს ს.კუნისკის, რომელიც თვლიდა, რომ შარლ დანტონი ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იყო. დანტონის პროექტი 29 მუხლისგან შედგებოდა და ალ.ნამორაძის აზრით, მისი უმთავრესი მიზანი იყო, რომ შეცვლილიყო სათემო მიწების კოლექტიური მფლობელობა, კერძო საკუთრებით, რადგან დანტონი თვლიდა, რომ ეს უკანასკნელი უფრო ეფექტური იყო, ვიდრე პირველი. ის მიიჩნევს, რომ დანტონი არის სოფლის ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელი.

პროფ. ალ.ნამორაძეს არ აქვს განხილული 1792 წლის აგვისტოს დეკრეტები, რაც ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან საკანონმდებლო კრებამ ამით ფაქტობრივად დაასრულა კიდეც მუშაობა, ხოლო სათემო მიწების განაწილების საკითხი, ვერც დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვიტა, ვერც საკანონმდებლო კრებამ და ვერც აველინის ან შარლ დანტონის პროექტმა შეცვალა რაიმე, საკითხის გადაჭრა ეროვნულ კონვენტს მოუხდა, რომელმაც წინამორბედების დაწყებული საქმე დააგვირგვინა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფ. ალ. ნამორაძემ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა და ალბათ, კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა, ამის საშუალება რომ მისცემოდა. აქ რასაკვირველია ვგულისხმობთ, იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც საქართველო ძალდატანებით აღმოჩნდა. ქართველ ისტორიკოსებს არ შეეძლოთ ის დაეწერათ, რასაც რეალურად ფიქრობდნენ და არც იმის შანსი ჰქონდათ, რომ სამეცნიერო მივლინებით, საბჭოთა კავშირს მიღმა წასულიყვნენ, რაც

[133] **მ.კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 188.

მათ ისტორიოგრაფიულ ცოდნას კიდევ უფრო გაამდიდრებდა, ექნებოდათ პირველწყაროების გაცნობის საშუალება და გამოიმუშავებდნენ იმ საჭირო უნარებს, რომელიც სრულყოფილ ისტორიკოსს სჭირდება. როგორც აღვნიშნეთ, ალ.ნამორაძემ ერთხელ მოასწრო საფრანგეთში წასვლა, რაც ძალიან წაადგა, როგორც მას, ასევე მთლიანად ქართულ ისტორიოგრაფიას. ვფიქრობთ, რომ კიდევ ერთი ასეთი შესაძლებლობა, მას უფრო მეტი წყაროს გაცნობის საშუალებას მისცემდა და ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ უფრო საინტერესო შრომებით გაამდიდრებდა. სამწუხაროდ, მას ამის განხორციელების შანსი აღარ მიეცა.

1924 წელს ვ.ეგნატაშვილმა და ქრ.რაჭველიშვილმა რუსული ენიდან თარგმნეს ცნობილი ისტორიკოსის ნ.ლუკინის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო.[134] აქ ბუნებრივია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თხრობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს არცაა გასაკვირი და ორი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული: საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობით და თავად ლუკინი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის სპეციალისტად ითვლებოდა. ეს სახელმძღვანელო სავსებით აკმაყოფილებდა 20-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო დონეს და ხარკს უხდის იმხანად გაბატონებული „სავაჭრო კაპიტალიზმის“ თეორიას. ეს სახელმძღვანელო დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. მისთვის დამახასიათებელია იაკობინოცენტრისტული მიდგომა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია ისტორიკოსმა ს.ძიმისტარიშვილმა. მან დაწერა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ამ საკითხის კვლევას არ ისახავს მიზნად. ამიტომ აქ საზომად მკაცრი

[134] **ნ.ლუკინი.** დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია. ტფ., „ამ-კავკასიის კომ.უნივერსიტეტის გამოცემა“, 1924.

მეცნიერული კრიტერიუმი არ გამოდგება. თავის მოკრძალებულ მისიას, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია.

დღეს ეს წიგნი, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპია, მაგრამ ეს წიგნი, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა 30-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და იმ პერიოდს ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად მიგვაჩნია.

თავის სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში, ბუნებრივია, ის განიხილავს საკანონმდებლო კრების მოღვაწეობას და ცდილობს მის შეფასებას. საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი მისი დამოკიდებულება ხისტად მიგვაჩნია და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების ექოდ გვევლინება.

მან 1931 წელს გამოსცა ნაშრომი „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“[135], რომელიც 70 გვერდისგან შედგება და ერთ-ერთი თავი საკანონმდებლო კრებას ეხება. ის კარგად იცნობს საკანონმდებლო კრების საქმიანობას, რაც ემპირული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნას ემყარება და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ის ეხება მეცნიერულ პრობლემას და ცდილობს ის მარქსისტული პოზიციებიდან განიხილოს. ავტორს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ის ფეიანებს უკიდურეს მონარქიულ პარტიად მოიხსენიებს. ფეიანები არ ყოფილან აბსოლუტური მონარქიის მომხრენი და შესაბამისად, ისინი უკიდურესი მონარქისტები ვერ იქნებოდნენ. მათ სურდათ, რომ საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია შენარჩუნებულიყო. აბსოლუტიზმის აღდგენის შემთხვევაში, ისინი დაკარგავდნენ 1791 წლის კონსტიტუციით მიღებულ მონაპოვარს, შესაბამისად, მათი უკიდურესად მონარქიულ პარტიად მოხსენება გადამეტებულია. ს.ძიმისტარიშვილი საუბრობს საკანონმდებლო კრების პარტიულ მრავალფეროვნებაზე, რისი შედეგიც ის იყო, რომ საკანონმდებლო კრებას არ

[135] **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტბ., „სახელმწიფო გამოცემა“, 1931.

გააჩნდა ერთი პოლიტიკური გზა და ხან ერთი პარტიის გავლენის ქვეშ იყო, ხან - მეორის. ის წერს გართულებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია, მიმოიხილავს ევროპასთან ომის საკითხებს და კონტრევოლუციონერი ემიგრანტების და სასულიერო წოდების წარმომადგენლების საქმიანობას, საკანონმდებლო კრების იმ დეკრეტებს, რომლის დამტკიცებაზეც მეფემ უარი განაცხადა, რამაც 20 ივნისის დემონსტრაცია გამოიწვია, რომელსაც ს.ძიმისტარიშვილი 10 აგვისტოს გადატრიალების მსგავსად, მოკლედ განიხილავს. მასაც, 10 აგვისტოს გადატრიალება რევოლუციად აქვს მოხსენებული, რაშიც ვერ დავეთანხმებით და ვთვლით, რომ სწორი ტერმინი ამ შემთხვევაში სახელმწიფო გადატრიალებაა და არა რევოლუცია. ეს იყო პოპულარული ნაშრომი, რომლის გაცნობის შემთხვევაში მკითხველი შთაბეჭდილებას შეიქმნიდა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ და ამ მხრივ, ეს ნაშრომი ფასეულია, რადგან იმ პერიოდისთვის, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე ბევრი არაფერი არ იყო დაწერილი. სამეცნიერო დონეზე კი მას პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს, აქ არ ყოფილა კვლევა და თითოეული ფრაგმენტი მოკლედაა განხილული, რაც სიღრმისეულ შთაბეჭდილებას ვერ შეგვიქმნის.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია პროფესორი კონსტანტინე (კოტე) ანთაძე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო ნაშრომი „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“. მის ყურადღების ცენტრში დგას საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება, რომლის შედეგადაც საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია ჩაანაცვლა რესპუბლიკამ. ეს იყო მნიშვნელოვანი მიჯნა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში. ამ კუთხით ეს საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებული ჩანდა. ფაქტობრივად, ეს

იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1956 წლის 4 აპრილს. 1978 წელს მან ეს ნაშრომი გადამუშავებული სახით გამოსცა ცალკე წიგნად. [136]

წიგნი შედგება 186 გვერდისგან და მოიცავს შესავალს, შვიდ თავს და შენიშვნებს.[137] პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს საკითხის ფართოდ დაყენება. წიგნი არ ეხება მარტო 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას. აქ ფართოდაა განხილული რევოლუციის დასაწყისი. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ პერიოდზე (1789-1792), რომელიც ეყრდნობა პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, როგორც ქართულ, ისე რუსულ და ფრანგულ ენებზე. ეს ნაშრომის მთავარი პლუსია.

მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და შეეცადა მისი მარქსისტული პოზიციებიდან გაშუქება. ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. როგორც პროფ. მერაბ კალანდაძეს უყვარს თქმა „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ეს სწორი მიდგომაა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან სცადა დაედგინა ვიქტორ ჰიუგოს რომანის „ოთხმოცდაცამეტი წელი“ მთავარი გმირის სიმურდენის პროტოტიპი. მან გამოთქვა მეტად ფრთხილი ვარაუდი, რომ ის შესაძლოა ყოფილიყო ქსავიერ ფრანსუა ოდუენი. ყოფილი აბატი, იაკობინელი. შემდგომში კონვენტის კომისარი ვანდეაში.[138]

ის ძალზე საინტერესოდ წერს იმ დროისთვის არსებულ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლის მიხედვითაც ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რომელს რა სურდა. ვხედავთ, რომ ერთადერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც 1791 წლის კონსტიტუციის დაკანონებული მდგომარეობა აკმაყოფილებდა, ეს ფეიანთა ჯგუფი იყო. ალბათ, ჟირონდისტებიც ამ გზას დაადგებოდნენ, რომ არა მეფის და სამეფო კარის ორმაგი თამაში,

---

[136] ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: **მ.კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., „არტანუჯი“, 2014, გვ. 33-86.

[137] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978.

[138] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 125; ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: **მ.კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., 2014. გვ. 58.

რომელთაც კონსტიტუციური მონარქია არ აკმაყოფილებდათ და ძველი წესწყობილების აღდგენა სურდათ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მეფემ უარი თქვა ფიცდაუდებელი მღდვლების გადასახლების და პარიზის მახლობლად ფედერატების ბანაკის შექმნის დეკრეტების შექმნის შესახებ, ხოლო სამეფო გვარდია მოჩვენებით დაშალა და სინამდვილეში მათ ხელფასს კვლავ უხდიდა საიდუმლოდ მსახურებისთვის, შემდგომ კი 13 ივნისს ჟირონდისტი მინისტებიც გადააყენა, რამაც სამეფო კარსა და ჟირონდისტებს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. [139]

სწორედ მეფის ამ ღონისძიებებმა გამოიწვია 20 ივნისის დემონსტრაცია, რომელიც მეფისთვის თითქოს გაფრთხილებასავით აღმოჩნდა, მაგრამ მან გაკვეთილი ვერ გაითვალისწინა. ჟირონდისტებმა მოახერხეს ხალხის დარაზმვა და 20 ივნისის ისინი ტიულრის სასახლეში შეიჭრნენ, სადაც მეფე რბილად რომ ვთქვათ, დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის ნათელი მაგალითი იყო, როდესაც სასახლის ფანჯრის რაფაზე ასულ მონარქს ყასაბმა ლეჟანდრიმ „თქვენო უდიდებულესობის“ ნაცვლად, „ბატონოთი“ მიმართა, ხოლო როდესაც მეფის გაკვირვებული სახე დაინახა, მას უთხრა: „დიახ, ბატონო. თქვენ ვერაგი ხართ, ყოველთვის გვატყუებდით და ახლაც გვატყუებთ, მაგრამ ფრთხილად იყავით... მოთმინების ფიალა აივსო... ხალხს მობეზრდა, იყოს სათამაშო თქვენს ხელში“.[140]

ჟირონდისტების მიზანი იყო, მეფისთვის და მთლიანად სასახლისთვის ეჩვენებინათ ხალხის ძალა, თუ რა შეეძლო განრისხებული ხალხის მასას, მაგრამ ისინი სულაც არ ფიქრობდნენ მის ტახტიდან ჩამოგდებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ხალხს დაპირდა, რომ იმას გააკეთებდა, რასაც კონსტიტუცია და კანონები უბრძანებდნენ, ასე არ მოიქცა და კვლავ საპირისპირო გზას დაადგა, რაც ქალაქის მერის პეტიონის თანამდებობიდან დათხოვნით დაიწყო, რომელიც მალევე აღადგინეს. საბოლოოდ, მეფე საკუთარმა

---

[139] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 21-25.

[140] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 32.

კონტრევოლუციურმა საქმიანობამდე სავალალო შედეგებამდე მიიყვანა და მას ვეღარავინ უშველა, ვერც როიალისტებმა, ვერც ფეიანებმა და ვერც ჟირონდისტებმა, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად, მაინც უფრთხოდნენ ხალხის მასას, რევოლუციის გაღრმავებას და ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მეფესთან მოლაპარაკებებს მიეღწიათ, რაც საბოლოო ჯამში მათთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა და როდესაც ხელისუფლებაში იაკობინები მოვიდნენ, მათ ჟირონდისტებს სწორედ ეს გაუხსენეს.

პროფ. კ.ანთაძეს შესანიშნავად აქვს შეფასებული პარიზის სექციების და ფედერატების როლი 10 აგვისტოს გადატრიალებაში, ისევე როგორც იაკობინების, რომლებიც რეალურად მიუძღოდნენ ხალხის მასებს და ერთადერთი პოლიტიკური პარტია აღმოჩნდა, რომლის შეხედულებებიც ემთხვეოდა პატრიოტების, მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესს.[141]

ავტორმა ისაუბრა ფედერატების შემადგენლობაზე. თითქმის მთელი საფრანგეთიდან, პარიზის მიმართულებით, სხვადასხვა რაოდენობის რაზმები დაიძრნენ, რასაც ფედერატების მოძრაობა ეწოდა. ესენი იყვნენ ყველაზე პატრიოტულად და რევოლუციონერად განწყობილნი ვაჟკაცები, რომელთა რეალური მიზანი მონარქიის დამხობა იყო, ხოლო ფორმალურად, ისინი ბასტილიის დღესასწაულის აღსანიშნავად მოდიოდნენ, დედაქალაქში სამი დღე უნდა გაეტარებინათ და შემდეგ სუასონში დაბანაკებულიყვნენ. ფედერატებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მარსელის და ბრესტის ბრიგადა, რომელთაც 10 აგვისტოს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

პარიზი 48 სექციად იყო დაყოფილი და მანაც განსაკუთრებული როლი ითამაშა 10 აგვისტოს გადატრიალებაში. როგორც უკვე ვახსენეთ, 1791 წლის კონსტიტუციას ჰქონდა ნაკლი. აქ რასაკვირველია ვგულისხმობთ იმას, რომ მოქალაქეები აქტიურ და პასიურ ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი და ამ უკანასკნელს, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა გართულებებმა აუცილებელი გახადა, რომ ეს განსხვავება მოესპოთ და რიგ შემთხვევებში, ეს თავად პრივილეგირებულმა

[141] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 45-74.

ჯგუფებმა გააკეთეს, რომელთაც თავად თქვეს უარი გაბატონებულ მდგომარეობაზე, ხოლო მთელ რიგ სექციებში ეს უშუალოდ ცხოვრებამ, დრომ მოიტანა. აუცილებლად უნდა ითქვას, იაკობინელთა როლზეც, რომლებმაც სექციების ხელძღვანელობა ჩაიგდეს ხელში და ამით, ეს პროცესი უფრო გამარტივდა. ივლისის ბოლოს ფაქტობრივად ყველა სექციაში, ეს განსხვავებები მოისპო და პასიური მოქალაქეები პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთვნენ, რამაც სექციებზე უდიდესი როლი შეასრულა და მონარქისტების პოზიციები მკვეთრად შესუსტდა. საბოლოო ჯამში, პარიზის სექციებმა დიდი როლი ითამაშეს ტიულრის აღებაში და ეს განსაკუთრებით, ღატაკთა სექციებზე ითქმის. მხოლოდ რამდენიმე სექცია აღმოჩნდა 10 აგვისტოსთვის ნეიტრალური, ხოლო მონარქიის მომხრე ტიულრის სექციაზე თუ შეიძლება ითქვას.

რასაკვირველია, 10 აგვისტოს გადატრიალება არ მოხდებოდა, რომ არა საგარეო გართულებები. სწორედ ევროპასთან ომის გამო მიიღო საკანონმდებლო კრებამ ცნობილი დეკრეტი „სამშობლო საფრთხეშია“.[142] 11 ივლისის დეკრეტმა, რომელიც ყველა მოქალაქეს მოუწოდებდა, რომ ხელში აეღოთ იარაღი და დაეცვათ სამშობლო მტრისაგან. ბუნებრივია, რომ აქ პასიური მოქალაქეებიც იგულისხმებოდნენ, რამაც შემდგომ თავისთავად იმოქმედა სექციებზეც და საბოლოოდ, მათ სხდომებზე დაშვების უფლება და სხვა პოლიტიკური უფლებებიც მოიპოვეს, რისი მომხრეც იაკობინთა ლიდერი მაქსიმილიან რობესპიერი გახლდათ: „დაე, ყოველ მოქალაქეს მიეცეს უფლება არჩეულ იქნას ყოველგვარ, თვით კონსტიტუციის მიერ უზენაესად აღიარებულ, საჯარო თანამდებობაზე, ისე, რომ მას არ მოეთხოვოს არავითარი შემზღუდველი პირობა, გარდა სათნოებისა და ნიჭისა“. [143]

იაკობინებმა, სექციებმა და ფედერატებმა საბოლოოდ თავიანთ მიზანს მიაღწიეს და 10 აგვისტოს გადატრიალება წარმატებით მოახდინეს. უკანასკნელ ორ დღეს მშვენივრად გამოჩნდა, თუ რამდენად სუსტი იყო მონარქიული ძალები საფრანგეთში და განსაკუთრებით,

---

[142] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 74-107.

[143] **იქვე.** გვ. 78.

პარიზში, სადაც მათი პოზიცია ყოველდღიურად სუსტდებოდა და მერყევი ძალებიც კი, დემოკრატიულ ძალებს უერთდებოდნენ ან მინიმუმ ნეიტრალურ პოზიციას იჭერდნენ. საბოლოოდ, სამეფო კარი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ყველაზე ერთგულ დაქირავებულ შვეიცარიულ ნაწილსაც კი არ სურდათ მის მხარეზე ბრძოლა და ეს მხოლოდ ოფიცრების ძალდატანების გამო გააკეთეს, თავად მეფე და დედოფალი კი საკანონმდებლო კრებამ შეიფარა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, როგორმე ისინი დაეხსნა, მაგრამ იაკობინთა და მთლიანად აჯანყებული ხალხის მკაცრმა პოზიციამ, მათ ამის საშუალება არ მისცა, ხოლო საკანონმდებლო კრებამ, საკუთარი უმოქმედობით ის გააკეთა, რომ რეალურად დაკარგა ქვეყნის მართვის სადავეები და პარიზის ახლადშექმნილ კომუნას გადაულოცა, რომელიც რეალურად ყველაფერს განაგებდა. ყველაფერი კი იმით დაგვირგვინდა, რომ საფრანგეთში მონარქია აღესრულა, მეფე-დედოფალი ტამპლის ციხეში აღმოჩნდა და გადაწყდა ეროვნული კონვენტის მოწვევა.

პროფ. კ.ანთაძის აზრით, 10 აგვისტოს გადატრიალებას მოჰყვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეორე ტალღა. ის გულისხმობს 20, 25, 27, 28 აგვისტოს და 2 სექტემბრის დეკრეტებს, რომელიც საკანონმდებლო კრებამ მიიღო. ავტორი თვლის, რომ 10 აგვისტოს მოვლენების შემდგომ, ჟირონდისტები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და მათთვის არასასურველი აგრარული პოლიტიკა გაეტარებინათ. აქ პირველ რიგში ფრანსუა დე ნევშატოს საკანონმდებლო კრებაში შეტანილი წინადადება იგულისხმება, რომლის მიხედვითაც, ეროვნული მიწების წვრილი ნაკვეთები (2-4 არპანი) წლიური რენტის ფასად გლეხობისათვის უვადო მფლობელობაში გადაეცათ. საკანონმდებლო კრება იძულებული იყო, რომ 2 სექტემბერს ეს დეკრეტი მიეღო, თუმცა როგორც კი ჟირონდისტებს ამის საშუალება მიეცათ და რევოლუციური მუხტი ოდნავ ჩაცხრა, მათ 11 ნოემბრის დადგენილებით ეს დეკრეტი გააუქმეს. [144]

[144] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 174-175.

პროფ. კ.ანთაძეს უყურადღებოდ არც 20 აგვისტოს დეკრეტი დარჩენია, რომლის მიხედვითაც გლეხმა უფლება მიიღო, რომ თანდათანობით გამოესყიდა თავი შემორჩენილი ფეოდალური ვალდებულებისგან, ხოლო 25 აგვისტოს დეკრეტით საკანონმდებლო კრება ფაქტობრივად წყვეტდა კავშირს შუასაუკუნებრივ საფრანგეთთან, რომლის მიხედვითაც „არ არსებობდა მიწა უსენიოროდ“. ის შეეხო 28 აგვისტოს დეკრეტსაც, რომელმაც გააუქმა ტრიაჟის კანონი და გლეხებს დაუბრუნდათ არისტოკრატიის მიერ მიტაცებული სათემო მიწები. პროფ. კ.ანთაძის აზრით, საკანონმდებლო კრების მიერ 10 აგვისტოს შემდგომ მიღებული აგრარული რეფორმები, რევოლუციური დემოკრატიის, ხალხის ფართო მასების, გლეხობის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით.[145] პროფ. კ.ანთაძემ ნაშრომი არ დაასრულა 10 აგვისტოს გადატრიალებით, ის შეეხო მის უახლოეს შედეგებს და განიხილა მნიშვნელოვანი აგრარული რეფორმები, რამაც მისი ნაშრომი კიდევ უფრო საინტერესო გადახა და მან მკითხველს დაანახა, თუ რა გამოიწვია ზემოხსენებულმა მოვლენამ უახლოეს პერიოდში. ეს მისი წიგნის კიდევ ერთი პოზიტივია.

ნაშრომის ბოლოს ავტორს გამოყენებული ლიტერატურის სია აქვს გამოქვეყნებული, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად კარგად და ღრმად ესმოდა მას აღნიშნული საკითხი. კ.ანთაძის ეს ნაშრომი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას ამ პრობლემის ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს.

თვალში გვხვდება ტერმინი „ბურჟუაზიული რევოლუცია“, რომელიც საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო. ეს გახლავთ საკითხისადმი კლასობრივი მიდგომის ნიმუში, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მის მთავარ ტონისმიმცემებად პროლეტარიატის დიდი ბელდები ვ.ი. ლენინი და ი.ბ.სტალინი გვევლინებიან. დღეს ამგვარი მიდგომა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. სავსებით ვეთანხმებით პროფ. მ.კალანდაძეს, როდესაც ამტკიცებს, რომ ამ

[145] **კ.ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978, გვ. 176.

შემთხვევაში ის გულწრფელი არ იყო და იძულებული გახდა ანგარიში გაეწია გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის დიქტატისთვის. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად გამომჟღავნდა პოსტსაბჭოთა პერიოდში დაწერილ შრომებში, სადაც პროფ. კ.ანთაძე ამ ტერმინს უკვე აღარ იყენებს. პროფ. მერაბ კალანდაძის აზრით, აქ იგი უკვე გულწრფელია. [146]

თავის ნაშრომში ის საუბრობს ხან 10 აგვისტოს გადატრიალებაზე და ხან კიდევ 10 აგვისტოს რევოლუციაზე. სასურველი იქნებოდა ერთ ტერმინზე შევჯერებულიყავით. ალბათ გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთქვა 10 აგვისტოს გადატრიალება. [147]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლას ცენტრალური ადგილი უჭირავს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გივი კიღურაძის შემოქმედებაში. ის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთერთი კომპეტენტური მკვლევარი იყო არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ დაინტერესების პიკს, მწვერვალს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს“, რომელიც მან 1967 წლის 1 ნოემბერს წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია. სპეციალისტების შეხედულებით, ეს იყო მეტად სოლიდური გამოკვლევა, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტიორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო დისერტაცია, რომელიც საქართველოში ახალ ისტორიაშია დაცული. ეს გახლავთ მისი საუკეთესო ნაშრომი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. [148] აღსანიშნავია, რომ ცნობილ რუს ისტორიკოსს პროფ. ბორის პორშნევს მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი თარგმნა რუსულ და ფრანგულ ენაზე. [149]

---

[146] **მ.კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., „არტანუჯი“, 2014, გვ. 64-65.

[147] **მ.კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., „არტანუჯი“, 2014, გვ. 43-44.

[148] **კ.ანთაძე.** გივი კიღურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1983; **მ.კალანდაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.359. თბ., 2005, გვ. 160-173.

[149] **კ.ანთაძე.** გივი კიღურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1983, გვ. 42.

თავდაპირველად ჯერ კიდევ 1963 წელს, წინსმწრების სახით, მან გამოსცა წიგნი „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“,[150]რომელიც საინფორმაციო ხასიათის იყო და მკითხველს ჩააყენებდა საქმის კურსში თუ რა პრობლემაზე მუშაობდა პატივცემული მკვლევარი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. წიგნი ამართლებს თავის დანიშნულებას. ზოგადი სათაურის უკან კარგად ჩანს ის კონკრეტული პრობლემა, რომელსაც უშუალოდ იკვლევს მკვლევარი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში. ეს გახლავთ არმიის როლი რევოლუციის ისტორიაში. მას ეს პრობლემა აინტერესებს არა ვიწრო სამხედრო კონტექსტში, ამ კუთხით, ეს თემა დამუშავებული იყო, არამედ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჭრილში. ამ კუთხით ეს საკითხი ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა.

ის შედგება სამი ნაწილისგან. შესავალი, რომელიც მიზნად ისახავს საკითხის შესახებ არსებული წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვას. ეს მონაკვეთი წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. [151]

მეორე მონაკვეთი არის საფრანგეთის არმია „ძველი რეჟიმის“ დროს. აქ ის ცდილობს გააშუქოს შემდეგი თემები: მუდმივი არმიის აღმოცენება დასავლეთ ევროპაში, მუდმივი არმია საფრანგეთში, საფრანგეთის მუდმივი დაქირავებული არმიის კრიზისი რევოლუციის წინ. არსებითად ამით მთავრდება მეორე მონაკვეთი. [152]

წიგნის ყველაზე უფრო წონად ნაწილს, ცხადია, წარმოადგენს მესამე მონაკვეთი, რომლის ყურადღების ცენტრში დგას მთავარი პრობლემა, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს. აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: მღელვარება არმიაში. არმია რევოლუციის დასაწყისში. არმიის პრობლემა დამფუძნებელი კრების საქმიანობაში. არმიის პრობლემა საკანონმდებლო კრების საქმიანობაში.

---

[150] **გ.კიღურაძე.** საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზაცია). თბ., „ცოდნა“, 1963.

[151] **გ.კიღურაძე.** საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზაცია). თბ., „ცოდნა“, 1963, გვ. 3-57.

[152] იქვე. გვ. 57-138.

ფეოდალურ ევროპასთან ომის დაწყებამდე, ომი ევროპასთან და არმიის პრობლემა იაკობინთა ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე. არმიის პრობლემა იაკობინთა დიქტატურის პერიოდში. [153]

რა შეიძლება ითქვას ამ სქემაზე? შესაძლოა, ეს იყო იაკობინოცენტრისტული მიდგომა. ეს ადვილი გასაგებია. ის ცდილობს ხარკი მოუხადოს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს. სხვა არჩევანი არ იყო. ამიტომ ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა არ ივარგებს.

ახლა მოდით ამ წიგნზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და გადავიდეთ მის მთავარ ნაშრომზე „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს“. ამ წიგნის გამოცემა მას ორ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული. პირველი ნაწილი შეეხებოდა საკითხს საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), რომელიც, საკმაოდ მოგვიანებით, მაგრამ 1982 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, მაინც გამოვიდა. [154] მეორე ნაწილი, რასაკვირველია, შეეხებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეორე მონაკვეთს, საფრანგეთის არმია რევოლუციის შემდგომ ეტაპზე - 1792-1794. განსაკუთრებულად მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ნაშრომის მეორე ნაწილ დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. სავსებით ვეთანხმებით პროფ. მ.კალანდაძეს, როდესაც ნაშრომის ამ მონაკვეთის გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიაჩნია. [155]

ამ წიგნის არქიტექტონიკა მკვეთრად განსხვავდება პირველიგან. ეს ადვილი გასაგებიცაა. ეს წარმოადგენს უკვე დასრულებულ ნაშრომს და არა წინსმწრებ ინფორმაციას. ამჯერად, ის შედგება ხუთი მონაკვეთისგან:

პირველი წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ამ პრობლემის ირგვლივ არსებული პირველწყაროების და საკვლევი

---

[153] იქვე. გვ. 138-378.

[154] **გ. კიღურაძე.** საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1982.

[155] **მ.კალანდაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.359. თბ., 2005, გვ.165.

ლიტერატურის განხილვას. ის საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნაშრომის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი წყაროებსა და საკითხის ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანმა ჩახედულებამ. [156]

მეორე თემა გახლავთ ძველი არმია რევოლუციის წინ და დასაწყისში. [157] ფრიად აქტუალური ჩანს მესამე თემა: არმია მხარს უჭერს განახლებას. არმიამ ზურგი აქცია „ძველ რეჟიმს“, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი მარცხი. [158] მეოთხე თემა გახლავთ არმია და დამფუძნებელი კრება [159] და ბოლოს მეხუთე საკითხი საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დამფუძნებელი კრების სამხედრო პოლიტიკის თაობაზე. [160]

აქ ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. თხრობა წყდება საკანონმდებლო კრების საქმიანობაზე. შესაძლოა, ამ პრობლემის გაშუქებით აპირებდა ის მეორე წიგნის დაწყებას. ვფიქრობთ, საასურველი იქნებოდა პირველი წიგნის დასრულება, სწორედ, საკანონმდებლო კრების საქმიანობით ამ სფეროში. ეს რევოლუციის პირველი ეტაპის ისტორიიდან ამოვარდნილი არ იქნებოდა. ესე კი ის რევოლუციის პირველი ეტაპიდან ამოგლეჯილი ჩანს და გარკვეულ უკმარისობის გრძნობას გვიჩენს. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, ამით აიხსნება, რომ ამ თემის განხილვის დროს უფრო მეტად პირველ ვაპელირებთ, ვიდრე მეორეზე. აქ ეს საკითხი დამაჯერებლადაა განხილული.

უწინარესად უნდა აღინიშნოს საკითხის პერიოდიზაცია. ის სამხედრო სფეროში საკანონმდებლო ხელისუფლების პოლიტიკას ორ ნაწილად ყოფს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მას, რომ სამხედრო სფეროში საკანონმდებლო კრების საქმიანობაში წყალგამყოფად მას 1792 წლის 20 აპრილს ევროპათან ომის გამოცხადება ესახებოდა. ეს იყო სწორი მიდგომა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

---

[156] **გ. კიღურაძე.** საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1982, გვ. 5-48.

[157] იქვე. გვ. 48-121.

[158] იქვე. გვ. 121-146.

[159] **გ. კიღურაძე.** საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1982, გვ.146-299.

[160] იქვე. გვ. 299-318.

დღევანდელი გადასახედიდან ამ ნაშრომის მკაცრად განსჯა მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტული პოზიციებიდან გააშუქა ის. ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. ფართო არჩევანი არ არსებობდა. არჩევანი იყო ცუდსა და უარესს შორის. მან ფსონი პირველზე გააკეთა. ეს სწორი ნაბიჯი იყო. თუ არა ეს კომპრომისი, მშინ მშობლიურ ენაზე ამ დარგში ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც დღეს გაგვაჩნია. ფაქტობრივად, ამ კომპრომისმა გადაარჩინა დარგი დაღუპვას. [161]

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფ. მერაბ კალანდაძის მიდგომას, რომ თუ ამ შრომებს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინურ სტერეოტიპებს და შტამპებს ჩამოვაშორებთ ღირებული აუცილებლად დარჩება და სწორედ, ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. ემპირიის, ფაქტოლოგიის, სფეროში პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახაობა სწორი არ იქნება. ამ ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, გამოვლენილი ახალი საინტერესო პირველწყაროები, უხვი ფაქტობრივი მასალა, საინტერესოა, მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. [162]

ფაქტობრივად, ამით მთავრდება საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის მეორე პერიოდი. საკანონმდებლო კრების საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დასასრულს შევჩერდებით საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის შესწავლის მესამე, დასკვნით, პერიოდზე. საკანონმდებლო კრების საქმიანობის გაშუქება

---

[161] **მ.კალანდაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.359. თბ., 2005, გვ.168.

[162] **მ.კალანდაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.359. თბ., 2005, გვ.168.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ფაქტობრივად, ეს გახლავთ უახლესი ქართული ისტორიოგრაფია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, პირველ ყოვლისა, ცდილობს თავი დააღწიოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ ინტერპრეტაციას. გაწმინდოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან. უწინარესად უარი ითქვას საფრანგეთის დიდი რევოლუციის „იაკობინოცენტრისტულ“ წაკითხვაზე. ეს გახლავთ სწორი ამოსავალი პოსტულატები. ვფიქრობთ, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ქართული ისტორიოგრაფია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს, ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსია. რა თქმა უნდა, ნათქვამი შეეხება საკანონმდებლო კრების საქმიანობასაც. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოხატება, რომ საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება თანდათანობით ჩაანაცვლა უფრო დაბალანსებულმა მიდგომამ. ეს საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, ცხადია, არ ივარგებს. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ნელ-ნელა, თანდათან, შემობრუნდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისკენ და სწორი აქცენტები დასვა. ეს მის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიდგომა საფრნგეთის დიდი რევოლუციის პრობლემებისადმი გაცილებით უფრო დაბალანსებული ჩანს, ვიდრე ეს იყო საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს იმით გამოიხატება, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყველა პერიოდს ერთნაირი ყურადღება ეთმობა. ეს უფრო სწორი მიდგომა უნდა იყოს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის რეაბილიტაციის გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად პოსტსაბჭოთა

პერიოდის პირველ წლებში გამოსული „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია. [163]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის წინ წამოწევა სცადა პროფ. მერაბ კალანდაძემ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი შემდეგი შრომები. უწინარესად, უნდა მოვიხსენიოთ მისი ნაშრომი „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, რომელიც დაიბეჭდა 1989 წელს ჟურნალ „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“ და ეხმიანება საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლის თავს. ამ ნაშრომში, შესაძლოა, ძალზე ფრთხილად, მოკრძალებით, შეინიშნება შემობრუნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი (1789-1792) და გაისმა ხმა დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობა გადასინჯული ყოფილიყო. მას პლუსები გაცილებით უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე მინუსები. [164] ეს აზრი განავითარა მან თავის ნაშრომში „საფრანგეთის რევოლუციის თეთრი ლაქები“. [165] ამ ხაზის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება მისი სახელმძღვანელო „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, რომელიც მან პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად დაწერა. აქ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისკენ შემობრუნება კიდევ უფრო ნათელი ხდება. აქცენტი კეთდება დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობის პოზიტიურ მხარეზე, თუმცა მატი მოღვაწეობის გაიდიალება არ შეინიშნება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღვმოჩნდეთ. ეს მიუღებელი იქნება. [166] და ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ შეიძლება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისაკენ შემობრუნება და დამფუძნებელი და

---

[163] **კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი.** ახალი ისტორია: საშ.სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბ., „გულანი“, 1992.

[164] **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია: 200 წლისთავი. // „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, #1, 1989.

[165] **მ.კალანდაძე.** საფრანგეთი რევოლუციის „თეთრი ლაქები“. // ჟურნ. *„კლდეკარი“,* #2, 1997.

[166] **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.გვ. 96-100.

საკანონმდებლო კრების საქმიანობის დადებითი შეფასება იკითხება მის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომში „ისტორიკოსები რობესპიერზე“.[167]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას, ბუნებრივია, თავისი კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი პროფ. ვაჟა თვალავაძის წიგნში „ახალი ისტორია“. აქ ის, რა თქმა უნდა, ჩერდება საკანონმდებლო კრების საქმიანობაზე. ეს ასეც უნდა იყოს.

აქ მართალია ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც იგრძნობა საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი დადებითი შეფასებისაკენ შემობრუნების მცდელობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ის ცდილობს დაძლიოს საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. აქ არ იგრძნობა საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის გაიდიალება.

აქ საუბარია საკანონმდებლო კრების აგრარულ კანონმდებლობაზე, კანონზე ემიგრანტების და ფიცდაუდებელი მღვდლების შესახებ. საინტერესოდ არის განხილული საკანონმდებლო კრების საგარეო პოლიტიკა, ომის საკითხი. ხაზგასმულია ამ აქტუალური პრობლემებისადმი ცალკეული პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება. ახსნილია მისი გამომწვევი მიზეზები. [168]

ერთი სიტყვით, პროფ. ვაჟა თვალავაძის წიგნში შეინიშნება საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი შედარებით დაბალანსებული დამოკიდებულების მცდელობა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიური მარცვალია.

საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე საუბრობს თავის წიგნში „ახალი ისტორია“ ისტორიკოსი დავით ლომსაძე. ჩვენი აზრით, ეს არის ძალიან სუსტი სახელმძღვანელო. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მსჯელობა სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ჩვენი აზრით, ძალიან უცნაურია საკანონმდებლო კრებისადმი მისი დამოკიდებულება, რაც, უწინარესად, იმით გამოიხატება, რომ მას ცალკე არ გამოყოფს და

---

[167] **თ.ანთაძე, მ.კალანდაძე.** ისტორიკოსები რობესპიერზე. – *„თსუ–ს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის შრომები“*, VI კრებული, თბ., 2007, გვ. 197.

[168] **ვ.თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999.გვ. 154-161.

განიხილავს ძალიან ზერელედ, მოკლედ. ამ თემას სულ ერთი გვერდი აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. ეს მწირი ინფორმაცია საკანონმდებლო კრების საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად გვევლინება. [169]

ამრიგად, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაათავისუფლოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. მისასალმებელია მკვეთრი შემობრუნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისადმი. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. უარს ამბობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის „იაკობინოცენტრისტულ“ ინტერპრეტაციაზე. ცდილობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყველა მონაკვეთი დაბალანსებულად წარმოაჩინოს. ერთი უკიდეგანობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. არ იგრძნობა საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის გაიდიალება, რაც ამ კონკრეტულ საკითხზე მათი მსჯელობის მთავარი პლუსია.

ამრიგად, საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის გაშუქების გარკვეულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა არ ივარგებს.

საქართველოში საკანონმდებლო კრების საქმიანობით დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ძირითადად, სასწავლო ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა. ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. სულ არაფერს ნამდვილად ჯობდა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება სულაც არ ატარებდა ისეთ ერთფეროვან, სწორხაზოვან, ხასიათს როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მან, ვფიქრობთ, საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია განიცადა.

---

[169] **დ. ლომსაძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. 1600-1870. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, გვ. 76.

საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია საკანონმდებლო კრების საქმიანობის შეფასებისას პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგა და საკანონმდებლო კრების საქმიანობას დადებითად ეკიდებოდა. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

არსებითად იცვლება ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. პრიორიტეტული ხდება საკანონმდებლო კრების მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ლოგიკური გაგრძელებაა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს და გაანვითაროს საწყისი ღირებულებები. გაათავისუფლების საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია მარქსიზმისგან, უარს ამბობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის „იაკობინოცენტრისტულ“ ინტერპრეტაციაზე. ცდილობს მკვეთრად შემობრუნდეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდისკენ (1789-1792). აქცენტი კეთდება საკანონმდებლო კრების საქმიანობის დადებით შეფასებაზე. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არ შეინიშნება საკანონმდებლო კრების საქმიანობის გაიდიალება. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარი ღირსებაა.

დასკვნა

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის, კონკურეტულად კი პირველი ეტაპის შესწავლასთან დაკავშირებით საქართველოში ცოტა არ გაკეთებულა. ალბათ, მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდიდან გაგვიჭირდება დავასახელოთ

რომელიმე სხვა მოვლენა, რომელიც საქართველოში ისე ფართოდ იქნა გაშუქებული, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქა. ეს ცოტას არ ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის (1789-1792) შესწავლა ერთფეროვან ხასიათს არ ატარებს და საკითხის შესწავლამ სხვადასხვა პერიოდში საინტერესო ევოლუცია განიცადა, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი პროგრესულ-ლიბერალური განწყობილება იგრძნობოდა, როგორც საკითხის შესწავლის წინაისტორიის (მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან - 1918 წლამდე) პერიოდში, ასევე 1918-1921 წლების საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ისინი თანაუგრძნობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ეტაპს და მოსწონდათ კონსტიტუციური მონარქია, რაც პირველ რიგში მათი პოლიტიკური მრწამსით აიხსნება. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ადგილი არ აქვს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის გაიდიალებას და ისინი თვალს არ ხუჭავენ იმ მინუსებზე, რაც იმ პერიოდში არსებობდა. ეს მათ მსჯელობაში პოზიტიური მარცვალია.

ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობდა გამონაკლისებიც, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის, ასევე პერიოდიზაციის შეფასებაში. აქ ვგულისხმობთ, ნოე ჟორდანიას ბროშურას, სადაც აშკარად იგრძნობა მისი პოლიტიკური მრწამსი და სიმპათიები პროლეტარიატის მიმართ. მას აშკარად მოსწონს იაკობინები და მათი ბელადები, რასაც საკითხის შესწავლის წინაისტორიის მონაკვეთში ადგილი ნაკლებად ჰქონდა. ის აშკარად მომხრე იყო რევოლუციური პროცესის გაღრმავებისა და არ მოსწონდა საკანონმდებლო კრების დამოკიდებულება, რომელიც რევოლუციური მუხტის შეჩერებას ცდილობდა. თეიმურაზ ჭუმბურიძემ კი ფიქრობდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია გრძელდებოდა 1789-1799 წლებში, რაც იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სიახლე და ასევე განსხვავებული აზრი იყო, რადგან ისტორიკოსების უმრავლესობა მაშინ თვლიდა, რომ რევოლუცია 1789-1814 წლებს მოიცავდა, ანუ ისინი არ მიჯნავდნენ რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას, ჭუმბურიძე კი სხვა გზით წავიდა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის შესწავლის წინაისტორიის და პირველი მონაკვეთის დროს, შესაძლებელი გახლდათ საკითხისადმი პლურალისტული მიდგომა, განსხვავებული აზრის გამოთქმა და მხოლოდ ერთი აზრი არ იყო გამეფებული. მართალია, რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოში ამის გაკეთება მთლად იოლი არ იყო, რადგან პრესას რუსული ცენზურა აკონტროლებდა, მაგრამ ამის გაკეთება მაინც შესაძლებელი გახლდათ, ხოლო 1918-1921 წლებში ეს თავისუფლად იყო შესაძლებელი.

1921 წლიდან ქართული ისტორიოგრაფია მოწყდა საწყის გზას და სულ სხვა გზით წავიდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური კატაკლიზმებით, კონკრეტულად კი საქართველოს გასაბჭოებით. ისტორია პოლიტიზირებული გახდა და ფეხი მოიკიდა მარქსისტულ-ლენინურმა მიდგომამ, საკითხის სხვაგვარი გაშუქება შეუძლებელი გახლდათ და ქართველ მეცნიერებს ორი გზა დარჩათ: 1) უარი ეთქვათ ისტორიის წერაზე; 2) გაეშუქებინათ მარქსისტული პოზიციებიდან. სხვა გზა არ არსებობდა, არჩევანი იყო ცუდსა და უარესს შორის, ქართველმა მეცნიერებმაც ცუდი აირჩიეს და მოგვცეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული გააზრება. მიუხედავად ამისა, წინსვლა ფაქტოლოგიის, ემპირიზმის დონეზე აშკარა იყო და თუ მას მოვაცილებთ, თავს ძალად მოხვეულ მარქსისტულ შტამპებს, მასში ღირებული ნამდვილად დარჩება. საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის გავლენით, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუცია „იაკობინოცენტრისტული“ იყო. იაკობინთა დიქტატურას დიდი ყურადღება ექცეოდა და მის მიმართ სიმპათიებით იყვნენ განწყობილნი, ხოლო სხვა პერიოდებს, მათ შორის რევოლუციის პირველ ეტაპს გულგრილად ეკიდებოდნენ და შედარებით მკრთალად იყო გაშუქებული. „იაკობინოცენტრისტულად“ გააზრებამ თავი იჩინა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზეც. საბჭოთა ისტორიოგრაფია და შესაბამისად, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიაც თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია მოიცავდა 1789-1794 წლებს. ისინი რევოლუციას ასრულებდნენ 1794 წლის 27 ივლისის (9 თერმიდორი) სახელმწიფო გადატრიალებით, რაც ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს. სინამდვილეში, ამ დროს სრულდება რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება,

მაგრამ რევოლუცია გრძელდება, ის ახალ, დაღმავალ ფაზაში შედის და მსხვილი მესამე წოდება იმ მონაპოვარის შენარჩუნებას ცდილობს, რომელიც რევოლუციამ მოუტანა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამას მხედველობაში არ იღებდა და რევოლუციას იაკობინთა დამხობით ასრულებდა, რაც იაკობინთა დიქტატურისადმი სიმპათიებითაა გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ ეს შეუსაბამობა კარგად შენიშნა პროფ. გ.კიღურაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 9 თერმიდორის გადატრიალებით მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება სრულდება, მაგრამ რევოლუცია გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ გ.კიღურაძემ ვერ გაბედა ამ პერიოდიზაციის სისრულეში მოყვანა, ამ აზრის გამოთქვაც დიდი საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ეპოქაში უწევდა ცხოვრება ქართველ მეცნიერს და რად შეიძლება დაჯდომოდა ეს გამბედაობა.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრარული კანონმდებლობის შესწავლას, რისი ფუძემდებელებიც პროფ. გ.ნათაძე და პროფ. ა.ნამორაძე არიან. რევოლუციის დროინდელი ფრანგული არმია საგანგებოდ შეისწავლა და სოლიდური გამოკვლევა შემოგვთავაზა პროფ. გ.კიღურაძემ, ხოლო პროფ კ.ანთაძემ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას მიუძღვნა წიგნი. მათი მოღვაწეობა, ეს შრომები ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია და რომ არა ისინი, ამ საკითხზე ფაქტობრივად არაფერი იქნებოდა დაწერილი. მათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლას მეცნიერული სახე მისცეს და მიუხედავად მარქსისტული შტამპებისა, საქმე მნიშვნელოვნად წაწიეს წინ.

ჩვენ შევეცადეთ, რომ ახლებურად დაგვენახა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დაწერილი შრომები, მოგვეცილებინა მათთვის თავს ძალად მოხვეული მარქსისტული დოგმები და მისი ახალი, თავისუფალი ინტერპრეტაციას მოგვეცა. ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად ამის გაკეთება შევძელით და საკითხი წინ წავწიეთ.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, რომ საბოლოოდ გათავისუფლდეს იმ მძიმე მემკვიდრეობისგან, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიისგან ერგო, დაუბრუნდეს საწყის გზას და განავითაროს ის. ამის ნათელი დასტურია, მკვეთრი

შემობრუნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი. აშკარად იგრძნობა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თითოეული მონაკვეთის მიმართ, გაცილებით დაბალანსებული მიდგომა, ცდილობენ, რომ ყველა საინტერესო ეტაპს მეტნაკლებად თანაბარი ყურადღება დაუთმონ. დასაფასებელია, რომ დადებითი შეფასების მიუხედავად, არ ხდება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპის გაიდიალება და სუსტ მხარეებზე თვალის დახუჭვა, რაც სწორი მიდგომა.

დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია პლურალიზმზეა აგებული, არსებობს მრავალვარიანტული მიდგომა და მეცნიერებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოთქმა, მსოფლმხედველობის და შეხედულებისამებრ წერა. ძველი დრო წარსულს ჩაბარდა. ისტორია პოლიტიზირებული აღარა და მეცნიერს საკუთარი აზრის გამო, პირადი პრობლემები აღარ ექმნება. ეს დიდი პლუსია და ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა სხვაგვარად შეუძლებელია.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის მთავარ ტონისმიმცემად პროფ. მ.კალანდაძე გვევლინება. ალბათ, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღნიშნული საკითხის გაშუქებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის. ჩვენი აზრით, ყველაზე დასაფასებელი ის გახლავთ, რომ პროფ. მ.კალანდაძეს ქართული კონტექსტი აინტერესებს და ამ კუთხით, მის კალამს არაერთი საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის. მან მრავალი ხელუხლებელი, მიჩუმათებული საკითხი წამოწია წინ და ჩვენც სწორედ მის გზას მივყვებით. ჩვენთვისაც საინტერესო ქართული კონტექსტია და შევეცადეთ, მოგვეძებნა ისეთი თემა, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი, ამ კუთხით გაშუქებული. მიგვაჩნია, რომ ამ თემატიკაზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქართულ კონტექსტზე მუშაობა საინტერესოა, ბევრი საკითხი დღემდე შეუსწავლელად რჩება, პერსპექტიულად მიგვაჩნია და ჩვენს ინტერესის არეალში სამომავლოდაც დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები; მონოგრაფიები.

1. **სიმონ ავალიანი.** მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები). ტფ., ქართულ ბეჭვდითი ამხანაგობის გამოცემა N3, 1920.
2. **კოტე ანთაძე, მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.
3. **კოტე ანთაძე, ნაირა მამუკელაშვილი.** ახალი ისტორია: საშ.სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბ., „გულანი“, 1992.
4. **კოტე ანთაძე.** გივი კიღურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1983.
5. **კოტე ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1978.
6. **ვარლამ დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა: (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., “უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1978.
7. **ვაჟა თვალავაძე.** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999.
8. **მერაბ კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., „არტანუჯი“, 2014.
9. **მერაბ კალანდაძე.** ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ., „არტანუჯი“, 2011.
10. **მერაბ კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998.
11. **მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
12. **მერაბ კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., „არტანუჯი“, 2016.

13. **გივი კიღურაძე.** საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზაცია). თბ., „ცოდნა“, 1963.
14. **გივი კიღურაძე.** საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792). თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1982.
15. **გივი კიღურაძე.** ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970.
16. **დავით ლომსაძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. 1600-1870. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998.
17. **ვლადიმერ ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თბ., 1906.
18. **ნიკოლაი ლუკინი.** დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია. ტფ., „ამ-კავკასიის კომ.უნივერსიტეტის გამოცემა“, 1924.
19. **გრიგოლ ნათაძე.** რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა. თბ., „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922.

20. **გრიგოლ ნათაძე.** კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., 1933.
21. **ნოე ჟორდანია.** საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906.

22. **დ.უზანაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ.,სახალხო საქმ-ის გამოცემა #1“, 1919.
23. **ს.ძიმისტარიშვილი.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1931.
24. **ალექსანდრე წერეთელი.** მსოფლიო ისტორია. ნაწ. 3, ახალი საუკუნეები. სურათებით. თბ., „გამოც. N10 ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა“, 1920, გვ. 61-76.
25. **თ. ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია: უმაღლეს და საშ.სასწავლებელთათვის. ქთ., „მომავალი“, 1920.

სამეცნიერო სტატიები.

1. **თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე.** ისტორიკოსები რობესპიერზე. – *„თსუ–ს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის შრომები“*, VI კრებული, თბ., 2007.
2. **თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი,* XII. თბ., 2013-2015.
3. **მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში. - ჟურნ. *„საქართველოს კომუნისტი“*, #7, 1989.
4. **მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია: 200 წლისთავი. - *„ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“,* #1, 1989.
5. **მერაბ კალანდაძე.** ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. - ჟურნ. *„საქართველოს კომუნისტი“*, #11, 1990.
6. **მერაბ კალანდაძე.** ბაირონი საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებზე. - გაზ. *„მოამბე“*, #1, 1993.
7. **მერაბ კალანდაძე.** მარკიზ დე ლაფაიეტი. – *„გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების კრებული“, ნაწ. 2.* გორი, 1996.
8. **მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთი რევოლუციის „თეთრი ლაქები“. - ჟურნ. *„კლდეკარი“,* #2, 1997.
9. **მერაბ კალანდაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.359. თბ., 2005.
10. **მერაბ კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე. – *“ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,* ნაკვეთი XII, თბ., 2013.
11. **მერაბ კალანდაძე.** ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. - *„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი”*, # 9-10, 2015.

12. **მერაბ კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. – *„ქართული დიპლომატია“, წელიწადეული,* 17. თბ., 2015.

13. **მერაბ კალანდაძე.** საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია. - *„მაცნე“,* ისტორიის სერია #1. 2016.
14. **მერაბ კალანდაძე.** სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. - *„ანალები“,* #13, 2017.
15. **გივი კიღურაძე.** 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“,* ტ.107. თბ., 1964.
16. **ალექსანდრე ნამორაძე.** ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს. – „ქუთაისის *სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები“,* ტ. IX, ქთ., 1949.
17. **ნიკო ნიკოლაძე.** რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო. – *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის კათედრა“,* თხზ. ტ. I, თბ., 1962.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდული გამოცემები

1. **ახალი საფრანგეთი.** - ჟურნ. *„კრებული“,* #1, 1870.
2. **დავით მიქელაძე.** საფრანგეთი, ბასტილიის აღება. - გაზ. *„დროება“,* 28 ივლისი და 4 აგვისტო, 1872 წელი, #29-30.
3. **საფრანგეთი, პარიჟიდან.** - გაზ. *“დროება”,* 9 იანვარი, 1873 წელი, # 1 (დამატება).
4. **რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია.** - გაზ. *“ივერია“,* 18 აგვისტო, 1877 წელი, #25.

5. **ვლადიმერ ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, საკანონმდებლო კრება. - გაზ. *„ცნობის ფურცელი“,* 19 ნოემბერი, 1905 წელი, #2954.
6. **პ.ქარუმიძე.** გლეხთა საკითხი საფრანგეთში. - გაზ. *„შრომა“*, #4, 1906.
7. **ბასტილიის აღება.** - *გამოცემა ალ.რ[უსა]ძისა.* ქთ., 1906.
8. **საფრანგეთის ისტორიიდან, მეფის გაპარვა პარიჟიდან.** - თფ., „სტ.იმედი“, 1906.